პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 66, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- — რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის დეპეშა ამხ. ლიტვინოვისადმი.
- — კელოგი პარიზიდან მიემგზავრება ირლანდიაში.
- — ნანკინის მთავრობის პასუხი იაპონიის ნოტაზე.
- — ინგლისმა გადასწყვიტა საჰაერო ბაზა მოაწყოს სპარსეთის ყურეში.
- — დაიხურა სპორტინტერნის კონგრესი.
- — ინგლისის გაზეთები ტოლსტოის შესახებ.
- — ამხ. შ. ელიავას მოხსენება ბაქოს საბჭოს პლენუმზე.

ხუთშაბათი, 30 აგვისტო 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 201 (2244)

საცდელი მობილიზაციის წინასწარი შედეგები

საბჭოთა ქვეყანა მზადაა თავდაცვისათვის

ს. კ. პ. (ბ) ცეკას მე-4-ე
მორიგი პლენუმი
მაზრკომების და ოლქკომების მდივნებთან ერთად
იხსნება აწ. 10 სექტემბერს
ს. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი ლ. ღოღობერიძე

კომუნისტი
მიიღება ხელის მოწერა სექტემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

წინასწარი შედეგები

საცდელი მობილიზაცია თბილისსა და მის მაზრაში საუკეთესო პრაქტიკული სკოლა გამოდგა იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად ვართ მზად ომისთვის. საცდელმა მობილიზაციამ აშკარად დაგვანახვა, რომ არა მარტო სამხედრო მართველობის ორგანოები არიან მზად თავიანთი მუშურ-გლეხური მთავრობის პირველ დაძახებისთანავე გამოვიდნენ ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად, არამედ პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი სამოქალაქო ორგანიზაციები და დაწესებულებებიც მზად არიან ყოველ წუთს შეუფარდონ და გადაქმნან თავიანთი მუშაობა და მთელი თავიანთი ძალა და ენერგია მოახმარონ ჩვენი კავშირის დაცვის საჭიროებას.

ეს უკანასკნელი საქმე პირველზე ნაკლებად მნიშვნელოვანი არ არის. განვლო იმ დრომ, როცა გამარჯვებასა და დამარცხებას სწყვეტდნენ მარტო არმიები ბრძოლის ველზე. გერმანია, რომლის ჯარსაც იმპერიალისტური ომის დროს არც ერთი დამარცხება არ განუცდია, დამარცხებული აღმოჩნდა, ეხლა ყველამ იცის, რომ თანამედროვე ომებში იბრძვიან ხალხები, იბრძვის მთელი ქვეყანა მთლიანად. ჩვენზე, სამხედრო მუშაკებზე, არმიაზე დამოკიდებულია მხოლოდ — სისწორით გამოვიყენოთ ყველაფერი ის, რასაც ქვეყანა გამარჯვებისათვის ჰქმნის. ჯარზე კი დამოკიდებულია მხოლოდ ერთი რამ: გადააქციოს გამარჯვებად ხალხის მიერ შექმნილი, —წინასწარი შესაძლებლობანი. გამარჯვების ამ იარაღის ხელში დასაჭერად, მის მოსამარჯვებლად ჩვენი წითელი არმია განუწყვეტლივ მუშაობს. დღითი-დღე ჩვენი არმია იზრდება, იწვრთნება და წინ მიიწევს იმდენად, რომ ყოველ წლივ ტაქტიკის და სროლის საქმეში ახალ და უმაღლეს ფორმებს იძენს. მშრომელ მასებს შეუძლიათ დამშვიდებულნი იყვნენ — არმია მუდამ ფხიზლად არის.

ხოლო დღეს, საცდელი მობილიზაციის შედეგად, ჩვენ მივიღეთ ახალი საბუთი იმისა, რომ საბჭოთა ქვეყანა მზად არის თავისი საზღვრების დასაცავად.

საცდელმა მობილიზაციამ საშუალება მოგვცა პრაქტიკულად შეგვემოწმებია ადგილობრივი სამხედრო მართველობის ორგანოთა მობილიზაციის ჩვენში შემოღებული სისტემა, საშუალება მოგვცა შეგვემოწმებია აგრეთვე ჩვენი სამოქალაქო ორგანიზაიების სამობილიზაციო ღონისძიებათა რეალობა.

ჩვენ მივიღეთ მდიდარი მასალა, რომლის შესწავლაც საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ ჩვენი ქვეყნისა და არმიის სამობილიზაციო მზად ყოფნის საქმე.

მეორე ქართული დივიზიის უფროსი
ვ. ზიორგაძე.

ორი პლატფორმა

ჩვენს ყურადღებას იქცევს უკანასკნელი დღეების ორი ამბავი. პირველი—27 აგვისტოს ხელმოწერილ იქნა ეგრეთ წოდებული კელოგის ხელშეკრულება; მეორე—საფრანგეთის ელჩის ერბეტის საშუალებით საბჭოთა კავშირი ოფიციალურად იქნა მიწვეული ხელშეკრულების ხელმოწერაში მონაწილეობის მისაღებად.

დეპეშებიდან ვიცით, რომ ხელშეკრულების ხელმოწერას თან ახლდა დიდი ზეიმი, დიპლომატიური მასხრობის ყოველგვარი ცერემონიალი და აქსესუარი. „ისტორიული“ კალმის ჩაწობა კიდევ უფრო „ისტორიულ“ სამელნეში, დიდის გემოვნებით მოწყობილი ილუმინაცია და პოლიციის გაძლიერებული რაზმები პარიზელი მუშების წინააღმდეგ. წარმოითქვა საზეიმო სიტყვები. ბრიანმა განაცხადა, რომ აქტის ხელმოწეროს თარიღი წარმოადგენს „ახალ თარიღს კაცობრიობის ისტორიაში“.

ვიცით აგრეთვე, რომ მთელი ეს ბრჭყვიალა ბუტაფორია ვერ ასცდა ეჭვებს, სკეპტიციზმს და იმ პირთა დამცინავ ღიმილსაც კი, რომელთაც თითქოს თვით მათი სული და გული უკარნახებს აღტაცებით შეჰხაროდნენ კელოგის ხელშეკრულების დოკუმენტებს. ბევრმა ბურჟუაზიულმა გაზეთმაც კი პარიზის პროცედურა იმპერიალისტური თვალთმაქცობის მორიგ ხრიკად ჩასთვალა. ინგლისის, გერმანიის, პოლონეთის და იტალიის პრესამ თავ-თავისი საბაბი გამონახა უკმაყოფილებისათვის. ევროპის გაზეთების ფურცლები აჭრელებულია ასეთი „არასადღესასწაულო“ რეპლიკებით: „ხელშეკრულება ვერ გარდაჰქმნის ქვეყანას ავტომატიურ სამოთხის ბაღად“ („მანჩესტერ გარდიენი“). „მშვიდობიანობის სასახლე აგებულ უნდა იქნას ილუზიების ქვიშაზე კი არა,—რეალობის ქვა-კლდოვან ნიადაგზე“ („მორნინგ პოსტი“), „ძალიან ცოტა ნიშნებია იმისა, რომ პაქტის ხელმოწერამ წინ წასწიოს განიარაღების პრობლემა („დეილი ჰერალდი“). „სახელმწიფოები იძულებულნი არიან ხელი მოაწერონ იმ დოკუმენტს, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს; თუ ასე არ მოიქცევიან, ეშინიათ, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების უკმაყოფილებას გამოიწვევენ“ (იტალიის ერთ-ერთი გაზეთის აზრი).

პრესა ნაძალადევად აქებს ხელშეკრულების უნივერსალობას და აგრეთვე „მის სრულ საყოველთაო ხასიათს“. ამავე დროს იგი ჩუმად ხითხითებს და გადაკვრით ლაპარაკობს, რომ ხელშეკრულება, რომელსაც სურს გამოაცხადოს რაღაც გაუგებარი რამ, არავის არაფერს ავალებს. საჩოთიროო გამოსვლას ადგილი ჰქონდა თვით ზეიმზეაც. საკმარისია აღვნიშნოთ, მაგალითად, ინგლისელი ლორდის კუშენდენის განცხადება იმ დროს, როდესაც იგი „თავისას მიუზღავდა“ ხელშეკრულებას: მან გაკვრით გამოსთქვა სურვილი, რომ მომავალში ჩრდილოეთ ამერიკა ნაკლებად ეჩრებოდეს ევროპის საქმეებში

ხელშეკრულებას იმ დროს მოაწერეს ხელი, როდესაც სახელმწიფოთა ურთიერთობამ არაჩვეულებრივ სიმწვავესა და გართულებას მიაღწია, როდესაც ეგრეთ წოდებული დიპლომატიური წონასწორობა მეტის-მეტად მერყევი ხდება, როდესაც მთავარი იმპერიალისტური ბუმბერაზების—ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დიპლომატიურმა კინკლაობამ აშკარა ოდიოზური ხასიათი მიიღო (ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების კეკლუცობა ეგვიპტესთან, კელოგის გამგზავრება ირლანდიაში), როდესაც ინგლისი და საფრანგეთი ისევ „გულითადად უთანხმდებიან“ ერთმანეთს და სდებენ სამხედრო საზღვაო კავშირს, რომელიც გულისხმობს ორივე სახელმწიფოს საზღვაო შეიარაღებათა შემდგომს გაძლიერებას, როდესაც რეინის მხარეში საფრანგეთი და ინგლისი დემონსტრატიულად აწყობენ ჭეშმარიტ ვერსალურ მანევრებს, როდესაც ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ღვივდება ანგარებით სავსე ვნებათა ღელვანი, როდესაც პოლონეთი და რუმინეთი ადასტურებენ ანტისაბჭოთა ხელშეკრულებას. აი ასეთ პირობებში აწერენ ხელს ხელშეკრულებას, რომელიც ჩემულობს „მუდმივი მშვიდობიანობის“ დამყარებას და ხალხთა შორის „ომის აკრძალვას“.

ჩვენ ოფიციალურად მიგვიწვიეს კელოგის ხელშეკრულების ხელმოწერაში მონაწილეობის მისაღებად. იმპერიალისტები იძულებული არიან ასე მოიქცნენ. რატომ? იმიტომ, რომ ჩიჩერინის ინტერვიუმ გამოამჟღავნა იმპერიალისტების ანტისაბჭოთა თამაში, იმიტომ, რომ ძალიან მკვეთრად გაისმოდა და ფართო მასების თვალში ხელშეკრულების იდეასა და მიზანს დღითი-დღე ნდობას უკარგავდა უდავო თეზისი: საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე დადებული ხელშეკრულება ნამდვილად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ხელშეკრულებას წარმოადგენს.

ჩვენი მთავრობა გარკვეულ და სათანადო პასუხს გასცემს მოწვევაზე. ჩვენ, რასაკვირველია, პასუხს გავცემთ მხოლოდ მას შემდეგ, როცა გავეცნობით პარიზის ხელშეკრულების ყველა დოკუმენტს, რომელიც უკანასკნელ დრომდე საერთაშორისო დიპლომატიის საიდუმლოებას შეადგენს. ჩვენი პასუხი შეხამებული იქნება საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებთან. იგი დაფუძნებული იქნება აგრეთვე საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის ბრძოლის პოლიტიკაზე, რომელსაც ყველა კარგად იცნობს და რომელსაც ჩვენ მტკიცედ ვანხორციელებთ.

ეს პოლიტიკა პრინციპიალურად განსხვავდება იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკისაგან. ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკა და კაპიტალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა წარმოადგენენ ორს ერთმანეთთან მებრძოლ დასაბამს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში. ჩვენ ერთად-ერთი სახელმწიფო ვართ მსოფლიოში, მუშებისა და გლეხების ქვეყანა, რომელსაც შეუძლია პირდაპირ, პატიოსნად და აშკარად დასვას მშვიდობიანობისა და ომის ძირითადი მწვავე საკითხები, რომელსაც შეუძლია გულახდილად, გულწრფელად დაიცვას ნამდვილი მშვიდობიანობა და განიარაღება.

ჩვენი ნათელი და რეალური პროგრამა მშვიდობიანობისა ძირიან-ფესვიანად განსხვავდება იმპერიალისტებისა და მათი დამქაში სოციალისტების ცრუ ხოტბისაგან, რომელსაც ისინი „მშვიდობიანობას“ ასხამენ. მათი „ბრძოლა მშვიდობიანობისათვის“ წარმოადგენს მასების მოტყუების საშუალებას, სინამდვილეში კი ახალი ომის სამზადისს. მხოლოდ ჩვენს პოლიტიკას შეუძლია უზრუნველჰყოს ნამდვილი ბრძოლა მშვიდობიანობისათვის.

იმპერიალისტები შეგნებულად მიჯნავენ ომისა და მშვიდობიანობის საკითხებს შეიარაღებისა და განიარაღების საკითხებისაგან. ჩვენ კი პირდაპირ ვსვამთ საკითხს სრული და ნაწილობრივი განიარაღების შესახებ. იმპერიალისტებმა, მიუხედავად თავიანთი განცხადებისა, გააჭიანურეს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მოწვევა და, მის ნაცვლად, გაბეს უშინაარსო ლაყბობა ვითომდა „კონტროლის შესახებ იარაღის წარმოებაზე“, და ეს იმ დროს, როდესაც იარაღის წარმოება, რომლის ნამდვილ შეზღუდვას არავინ არ აპირებს, მართლაც და ჯოჯოხეთურის ტემპით ვითარდება. მათი პროგრამა სიტყვებისა და „შე[illegible]ების“ პროგრამაა, ისინი იცავენ მშვიდობიანობის „პრინციპს“, როგორც განაცხადა თავის სიტყვაში ბრიანმა, ხოლო ცნობილია, რომ იმპერიალისტურ მსოფლიოში „პრინციპები“ ახალი ომის სამზადისს გულისხმობენ.

ჩვენი პლატფორმა სდგას რეალური, პრაქტიკული მოქმედებისა და მშვიდობიანობისათვის ნამდვილ აქტიური ბრძოლის ნიადაგზე, იგი ნამდვილი განიარაღების პლატფორმაა, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შეიძლება საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარება. მათი ბრწყინვალე დეკლარაციები, ცარიელი სიტყვების რახა-რუხი არავის არაფერს ავალებს. ჩვენი მშვიდობიანობის პლატფორმა კი ისეთი პლატფორმაა, რომელიც ავალებს საქმის განხორციელებას. რით უნდა მიმართონ მათ მასებს, თუ არა ციცრუით და ვოდევილური ესტებით? მათსა და მასებს შორის აღმართულია პოლიციის გარდაუვალი კედელი. ჩვენ კი მივდივართ მასებში საერთაშორისო მშვიდობიანობის გაშლილი დროშით და ვეუბნებით მათ ლენინის ჭეშმარიტებას იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ომის საფრთხის საკითხი მანამდე, სანამ არსებობს იმპერიალისტური მონობა მსოფლიოს ხუთი მეექვსედის სივრცეზე.

მშვიდობიანობისა და ომის უდიდეს საკითხებში საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია ორივე ფეხით სდგას იმპერიალიზმის პლატფორმაზე და უარჰყოფს მშვიდობიანობისა და განიარაღების საბჭოთა პლატფორმას. იგი იმპერიალისტური ავანტურების წამომწყები და მლიქვნელია, იგი სამარცხვინო დანაშაულებრივ დახმარებას უწევს მილიტარიზმს, იგი სცდილობს გააკეთილშობილოს კელოგის ხელშეკრულისებური გამოგონებანი. იგი წინ უძღვება ყველა იმას, ვინც ლანძღვა-გინებით და ცილისწამებით ილაშქრებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, საბჭოთა მშვიდობიანობის პოლიტიკისა და განიარაღების წინადადებათა წინააღმდეგ.

განსაზღვრულ პირობებში ჩვენ საერთაშორისო ტრიბუნას ვიყენებთ ჩვენი მშვიდობიანობის პლატფორმის გამოსაქვეყნებლად და დასაცავად, ჩვენ ვიბრძოდით, ვიბრძვით და ვიბრძოლებთ მშვიდობიანობისა და განიარაღებისათვის. ჩვენ უკვე მოვიპოვეთ ამ ბრძოლით იმ მრავალ მილიონიანი მასების თანაგრძნობა და დახმარება, რომელნიც უფრო და უფრო რწმუნდებიან კაპიტალისტების გაკოტრებაში მათი „მშვიდობიანობის პროგრამასთან“ ერთად (რომელიც ნამდვილად ნიადაგს უმზადებს ახალ მსოფლიო ომს) და სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკის გამარჯვებაში. მათი „მშვიდობიანობა“ ხიშტებს ემყარება, ბინძურ ანგარებას, სისხლიან მოგებას, დანაშაულს, შანტაჟს; გაფართოებულ შეიარაღებას ემყარება. ჩვენი პლატფორმა კი ემყარება იმ მრავალ მილიონიანი მასების დახმარებას, რომელნიც დაბეჩავებულნი, დაჩაგრულნი და დამცირებულნი არიან ფულის ქისის ბარბაროსული დესპოტიზმით. რაც უნდა სიძნელე მოგველოდეს მომავალში, რაც უნდა მძიმე და ხანგრძლივი იყოს მომავალი ბრძოლა, ჩვენ მაინც გაბედულად ვივლით ჩვენი გზით.

არის ორი პროგრამა, ორი პლატფორმა ბრძოლისა, რომელთაგან მასებმა ერთ-ერთი უნდა ამოირჩიონ. ერთია იმპერიალისტების პლატფორმა, პლატფორმა ომის მომზადებისა, რომელსაც ალამაზებენ ტკბილი სიტყვებით მშვიდობიანობის შესახებ. მეორე კი—საბჭოთა კავშირის პლატფორმა, მუშათა და მშრომელთა პლატფორმა, ნამდვილი მშვიდობიანობისა და განიარაღების პლატფორმა, რომელსაც ჩვენ ვიცავთ და დავიცავთ კიდეც,—ის ერთად-ერთი პლატფორმაა, რომელიც ნამდვილად გამოხატავს მშრომელი კაცობრიობის არსებით ინტერესებს.

„პრავდა“. 29 აგვისტო.

პარიზის პროლეტარიატის დემონსტრაცია კელოგის პაქტის წინააღმდეგ

ვოლდემარასი პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის შესახებ

„ლიტვის ხალხი ვერ დაწყნარდება, სანამ არ დაიბრუნებს ვილნოს“

ბესარაბიელ ემიგრანტთა მემორანდუმი საპარლამენტთაშორისო კავშირის კონფერენციისადმი

კელოგის ხელშეკრულების გარშემო

პარიზის პროლეტარიატი დემონსტრაციებს აწყობს კელოგის ხელშეკრულების წინააღმდეგ

პარიზი, 28 აგვისტო. გამოვიდა „ჰუმანიტე“-ს სპეციალური ნომერი, რომელშიაც კომპარტია მოუწოდებს მუშებს — მოაწყონ დემონსტრაციები კელოგის ხელშეკრულების წინააღმდეგ. მოწოდება თავდება სიტყვებით: „მუშები არავის მისცემენ ნებას, რომ მათ პირში წყალი ჩაუყენონ. მოაწყეთ დემონსტრაციები ომის წინააღმდეგ და მუშათა და გლეხთა პირველი რესპუბლიკის—საბჭოთა კავშირის დასაცავად“.

ჰავასის სააგენტოს ცნობით, მუშების გამოსვლის მოლოდინში პოლიციამ გაძლიერებული მეთვალყურეობა მოაწყო, განსაკუთრებით პარიზის რაიონის ქარხნებსა და ფაბრიკებზე. მაგრამ არავითარ სერიოზულ ინციდენტებს ადგილი არ ჰქონიათ. პოლიციამ დააპატიმრა 53 კაცი ფურცლების დარიგებისა და მოწოდებათა გაკვრისათვის.

„ჰუმანიტე“-ს ცნობით, მუშათა დემონსტრაციები გაიმართა ზოგიერთ სადგურზე და თანხმობის მოედანზე. დემონსტრაციებს პოლიცია ფანტავდა. დააპატიმრეს 180 კაცზე მეტი. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარიზის ორგანიზაციის შენობები გარსშემორტყმულია პოლიციელებით. (ადს).

კულიჯი დუმერგი

პარიზი, 28 აგვისტო. კულიჯმა და დუმერგმა, კელოგის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერასთან დაკავშირებით, ერთმანეთს მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს.

კელლოგი პარიზიდან ირლანდიაში 29 აგვისტოს გაემგზავრება. (ადს).

ხელშეკრულებას უერთდებიან

პარიზი, 28 აგვისტო. დანია, სამხრეთი სლავია, რუმინეთი და პერუ დეპეშით იტყობინებიან, რომ ისინი ხელშეკრულებას უერთდებიან((ადს).

ოსლო, 28 აგვისტო. ამერიკის ელჩისაგან მიღებული ნოტის საპასუხოდ (ნორვეგიის მონაწილეობის შესახებ ომის ამკრძალავ ხელშეკრულებაში) ნორვეგიის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ნორვეგიის მთავრობა უერთდება ხელშეკრულებას და სტორტინგს პირველ შესაძლებლობისთანავე წარუდგენს სათანადო კანონპროექტსო. (ადს).

„ვილნოზე ფიქრი აღარ გვასვენებს“

კოვნო, 28 აგვისტო. სოფლის მეურნეთა ყრილობაზე გამოვიდა ვოლდემარასი, რომელმაც თავის სიტყვაში, სხვათა შორის, განაცხადა:

„დიდი ხანია უკვე, რაც მთელს ლიტვაში გაისმის სიმღერა: „ვილნოზე ფიქრი აღარ გვასვენებს“. პოლონელებსა და ლიტველებს შორის ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა და არც მალე დასრულდება. ლიტვის მესამედი თეთრი მტაცებელი არწივის ბრჭყალებშია. ჩვენ სხვისას არ მოვითხოვთ, ჩვენ გვინდა მხოლოდ მამაპაპეული მემკვიდრეობის თავმოყრა. მამა-პაპათა მემკვიდრეობის დასაცავად, მიწის მუშა იძულებულია იმავე დროს მხედარიც იყოს. ლიტვა ერთსულოვნად, მთელის გულით მოწადინებულია, რომ ვილნო დაიბრუნოს. ჩვენი ხალხი ვერ დამშვიდდება, სანამ ვილნოს არ მიიღებს“.

(ადს).

ინგლისს სურს ზარალი აინაზღაუროს

ბერლინი, 28 აგვისტო. „კენიგსბერგ ალგემეინე ცეიტუნგ“-ში მოთავსებულია წერილი, რომელიც ეხება ინგლისის პოზიციას პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტში. გაზეთის აზრით, **პასუხისმგებლობა პოლონეთ - ლიტვის კონფლიქტის გამწვავებისათვის ინგლისს უნდა დაეკისროს.** გაზეთის ცნობით, ინგლისს 1920 წელს მოლაპარაკება ჰქონია ლიტვასთან ინგლისისათვის სატყეო კონცესიის გადაცემის შესახებ. როცა მოლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა, ინგლისმა პოლონეთს მიმართა და მიიღო მისგან დიდი სატყეო კონცესია ბელოვეჟში. ინგლისის კონცესიონერებმა დიდი თანხა დააბანდეს ამ საქმეში, დაამზადეს დიდძალი ხე-ტყე, მაგრამ, რადგან მემელში მისი გატანა წყლით შეუძლებელი გახდა, მოჭრილი ხე-ტყე ადგილობრივ დარჩა და დიდი ნაწილი დალპა კიდეც. ეხლა **ინგლისის მთავრობა ძალას ატანს პოლონეთს და მოითხოვს პოლონეთ-ლიტვის დავის საჩქაროდ გადაწყვეტას, რომ კონცესიონერებს საშუალება მიეცეთ ზარალი აინაზღაურონ** (ადს).

ბესარაბიელ ემიგრანტთა პროტესტი

ოკუპაციის წინააღმდეგ

ვენა, 28 აგვისტო. პრესის ცნობით, ბესარაბიელმა ემიგრანტებმა ვენაში საპარლამენტთაშორისო კავშირის კონფერენციას ბერლინში გადასცეს საპროტესტო მემორანდუმი რუმინეთის მიერ ბესარაბიის ოკუპაციის წინააღმდეგ. მემორანდუმში დაწვრილებით არის აღწერილი ოკუპანტების თარეში 10 წლის განმავლობაში. მემორანდუმი მოითხოვს ბესარაბიის ევაკუაციას მას აუცილებლად მიაჩნია, ბესარაბიის ხალხმა თავისი ბედი თვითონ გადასწყვიტოს პლებისციტის საშუალებით. მემორანდუმი მოითხოვს აგრეთვე საერთაშორისო კომისიის დაარსებას ბესარაბიის საკითხის გამოსაკვლევად (ადს).

საპარლამენტთაშორისო კავშირის კონფერენცია

ბერლინი, 28 აგვისტო. იმ წინადადებებიდან, რომელნიც შეიტანეს ამ უკანასკნელ დღეებში საპარლამენტთაშორისო კავშირის კონფერენციაზე ბერლინში, ყურადღებას იქცევს ლინდჰაგენის (შვეცია) წინადადება იმის შესახებ, რომ კონგრესმა მოიწონოს არა მარტო კელოგის ხელშეკრულება, არამედ საბჭოთა პროექტიც განიარაღების შესახებ. ლინდჰაგენმა ურჩია აგრეთვე კონგრესს, მხარი დაუჭიროს ერთა ლიგის წესდების მუხლების გადასინჯვას იმ მხრივ, რომ ეს წესდება უფრო დაუახლოვონ იმ იდეალს, რომელიც ამჟამად ერთა ლიგას უნდა ჰქონდეს დასახული.

კონგრესმა უარჰყო ლინდჰაგენის წინადადება და გადასწყვიტა—მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს კელოგსა და ბრიანს. (ადს).

ამხ. ლიტვინოვის წერილის გამოძახილი

ლიტვინოვის წერილმა არევ-დარევა გამოიწვია ჟენევაში

ბერლინი, 28 აგვისტო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიულეტენი „სოციალ - დემოკრატიშერ პრესენდინსტ“-ი იუწყება ჟენევიდან, რომ ლიტვინოვის წერილმა, რომელიც მან განიარაღების კონფერენციაზე მომზადებელ კომისიის თავმჯდომარეს ლოუდენს გაუგზავნა, დიდი არევდარევა გამოიწვია ჟენევაში.

ბიულეტენის სიტყვით, ლიტვინოვის ჩივილი სრულიად სამართლიანია, რადგანაც მომზადებელი კომისიის უკანასკნელ სხდომაზე პირველად მართლაც იმის შესახებ ლაპარაკობდნენ, რომ შემდეგი სხდომა მოწვეულ ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, ერთა ლიგის მორიგ პლენარულ სხდომამდე. ბიუროს წევრები მეტად ულამაზოდ მოიქცნენ, როდესაც რეზოლიუციის საბოლოო რედაქციის სათანადო აბზაცი ამოშალეს უკანასკნელ წუთში ისე, რომ კომისიის წევრები სესიის დამთავრების შემდეგაც დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც გათვალისწინებული იყო შემდეგი სესიის მოწვევა 1928 წლის სექტემბრამდე. ბიულეტენის სიტყვით, დიდი ხანია საჭიროა „ლოუდენისა, პოლიტისისა და კოლბანიისაგან შემდგარი კომისიის ბიუროს ღირსშესანიშნავი ტროუმვირატის“ შეცვლა სხვა ისეთი პირებით, რომელნიც უფრო მეგობრულად არიან განწყობილნი განიარაღების საქმისადმი (ადს).

„ვერ ბედავენ თანხმობის გამოცხადებას“

ბერლინი, 28 აგვისტო. „კელნიშე ცეიტუნგ“-ის ჟენეველი კორესპონდენტი შემდეგს სწერს ამხ. ლიტვინოვის ნოტის შესახებ განიარაღების კომისიის თავმჯდომარე ლოუდენისადმი.

„თუ საბჭ. მთავრობა იწვევს ლოუდენს გამოააშკარაოს თავისი ფარული ზრახვები, მას ამისათვის საკმაო საფუძველი აქვს; საბჭ. მთავრობის მოქმედება ამ შემთხვევაში ეთანხმება მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების თვალსაზრისს, რომლებიც ვერ ბედავენ აშკარად განაცხადონ პროტესტი მხოლოდ იმიტომ, რომ არ უნდათ გადალახონ ერთა ლიგის მთლიანობის ფარგლები“. (ადს).

ბრიტანეთის საჰაერო ბაზა

სპარსეთის ყურეში

ლონდონი, 28 აგვისტო. „დეილი კრონიკლ“-ის ცნობით, ინგლისის მთავრობამ საბოლოოდ გადასწყვიტა—მოაწყოს ახალი საჰაერო ბაზა სპარსეთის ყურეში, ალბად, ბაორში. (ადს).

სამხედრო ვარჯიშობა ინგლისში

ლონდონი, 28 აგვისტო. ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთით საჰაერო მანევრების დასრულების შემდეგ, დაიწყო სამხედრო ვარჯიშობა სამხრეთ-დასავლეთის ოლქებში. დამცემი მხარის ოპერაციებში დიდ როლს თამაშობენ ტანკები. (ადს).

ქაოსი პოლიტიკურ პარტიებში

(წერილი ინგლისიდან)

პარლამენტი დათხოვილია ზაფხულის არდადეგებისთვის. უეჭველია მეტი დასვენება მას აღარ მოუხდება დაშლამდე, მიტომ რომ ახალი არჩევნები მომავალი წლის დასაწყისში უნდა მოხდეს. ყველაზე უფრო საყურადღებო მოვლენა დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაში ის ქაოსია, რომელიც ყველა პარტიაში არსებობს. ეს გარემოება მარტოოდენ პირადი შუღლითა და კინკლაობით როდი არის გამოწვეული, ყველა პარტიას აუტანელ ტვირთათ აწევს ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც თანდათან რთულდება და ძირს უთხრის როგორც ბრიტანეთის იმპერიას, ისე საზოგადოთ მთელს კაპიტალისტურ სისტემას.

პოლიტიკოსებს კარგათ ესმით თუ რამდენად გართულებულია მდგომარეობა, ისინი ყოველი ღონისძიებით სცდილობენ ბოძი შეუყენონ როგორც თვით სისტემას, ისე მის გამომხატველ ხელისუფლებას და ჯებირი აღმართონ აღზვირთებული კომუნიზმის წინააღმდეგ.

მთელი წლების განმავლობაში ეს ხალხი, კონსერვატორებიც, ლიბერალებიც და მუშათა პარტიის ბელადებიც კმაყოფილდებოდნენ იმით, რომ კომუნისტებს აბრალებდნენ მთელს იმ უბედურებას, რომელიც ღუპავს კაპიტალისტურ სისტემას. ეს ერთგვარი ტაქტიკა იყო მათი მხრით. საჭირო იყო მოსახლეობისთვის უბედურების ნამდვილი მიზეზებისა და ვითარების დამალვა, ხოლო იმავე დროს საზოგადოებრივი აზრის დამუშავება კომუნისტებისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იმ ომის მოლოდინში, რომელიც შეუჩერებლივ და ფარულად მზადდება ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროსა, სადმირალოსა, მთავარ შტაბსა და ყველა უწყებაში.

მაგრამ ამ ღრიანცელმა კომუნისტებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სნეულებას ხელი ვერ შეუშალა თავისი გამანადგურებელი მუშაობა განეგრძო. დღეს, მრავალჯერ გამტყუნებული აღთქმის შემდეგ, რომ კიდევ ცოტა მოვითმინოთ და ეს ესაა აღებმიცემობის და მრეწველობის აღორძინება დაიწყება, შეუძლებელი გახდა უბედურების დამალვა. უმუშევართა რიცხვი რეგულიარულად და შეუჩერებლივ მატულობს (უკანასკნელ კვირაში მომატება 35.000 კაცს უდრიდა; მთავრობის ცნობით უმუშევართა რიცხვი დღეს 1.289.900 უდრის, ე. ი. 256.000 კაცით მეტია, ვიდრე წარსულ წელს იყო), ღატაკთა არმია იზრდება, სამთამადნო მრეწველობა განუკურნებელ მდგომარეობაშია, საფეიქრო წარმოების დარგები კრიზისს განიცდის, რკინის გზის შემოსავალი კლებულობს, საგარეო ვაჭრობა ეცემა, დომინიონებსა და კოლონიებში დამოუკიდებლობის მოძრაობა ძლიერდება, დამორჩილებული ერები საერთო ბრძოლას იწყებენ ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ; ყველა ამ მოვლენამ უკანასკნელ დროს განსაკუთრებული სიმძაფრით იჩინა თავი. კაპიტალისტური პარტიების პოლიტიკოსებისთვის ამიერიდან შეუძლებელი გახდა ილიუზიების საზრდოობა და შენარჩუნება.

გაფაციცებით ეძებენ რაიმე წამალს. ძნელია მისი აღმოჩენა, მიტომ, რომ ის არ არსებობს კაპიტალისტურ სისტემაში. მეორე მხრით შეუძლებელია ამ გარემოების აღიარება, მიტომ, რომ ეს იქნებოდა კრახის დადასტურება. ზოგიერთს უკან დაბრუნება სურს, სრული პროტექციონიზმისკენ, როგორც მაგალითად კოლონიების მინისტრს ემერის და შინაგან საქმეთა მინისტრს, ჯოინსონ ჰიკსს; სხვებს, როგორც მაგალითად ბოლდუინს, ეშინიათ ამრჩევლების დაფრთხობისა და თანდათანობით უნდათ საქმის გაკეთება: ისინი აპირებენ მხოლოდ გამოსცადონ პროტექციონიზმის ზომები იმ იმედით, რომ შემდეგ ხელახლა დაუბრუნდებიან თავისუფალ ვაჭრობას, რომელსაც უინსტონ ჩერჩილი იცავს.

ამ უთანხმოებამ იმ შეხედულებათა დარგში, რომელიც კაბინეტს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ აქვს შემუშავებული, აშკარა კონფლიქტი გამოიწვია მის წევრებს შორის. რადგან ბოლდუინმა და მასთან ერთად კაბინეტის უმრავლესობამ უარი სთქვა დღესდღეობით ქვანახშირის მრეწველობისთვის მიღებული არაჩვეულებრივი ზომები რკინისა და ფოლადის ინდუსტრიაზე გაევრცელებია, ჯოინსონ ჰიკსი აშკარათ აუჯანყდა კაბინეტის გადაწყვეტილებას. თავის მხრით ჩერჩილი თავისუფალი ვაჭრობის პრინციპისთვის იბრძვის.

აჯანყებულნი სასტიკად დატუქსვილ იქმნენ იმ სხდომის დროს, რომლის მსგავსი ხანგრძლივობის მხრივ ჯერ არ ჰქონია ამ კაბინეტს, დადებულ იქმნა მოჩვენებითი საზავო ხელშეკრულება. სასურველი არ არის, რომ კონსერვატორების პარტია გათიშული წარსდგეს ამრჩევლების წინაშე, მაგრამ ეს მხოლოდ წარმავალი შეთანხმებაა და საეჭვოა, რომ მან დიდხანს გასტანოს. იდეური კონფლიქტი მოწესრიგებული არ არის კონსერვატიულ პარტიაში. პროტექციონიზმის მიმდევრები ცხარობენ და მოსალოდნელია, რომ ეს საკითხი შეხლა-შემოხლისა და გათიშვის მიზეზათ დარჩება მთავრობის პარტიისთვის.

ლიბერალური პარტია, რომელსაც იმედი აქვს, რომ ისარგებლებს კონსერვატორების გათიშვით პროტექციონიზმის საკითხში, თვითონაც შორსაა მთლიანობისაგან. ამ პატარა რაზმს წინანდებურად ლლოიდ ჯორჯი მეთაურობს, მაგრამ იგიც შესამჩნევად განიცდის მთელი სისტემის დაშლისა და დაქვეითების გავლენას.

რაც შეეხება მუშათა პარტიას, მკითხველს უკვე მოეხსენება, რა კრიზისს განიცდის იგი დღეს. იგი განსაკუთრებით საზიზღარ როლს თამაშობს დასახელებულ პარტიებს შორის. რეფორმისტების ბელადებმა ნიღაბი ჩამოიშორეს. ისინი მთელი ძალღონით ეხმარებიან კაპიტალიზმს და ტრედუნიონების გენერალური საბჭოს შემწეობით ჰყიდიან ორგანიზაციულად დარაზმულ მუშათა მოძრაობას. მთელი მათი გულისყური იქითაა მიმართული, რომ კომუნისტები გარეკონ და მემარცხენე მებრძოლები ალაგმონ.—ერი უნდა ვიხსნათო, გაიძახიან ტომას მანები და ბრომლეები, რომელნიც თანხმდებიან რკინისგზელების ხელფასის შემცირებას და კაპიტალისტურ რაციონალიზაციის ზომების შემოღებას, რასაც შედეგათ რამდენიმე ათასი მუშის დათხოვნა მოსდევს. „პატრიოტიზმის“ სახელით გენერალური საბჭო მონდსა და მის დამქაშებზე ჰყიდის მთელ მუშათა მოძრაობას.

ინგლისის კაპიტალისტური სისტემის ნგრევის სიდიადემ ნამდვილი შიშის ძრწოლა გამოიწვია ყველა პოლიტიკურ პარტიაში და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, უმთავრესად სათანადო წამლის უქონლობა იწვევს იმ გზადაბნეულობას და ქაოსს, რომელმაც ეს პარტიები მოიცვა.

ამ პირობებში მუშათა პარტიას თითქო საგანგებო როლი აქვს ჩაბარებული. მან თავის სპეციალობათ გაიხადა იერიშების მიტანა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა კავშირზე. როგორც სჩანს კაპიტალისტური პარტიების ბელადებს შორის საიდუმლო შეთანხმება არსებობს მუშათა პარტიას დაუთმონ იმ სამხედრო შეტევის მომზადებლის როლი, რომელიც ადრე თუ გვიან საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ უნდა დაიწყოს, მიტომ რომ იგი თავისი არსებობით ერთი მხრით ხელს უშლის კაპიტალიზმის აღდგენას, ხოლო მეორე მხრით გამამხნევებელ მაგალითს წარმოადგენს ევროპის მუშათა კლასისთვის, რომლის გამოუყენებლად შეუძლებელია ეს აღდგენა.

ჰ. დავიდ.

ლონდონი, აგვისტო.

კომინტერნის VI კონგრესი

სამანდატო კომისიის მოხსენება

მოსკოვი, 29 აგვისტო. 29 აგვისტოს, კონგრესის დილის სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. **რემელე** (გერმანია). მან აღნიშნა კონგრესის დელეგატის მოულოდნელად გარდაცვალებული, ხორეჟვოლაკის რევოლიუციონური დამსახურება; ამხ. ხორეჟვოლაკი იყო ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. დელეგატებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას.

სამანდატო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. **პიატნიცკიმ.**

კონგრესს ესწრება 515 დელეგატი (40 დელეგატით მეტი, ვიდრე მე-5 კონგრესს); 372 დელეგატს გადამწყვეტი ხმა აქვს, 143—სათათბირო. კონგრესზე მიწვეული იყო სულ 66 სექცია, რომლებშიაც ითვლება 4,024.159 წევრი. 52 სექციის დელეგატებს გადამწყვეტი ხმა აქვთ, 6 სექციის დელეგატებს — სათათბირო. იმ ორგანიზაციებიდან, რომელთაც გადამწყვეტი ხმა აქვთ, წარმომადგენლები არა ჰყავთ ავსტრალიას, პორტუგალიას, კორეას, პერუს და ფილიპინებს. კონგრესს ესწრებიან იმ ქვეყნების დელეგატებიც, რომლებსაც წარმომადგენლები არ ჰყავდათ მე-5 კონგრესზე; ეს ქვეყნებია: პალესტინა, კოლუმბია, სირია, ურაგვაი, ეკვადორი, პარაგვაი, ვენეცუელა, ახალი ზელანდია და ჩილი.

დელეგატების 30 პროცენტს შეადგენენ სოციალ-დემოკრატიული პარტიების ყოფილი წევრები; 58 პროცენტი კი სხვა პარტიებში არ ყოფილა.

კონგრესმა ერთხმად დაამტკიცა, სამანდატო კომისიის მოხსენება.

კომინტერნის წესდების შემცვლელი კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. **პიატნიცკიმ.** კონგრესმა ერთხმად მიიღო კომინტერნის წესდების დამატებანი და ცვლილებანი, რომლებსაც საჭიროდ სცნობდა კომისია; ამის შემდეგ სხდომა დაიხურა.

ახალგაზრდათა კომინტერნის V კონგრესი

ალმასკომის ანგარიში

მოსკოვი, 29 აგვისტო. 28 აგვისტოს დაიწყო ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მეხუთე კონგრესის საქმიანი მუშაობა. ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის ალმასკომის პოლიტიკური ანგარიში გააკეთა ალმასკომის მდივანმა ამხ. ხითაროვმა.

მომხსენებელმა აღნიშნა ახალგაზრდობის როლი მრეწველობასა, წარმოებასა და პოლიტიკაში. ეს როლი უკანასკნელ წლებში თვალსაჩინოდ გაიზარდა. მომავალი ომის ბედი საგრძნობლად დამოკიდებული იქნება, იმაზე, თუ როგორ მოიქცევა ახალგაზრდობა. ამიტომაც ჩვენი მტრები უფრო და უფრო მეტის ინტერესით ადევნებენ თვალყურს ახალგაზრდობას. ბურჟუაზიის პოლიტიკა ახალგაზრდობის მიმართ შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „მათრახისა და ნამცხვრის“ პოლიტიკა. პაციფისტური ფრაზების გავრცელებით, ახალგაზრდათა გაზეთების დაარსებით და სასპორტო მოედნების მოწყობით ბურჟუაზია სცდილობს ახალგაზრდობის ყურადღება ააშოროს პოლიტიკას. ამავე დროს იგი სერიოზულ ზომებს ღებულობს ახალგაზრდათა ორგანიზაციების მილიტარიზაციისა და ფაშიზაციისათვის. ბურჟუაზიას უყარებელი სახსარი მოეპოვება იმისთვის, რომ დააკმაყოფილოს ახალგაზრდობის ზოგიერთი მოთხოვნილება და მისი ყურადღება პოლიტიკის ნაცვლად, სპორტსა და თამაშობას მიაპყროს. ამ ორგანიზაციებს გარდა, ბურჟუაზიის განკარგულებაშია მრავალი მილიტარისტული და შოვინისტური ორგანიზაცია, ურომლისოდაც მომავალში მას ომი არ შეეძლება. გერმანიაში ასეთს ორგანიზაციებში 4 მილიონამდე წევრი ირიცხება. ახალგაზრდობის ფაშიზაცია განსაკუთრებით შორს წავიდა იტალიაში. როდესაც ბურჟუაზიას იერიში მიაქვს მუშათა ახალგაზრდობაზე, ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირები დამხმარე როლს ასრულებენ.

შემდეგ მომხსენებელმა ჩამოთვალა ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალისა და მისი სექციების მრავალი მიღწევა მეხუთე კონგრესის შემდეგ.

„ტროცკიზმთან ბრძოლაში,—სთქვა ამხ. ხითაროვმა,—ჩვენი სექციები ყოველთვის პარტიის მთლიანობას უჭერდნენ მხარს და ლენინიზმის ანდერძისა და კომინტერნის ერთგულნი რჩებოდნენ. ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს მასიურ მუშაობაში. გერმანიასა და სხვა ქვეყნებში ჩვენ შევქმენით ისეთი მშვენიერი ორგანიზაციები, როგორიც არის „იუნგშტურმი“.

ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის უდიდესი მიღწევაა აგრეთვე დაარსება ჩინეთის კომკავშირისა, რომელმაც რევოლიუციაში დიდი როლი ითამაშა.

ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის დიდ მიღწევებს მოწმობს აგრეთვე ჩვენი არალეგალური კავშირების ბრძოლა ბულგარეთსა, იტალიასა და პოლონეთში და ახალი კავშირების შექმნა საბერძნეთსა, პალესტინასა, სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებსა და ავსტრალიაში.

როდესაც ჯამს ვუკეთებთ ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მიღწევებს, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ სრულიად საკავშირო ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირიც, რომელსაც ამჟამად 2 მილიონი წევრი ჰყავს და რომელიც საბჭოთა კავშირში პროლეტარული დიქტატურის ერთ-ერთი დასაყრდენია.

ჩვენ არ ვმალავთ ჩვენს სუსტ მხარეებს. ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის სექციების უდიდეს ნაკლს წარმოადგენს წევრთა მეტის-მეტი ცვალებადობა და აგრეთვე წევრთა რიცხვის ნელი ზრდა. მეორე ნაკლი არის ის, რომ ორგანიზაციულად მოწყობასა და პოლიტიკურ გავლენას შორის არ არსებობს შეთანხმება. ჩვენ ჯერ კიდევ ვერა ვართ საკმაოდ შესულნი წარმოებებში; მასიურ ორგანიზაციებში კომკავშირის როლი ჯერ კიდევ ძალიან უმნიშვნელოა. სუსტია ჩვენი მუშაობა აგრეთვე გლეხობაშიც.

ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ომის წინააღმდეგ კარგად დაწყებული ბრძოლის გაგრძელება. რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევიდეთ წარმოებაში, განსაკუთრებით, მსხვილ წარმოებაში. უნდა გავაძლიეროთ მუშაობა კოლონიებში, კერძოდ, უნდა დავეხმაროთ ჩინეთის კომკავშირს, უნდა შევქმნათ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი ინდოეთში და უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს სამხრეთი ამერიკის რესპუბლიკებში.

ამ კონგრესზე ჩვენ მთელის სიგრძე-სიგანით უნდა დავსვათ ხელმძღვანელობის პრობლემა. ჩვენ ყველა მთავარ სექციაში მოვახერხეთ მტკიცე ხელმძღვანელი წრეების შექმნა და აქტივისტთა ახალი კადრების გამოყოფა. მაგრამ ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხი მეტად აქტუალურია. საჭიროა კომკავშირის წევრების დიდი აქტივიზაცია“.

ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესის შემდეგი სხდომა მოხდება 29 აგვისტოს. ალმასკომის საორგანიზაციო ანგარიშით გამოვა ამხ. გორკინი (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პოლონეთის მორიგი პროვოკაცია

მოსკოვი, 29 აგვისტო. გაზეთ „იზვესტია“-ს საკუთარი კორესპონდენტი რიგიდან — ბორისოვი შემდეგს გადმოგვცემს:

გაზეთ „ლატვიას სარგეში“ დაბეჭდილია ცნობა იმის შესახებ, რომ რიგაში გავრცელდა ხმები, თითქოს პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის სწარმოებს ფარული მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკებაზე, როგორც ამას აღნიშნავენ რიგას წრეებში, თითქოს უნდა გადაწყდეს ბალტიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის ბედი.

გაზეთ „იზვესტია“-ს რედაქცია კომენტარიებს უკეთებს საკუთარ კორესპონდენტების ამ ცნობას და აღნიშნავს, რომ ამ ხმების გავრცელებით პოლონეთი მიზნად ისახავს გაამაგროს თავისი პოზიცია ბალტიის სახელმწიფოებში და მოევლინოს მათ, როგორც ბალტიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის გარანტი.

„ძირს კელოგი — გაუმარჯოს საბჭოებს“

მოსკოვი, 29 აგვისტო. „პრავდა“-ს საკუთარი პარიზელი კორესპონდენტი გაბრიელ პერი იტყობინება:

კელოგის პაქტის ხელის მოწერის დღეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცეკას ინიციატივით გაიმართა პარიზის პროლეტარიატის მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია.

დემონსტრანტებმა გაიარეს ქალაქის მთელი რიგი ქუჩები შემდეგი ლოზუნგით: „ძირს კელოგი— გაუმარჯოს საბჭოებს“.

პოლიციამ წინდაწინვე მიიღო ზომები დემონსტრაციისათვის ხელის შესაშლელად. დაპატიმრებულ იქნენ დემონსტრაციის ზოგიერთი ორგანიზატორები, ალყა შემოარტყეს კომპარტიის ცეკას შენობას და სხვა. ბევრ უბნებში დემონსტრანტები პოლიციამ ძალით გარეკა.

ამხ. მიქოიანი საგარეო ვაჭრობის შესახებ

მოსკოვი, 29 აგვისტო. საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის უკანასკნელ სხდომაზე, ვაჭრობის სახალხო კომისარმა — ამხ. მიქოიანმა გააკეთა ვრცელი მოხსენება ჩვენი საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში ბრძოლა საგარეო ვაჭრობის აქტიურ ბალანსის მისაღწევად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ საგარეო ვაჭრობის ბრუნვიდან გამოგვაკლდა ისეთი დიდი საექსპორტო საქონელი, როგორიცაა პური. იმისათვის, რომ უცხოეთთან ვაჭრობის საქმე ნორმალურ დონემდე იქნეს აყვანილი, საჭიროა გავაძლიეროთ მრეწველობის ნაწარმოების და ნახევარ ფაბრიკატების გაზიდვა საზღვარგარეთის ბაზარზე.

საბჭოთა მრეწველობის პროდუქციას შეუძლია ფართე გასავალი ჰპოვოს აღმოსავლეთ ქვეყნების ბაზარზე. რაც შეეხება ნახევარფაბრიკატებს, ასეთი უნდა გატანილ იქნეს ევროპის ქვეყნებში.

მოსკოვის გუბერნიის გლეხობამ უკვე გაიღო 10 მილ. მანეთი

მოსკოვი, 29 აგვისტო. კამპანია ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების გავრცელებისათვის მოსკოვის გუბერნიის სოფლებში წარმატებით მიმდინარეობს. ამას მოწმობს, სხვათა შორის, ის, რომ დღემდე ინდუსტრიალიზაციის სესხზე მოსკოვის გუბერნიის გლეხებმა უკვე გაიღეს ათი მილიონი მანეთი. ძალდატანების შემთხვევებს ადგილი არ ქონია. გლეხობა ნებაყოფლობით და სრული შეგნებით აწერს ხელს სესხზე. განსაკუთრებით უწყობენ ხელს კამპანიას კოლექტივები, საბჭოთა მეურნეობები და არტელები.

საცდელი მობილიზაციის გარშემო

საცდელი მობილიზაცია და მრეწველობა

საცდელი მობილიზაციის შესახებ ჩვენ თანამშრომელთან საუბრის დროს საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ყურულაშვილმა განაცხადა:

საცდელი მობილიზაციის ამოცანას მრეწველობის მიმართ შეადგენდა იმის გამორკვევა, თუ რამდენათ მზად არის საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობა თავდაცვის ამოცანების შესასრულებლად.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა მრეწველობამ ეს ამოცანა წარმატებით შეასრულა. მუშები შესაკრებ პუნქტზე მთელი ასი პროცენტით გამოცხადდნენ და ამით ნათლად დაამტკიცეს, რომ თავდაცვის საქმეს ისინი სრული შეგნებით უდგებიან.

წარმოებებმა თავისი მუშაობა სავსებით შეუფარდეს მობილიზაციის პირობებს, შრომის დისციპლინა ამ დღეებში კიდევ უფრო განმტკიცდა და მიუხედავად იმისა, რომ მუშების დიდი რაოდენობა შესაკრებ პუნქტზე იყო გაწვეული, შრომის ნაყოფიერება სრულებით არ შემცირებულა.

ყველა ეს გარემოება მოწმობს, რომ საქართველოს ნორჩმა მრეწველობამ ეს გამოცდა წარმატებით დაიჭირა და ნამდვილ მობილიზაციის შემთხვევაში მუშათა კლასი მტკიცედ და ერთსულოვნად დადგება თოფ-ქვეშ ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

საცდელი მობილიზაცია და პროფკავშირები

(საუბარი ამხ. მაჩაიძესთან)

საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მაჩაიძემ საცდელი მობილიზაციის მსვლელობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

საცდელმა მობილიზაციამ ნათლად დაგვანახვა, რომ საქართველოს პროფესიონალური კავშირები ყოველ წუთს არიან მზათ იარაღით ხელში დაიცვან საბჭოთა ქვეყანა მტრის თავდასხმისაგან.

როგორც კი მიღებული იქნა დეპეშა, რომ თბილისში და თბილისის მაზრაში გამოცხადებულია საცდელი მობილიზაცია, პროფკავშირები მაშინვე ამუშავდნენ და ერთი საათის განმავლობაში ყველაფერი იყო მზათ, რომ სამობილიზაციო მუშაობას შევდგომოდით.

წარმოება - დაწესებულებებში ერთხულოვნათ ჩატარებულ მიტინგებმა დაგვანახვეს, რომ თბილისის პროლეტარიატი საჭიროების დროს ერთსულოვნათ აისხამს იარაღს და ღირსეულ პასუხს გასცემს საბჭოთა ქვეყნის მტრებს.

ალსანიშნავია ის გარემოება, რომ საცდელ მობილიზაციის დღეებში წარმოებებში საგრძნობლად განმტკიცდა შრომის დისციპლინა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ საცდელ მობილიზაციით გაწვეულს დაეგვიანებინოს სამუშაოზე მას შემდეგ, როცა მან გაიარა შესაკრები პუნქტი.

შრომის ნაყოფიერება ამ დღეებში უცვლელად იდგა სათანადო სიმაღლეზე.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თბილისის პროლეტარიატმა საცდელი მობილიზაცია ჩაატარა მწყობრად, მხნეთ და პანიკის ყოველგვარი ნიშნის გარეშე.

ყარაიას გლეხობისაგან

ყარაიდან მიღებულია დეპეშა ამხ. ლევანდოვსკის, კ. პ. საოლქო კომიტეტისა და საქ. სახკომსაბჭოს სახელზე.

„ყარაის რაიონის გლეხობა გილოცავთ საცდელი მობილიზაციის წარმატებით ჩატარებას. შეგიძლიათ იქონიოთ სრული იმედი, რომ ნამდვილი მობილიზაცია უფრო დიდის ენტუზიაზმით ჩატარდება.

ყარაიას რაიონის გლეხობა“.

ჯავშნოსანის აგების გარშემო

ბერლინი, 28 აგვისტო. გერმანიის კომპარტიის მოწვევით შეიკრიბნენ 35 ორგანიზაციის წარმომადგენელნი, მათ შორის ყველა უპარტიო პროლეტარულ ორგანიზაციის და მთელი რიგი მემარცხენე ბურჟუაზიული ინტელიგენტური პაციფისტური ორგანიზაციების წარმომადგენელნი. მათი შეკრების მიზანია — ჯავშნოსანის აგების შესახებ საყოველთაო სახალხო კენჭისყრის საკითხის განხილვა. კრებაზე არჩეულ იქნა კომისია, რომელმაც კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებთან ერთად უნდა განიხილოს იმ კანონპროექტის ფორმულა, რომელსაც კომპარტია წარადგენს რეიხსტაგში. არჩეული იქნა აგრეთვე მოსამზადებელი კომისია 7 კაცის შემადგენლობით. ამ კომისიის ამოცანაა — გაადიდოს იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც საყოველთაო სახალხო კენჭის ყრას ემხრობიან. კომისიაში შედიან ლედებური, რეიმანი, ფოლკი, მიუნცენბერგი და პიკი.

უარყოფილ იქნა კომუნისტების წინადადება რეიხსტაგის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ

ბერლინი, 28 აგვისტო. ბერლინის უხუცესთა საბჭომ უარყო კომუნისტების წინადადება რეიხსტაგის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ ჯავშნოსანის აგების საკითხის განსახილველად.

პოზიცია, რომელიც დაიჭირეს სოციალ-დემოკრატებმა უხუცესთა საბჭოს სხდომაზე, საუცხოო საბუთია იმისა, რომ სოციალ-დემოკრატებმა მტკიცეთ გადაწყვიტეს გაატარონ შეიარაღების პოლიტიკა. იმ მოჩვენებითი ოპოზიციას, რომელიც გამოიწვია სოციალ-დემოკრატ მინისტრების მიერ ჯავშნოსანის აგებისათვის ხმის მიცემამ, დასახული ჰქონდა მასების სიფხიზლის მიძინება (ადს).

წინადადებით სახელმწიფო დაწესებულებებს სხვადასხვა — — — —.

მდგომარეობა ჩინეთში

გლეხების აჯანყება დაიჩჟოუს მახლობლად

პეკინი, 28 აგვისტო. ტოხოს სააგენტოს ცნობით, დაიჩჟოუს მახლობლად აჯანყდა 2.000 გლეხი. „წითელი შუბების“ ადგილობრივ ორგანიზაციის დახმარებით აჯანყებულებმა დაამარცხეს ჯარი. (ადს).

ნანკინის მთავრობის პასუხი იაპონიის ნოტაზე

შანხაი, 28 აგვისტო. ნანკინის ოფიციალური სააგენტო გომინი აქვეყნებს ნანკინის მთავრობის პასუხს იაპონიის 31 ივლისის ნოტაზე. ნოტაში ნანკინის მთავრობა სიხარულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ იაპონიის მთავრობა დასთანხმდა აწარმოოს მოლაპარაკება ახალი ხელშეკრულების დასადებად.

„რადგან იაპონიის მთავრობა დასთანხმდა აწარმოოს ჩინეთთან მოლაპარაკება ახალი ხელშეკრულების დასადებად,—ნათქვამია ნოტაში,—ნანკინის მთავრობა მოელის, რომ იაპონიის მთავრობა დაუყოვნებლივ დანიშნავს დელეგაციას მოლაპარაკების დასაწყებად“. (ადს).

იაპონია და ნანკინის მთავრობა

ტოკიო, 28 აგვისტო. იაპონიის მთავრობამ დაადგინა, არ უპასუხოს ნანკინის მეორე ნოტას ხელშეკრულებათა გადათვალიერების შესახებ, ვინაიდან ნანკინმა „ჯერ საკმაო გულწრფელობა ვერ გამოიჩინა“ (ადს).

კონტროლი იარაღის წარმოებაზე

ბერლინი, 28 აგვისტო. ერთა ლიგის სპეციალური კომისიის სხდომამ იარაღის წარმოებაზე კონტროლის შემოღების საკითხში გამოააშკარავა არსებულ წინააღმდეგობათა შერიგების სრული შეუძლებლობა.

ნაწილი დელეგატებისა, საფრანგეთის წარმომადგენლის მეთაურობით მხარს უჭერდა კონტროლის შემოღებას, უმთავრესად, იარაღის კერძო წარმოებაზე. მეორე ნაწილი დელეგატებისა, შეერთებული შტატების წარმომადგენლის მეთაურობით, მოითხოვდა ერთნაირი კონტროლის შემოღებას იარაღის როგორც კერძო, ისე სახელმწიფო წარმოებაზე.

კომისიის თავმჯდომარემ, გერმანიის დელეგატმა ბერნსტორფმა, აღნიშნა მოლაპარაკების უნაყოფობა და შეიტანა წინადადება ერთა ლიგის საბჭოში სათანადო მოხსენების წარდგენის შესახებ (ადს).

რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის დეპეშა

მოსკოვი, 29 აგვისტო. რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილეს ამხ. ლიტვინოვს გამოუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„პასუხად თქვენი დეპეშისა დუნაიზე წყლის ტრანსპორტის დაზიანებულ საშუალებათა ევენტუალური გაყიდვის შესახებ, შემიძლია მხოლოდ განვაცხადო, რომ რუმინეთის მიერ დაჭერილი პოზიცია ეთანხმება საერთაშორისო სამართალს. ამასთანავე დავსძენ: რადგან არავითარი წინადადება არ შემოსულა იმ გემების ყიდვის შესახებ, რომლებიც თქვენ გაინტერესებთ, ამიტომ რუმინეთის გზათა მინისტრი ამ გემებს დასტოვებს ძველ მდგომარეობაში. ამგვარად, პრაქტიკულად საკითხი აღარ სდგება. გარეშე საქმეთა მინისტრი არჟეტიანო“. (ადს).

სპორტინტერნის კონგრესი

მოსკოვი, 29 აგვისტო. 28 აგვისტოს დამთავრდა სპორტინტერნის კონგრესი. კონგრესმა მოიწონა სპორტინტერნის აღმასკომის მოქმედება და დასახა მუშათა სასპორტო მოძრაობის მორიგი ამოცანები.

სპორტინტერნის და მისი სექციების უმთავრეს ამოცანად კონგრესმა სცნო ბრძოლა მოსალოდნელი ომის საფრთხესთან, რაიც პროლეტარიატის რიგების და, მათ შორის მუშათა სასპორტო ორგანიზაციების მაქსიმალურ დარაზმვას და მთლიანობას მოითხოვს.

კონგრესმა დაავალა სპორტინტერნში შემავალ ორგანიზაციებს—აწარმოონ დაუნდობელი ბრძოლა გამთიშველებთან და დარაზმონ ლიუცერნის ინტერნაციონალის წევრები რეფორმისტური ხელმძღვანელობის მოსასპობად და მუშათა სასპორტო ორგანიზაციების რიგების მთლიანობის მისაღწევად. (ადს).

სხვადასხვა

ბელგრადის გაზეთები მაცეკისა და კრუსვიჩის სამართალში მიცემის შესახებ

ვენა, 28 აგვისტო. ბელგრადიდან იუწყებიან: პრესაში გაცხოველებული კომენტარიები გამოიწვია სამხრეთ-სლავიის მთავრობის გადაწყვეტილებამ—სამართალში მისცეს ხორვატიის გლეხთა პარტიის ლიდერები მაცეკი და კრუსვიჩი. ბელგრადის გაზეთები სწერენ, რომ მაცეკს ბრალად დასდებენ სახელმწიფოს ღალატსო (ადს).

კონფისკაცია გაზეთისა, სადაც დაიბეჭდა ბუხარინის მოხსენება

ვენა, 28 აგვისტო. სოფიიდან იუწყებიან. ხელისუფლების წარმომადგენლებმა კონფისკაცია უყვეს დამოუკიდებელი მუშათა გაზეთის „ნოვინის“ იმ ნომერს, რომელშიაც დაიბეჭდა ბუხარინის მოხსენება კომინტერნის პროგრამის შესახებ. პროკურორმა სამართალში მისცა გაზეთის რედაქტორი სახელმწიფოს დაცვის კანონის ძალით (ადს).

კელნის პოლიციის განკარგულება დემონსტრაციების შესახებ

ბერლინი, 28 აგვისტო. კელნის პოლიციის უფროსმა, სოციალ-დემოკრატმა ბაუკნეხტმა გამოაქვეყნა განკარგულება, რომლის ძალითაც დემონსტრაციისათვის ნებართვა გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება 14 დღით ადრე იქნება გაფრთხილებული ამის შესახებ. ამ განკარგულების ძალით, პოლიციამ აკრძალა რემედასის ადგილობრივი სექციის მიერ მოწყობილი ამნისტიით განთავისუფლებული პოლიტიკურ დამნაშავეთა შეხვედრა, რომლის შესახებაც ხელისუფლებას ეცნობა 2 დღით ადრე.

ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ კელნის პოლიციის უფროსის განკარგულება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მუშათა მოძრაობისათვის ვინაიდან იგი მუშებს საშუალებას უსპობს—გამოეხმაურონ მიმდინარე პოლიტიკურ ამბებს (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ამხ. ხორაზ-ვოლეკის გვამის კრემაცია

მოსკოვი, 29 აგვისტო. დღეს კომინტერნის კონგრესის ახალგაზრდა კომუნისტური ინტერნაციონალის მეხუთე კონგრესის დელეგაციებმა მოასვენეს კრემატორიუმში კომინტერნის მეექვსე კონგრესის წევრის ამხ. ხორაზ-ვოლეკის გვამი. კრემატორიუმის დარბაზში კომინტერნის კონგრესის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ბელა-კუნმა და ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციის წევრმა ამხ. ზაპოტოცკიმ წარმოსთქვეს სიტყვები, რომლებშიდაც დაახასიათეს ამხ. დორაზ-ვოლეკის რევოლიუციონური მუშაობა. (ადს).

დემონსტრაცია პლებისციტის სასარგებლოდ

ბერლინი, 29 აგვისტო. ბერლინის ვედინგის რაიონში გაიმართა დემონსტრაცია. დემონსტრანტები მოითხოვდნენ საყოველთაო სახალხო კენჭის ყრას ჯავშნოსანის საკითხის გადასაწყვეტად. ვედინგის ყველა ქუჩა მორთული იყო წარწერებით და კომუნისტური ლოზუნგებით საყოველთაო სახალხო კენჭისყრის შესახებ. ორატორები, რომლებსაც მუშები აღტაცებით ეგებებოდნენ, ხაზს უსვამდნენ დემონსტრაციის პოლიტიკურ მნიშვნელობას და აღნიშნავდნენ, რომ ეს დემონსტრაცია წარმოადგენს მასების მობილიზაციას საყოველთაო სახალხო კენჭის ყრის უფლების მოსაპოვებლად. დემონსტრანტების დაშლის დროს მოხდა შეტაკება პოლიციასთან. პოლიციამ ასტეხა სროლა და დასჭრა რამდენიმე დემონსტრანტი (ადს).

„კრასინ“-ის მიღება ნორვეგიაში „კრასინ“-ი ზღვაში გავიდა

მოსკოვი, 29 აგვისტო. 29 აგვისტოს მოსკოვში დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი გროზა. ამხ. გროზას სიტყვით, „კრასინ“-ს განსაკუთრებით თბილად შეხვდნენ ნორვეგიაში. „კრასინ“-ის ეკიპაჟს დიდი ყურადღებით ეგებებოდნენ, სხვათა შორის მაღაზიებში მათ ფასდაკლებით აძლევდნენ საქონელს, ტაქსომოტორების პატრონები არ ართმევდნენ ფულს მგზავრობისათვის, საზაფხულო ბაღებმა მისცეს „კრასინ“-ის ეკიპაჟს უფასო შესასვლელი ბილეთები. ასეთივე პატივისცემით შეხვდნენ საბჭოთა ექსპედიციის წევრებს შვეციაშიც. „კრასინ“-ი მშვენივრად არის შეკეთებული. ყინულისმჭრელი დატვირთულია სურსათის დიდი მარაგით, რომელიც ექსპედიციას რამდენიმე თვეს ეყოფა. „კრასინ“-ი უკვე გავიდა ზღვაში. ექსპედიციის მონაწილენი ჯანმრთელად არიან და მშვენივრად გრძნობენ თავს. „კრასინ“-ი მიდის ამჟამად კინგსბეიში, სადაც მას უცდის ჩუხნოვსკი. ჩუხნოვსკისთან თათბირის შემდეგ შესდგება ახალი ექსპედიციის საბოლოო გეგმა. ფიქრობენ, რომ „კრასინ“-ი წაიღებს ჩუხნოვსკის თვითმფრინავს და გასწევს შვიდი კუნძულის ჯგუფისაკენ, სადაც განზრახულია გასაჩერებელი ბაზის გამოძებნა. აქედან ჩუხნოვსკი მოახდენს რამდენიმე ხანგრძლივ გაფრენას. თუ ჩუხნოვსკიმ აღმოაჩინა ადამიანები, ყინულის მჭრელი წავა თვითმფრინავის მიერ ნაჩვენები მიმართულებით. ხოლო თუ ჩუხნოვსკის ცდებმა უნაყოფოდ ჩაიარა, „კრასინ“-ი წავა ფრანც იოსების მიწისაკენ და შეეცდება თვითმფრინავის საშუალებით გამოიკვლიოს სვალბარდისა და ფრანც იოსების მიწის შორის მდებარე მთელი რაიონი. შემდეგში, ალბად, „კრასინ“-ის მთელი მუშაობა იწარმოებს, უმთავრესად, ფრანც იოსების მიწის რაიონში. ექსპედიციის მთელი შემადგენლობის აზრით, მეტეოროლოგიური პირობებისა და ყინულის მდგომარეობის შეცვლის გამო ახალი რეისი გაცილებით უფრო მძიმე იქნება, ვიდრე პირველი. ყველაზე უფრო დიდი საფრთხე „კრასინ“-ს ღელვის დროს მოელის. სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს აგრეთვე პოლიარული ღამის დადგომაც, როდესაც ყინულისმჭრელს უშუქეროდ მუშაობა მოუხდება (ადს).

„კრასინ“-ის ექსპედიციის მასალები

მოსკოვი, 29 აგვისტო. „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტის განკარგულებით „კრასინი“-დან მოსკოვში გადმოგზავნეს განსაკუთრებული ღირებულების ტვირთი—ჟურნალი, რომელიც „კრასინზე“ გამოდიოდა, მრავალი ფოტონეგატივი და გადაღებული კინო-მასალები, აგრეთვე ექსპედიციის ხელმძღვანელთა წერილები: „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტმა შეუდგა ამ მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ძვირფას მასალების გამოქვეყნებას. ექსპედიციის დროს გადაღებულ ფილმას გამოუშვებს სოვკინო. ფილმა მზად იქნება დაახლოვებით ერთი თვის შემდეგ (ადს).

ინგლისის გაზეთები ტოლსტოის შესახებ

ლონდონი, 28 აგვისტო. ტოლსტოის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო ბევრმა ინგლისურმა გაზეთმა მოწინავე და სპეციალური წერილები მოათავსა. (ადს).

პარტიის მოქმედების შეჩერება

რიგა, 28 აგვისტო. სასამართლოში საქმის გარჩევამდე შინაგან საქმეთა მინისტრმა შეაჩერა დამოუკიდებელი სოციალისტების პარტიის მოქმედება. პარტიას ბრალდება 22 აგვისტოს მოწყობა აკრძალული დემონსტრაციისა დამოუკიდებელი პროფკავშირების დევნის წინააღმდეგ. (ადს).

ამხ. პოკროვსკის შეუსრულდა 60 წელი

მოსკოვი, 29 აგვისტო. 30 აგვისტოს მ. ნ. პოკროვსკის შეუსრულდება 60 წელი. ვინაიდან ამხ. პოკროვსკი საზღვარგარეთ იმყოფება, მრავალმა სამეცნიერო დაწესებულებამ შუამდგომლობა აღძრა, რომ კომუნ. აკადემიის და სხვა დაწესებულებათა სხდომა ამხ. პოკროვსკის სამეცნიერო და პოლიტიკური მოღვაწეობის აღსანიშნავად, გადადებულ იქნას 25 ოქტომბრისათვის. (ადს).

გრიგალი

სოხუმი, 28 აგვისტო. გალის მაზრაში სოფ. ოტობაიასა და სოფ. პაიჭიდო-ნაჭყადოვის რაიონში ამოვარდა საშინელი გრიგალი, რომელმაც დაანგრია შენობები. გლეხების საოჯახო ნივთები რამდენიმე ვერსზეა დაფანტული. დაშავდა ორი ადამიანი. საერთო ზარალი დაახლოვებით 5.000 მანეთს უდრის. პირველი დახმარება დაზარალებულთ აღმოუჩინა ოტობაის საკრედიტო ამხანაგობამ.

დიდმა წვიმამ და სეტყვამ გადაიარა გუდაუთის მაზრის სოფ. აჭანდარაზე. სეტყვამ გააფუჭა 100 დესეტინაზე მეტი სიმინდის ნათესები და თამბაქოს პლანტაციები (ადს).

ბაქოს საბჭოს პლენუმი პურის დამზადების შესახებ

ამხ. შ. ელიავას მოხსენება

ბაქო, 29 აგვისტო. 28 აგვისტოს საღამოთი შესდგა ბაქოს საბჭოს გაფართოვებული პლენუმი, რომელზედაც ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ელიავამ გააკეთა მოხსენება პურის დამზადების შესახებ. „ამიერ-კავკასია,—სთქვა ამხ. ელიავამ,—არასოდეს არ ყოფილა პურის დამზადების რაიონი, იგი ყოველთვის მომხმარებელი რაიონი იყო. საბაზრო პური არ მოიპოვება მთელ ამიერ-კავკასიაში. პურის ზედმეტი რაოდენობა, რომელიც მოიპოვება ზოგიერთ რაიონში, ხმარდება პურის დეფიციტის დაფარვას სხვა რაიონებში. წრეულს ჩვენ პირველად ვიწყებთ პურის დამზადებას ამიერ-კავკასიაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პურის შემოტანა შემცირდება. პურის დამზადების მიზანს ამიერ კავკასიაში შეადგენს თესლეულის მოთხოვნილების დაკმაყოფილება და აგრეთვე იმ რაიონების უზრუნველყოფა, სადაც მოსალოდნელია ცუდი მოსავალი. პურის დამზადების იმ დეფექტებმა, რომელთაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირში, ამიერ-კავკასიამშიაც იჩინეს თავი. ადგილი ჰქონდა კონკურენციას სხვადასხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის, აღმასკომებსა და კოოპერაციას შორის და სხვ.

ამიერ-კავკასიაში განზრახული გვქონდა 3 მილ. ფუთი მარცვლეულის დამზადება. ეს მარცვლეული სათანადოდ იყო დანაწილებული რესპუბლიკებს შორის, უმთავრესად აზერბეიჯანსა და საქართველოს შორის. პირველ კვარტალში აზერბეიჯანში დამზადებულ იქნა გეგმით გათვალისწინებული 38,5 პროც. ხოლო საქართველოში—ცოტა ნაკლები. საეჭვოა, რომ შევძლოთ პურის დამზადების ამ პროგრამის სავსებით შესრულება, ვინაიდან ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, როგორი იქნება მოსავალი დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, პურის დამზადების პირველი გამოცდილება ამიერ-კავკასიაში იმის აშკარა მაჩვენებელია, რომ ჩვენ სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ პურის დამზადების საქმეს, გავადიდოთ მოსავლიანობა და სხვა.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რის შემდეგაც პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, ამ რეზოლიუციაში პლენუმი აღნიშნავს პურის დამზადების პროგრამის დამაკმაყოფილებელ შესრულებას აზერბეიჯანში, ხაზს უსვამს აზერბეიჯანში პურის დამზადების წარმატებითი შესრულების დიდ მნიშვნელობას და მოითხოვს დასახული პროგრამის უზრუნველყოფას ყოველი ღონისძიებით პლენუმი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული ენერგიული ზომებით მშრომელთა აქტიური დახმარებით, სავსებით უზრუნველყოფილი იქნება პურის დამზადების წარმატებითი მსვლელობა როგორც მთელ კავშირში, ისე აზერბეიჯანში. (ადს).

საბჭოთა კავშირში

წითელი არმიის მანევრები

მოსკოვი, 29 აგვისტო. სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის ცნობით, წითელი არმიის მანევრები 1928 წელს გაიმართება სექტემბრის პირველ რიცხვებში. მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ ხმელეთისა და საჰაერო ნაწილები და თავდაცვა-ავიაქიმის ნაწილები. კიევის რაიონში, სხვა ოლქებისაგან განსხვავებით მანევრები შედარებით დიდი მასშტაბით გაიმართება. მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ პასუხისმგებელი ორგანიზაციები და ადგილობრივი მოსახლეობა.

მუშურ-გლეხური წ.-არმიის შტაბის უფროსის მოადგილემ ამხ. **პუგაჩევმა** საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს კიევის მანევრების ამოცანებას შესახებ განაცხადა:

„კიევის მანევრები შეიძლება ჩაითვალოს საჩვენებელ მანევრებად, ვინაიდან ამ მანევრების ხელმძღვანელობა იკისრა მუშურ-გლეხურ წითელი არმიის შტაბმა. გარდა ამისა, ამ მანევრების დროს ბევრად უფრო მეტი რაოდენობით იქნება გამოყენებული ტეხნიკური საშუალებანი, ვიდრე სხვა ოლქებში. ამით შემოწმდება, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ტეხნიკური საშუალებანი თანამედროვე ომის მოთხოვნილებებს. კიევის მანევრები საშუალებას მოგვცემენ დავსახოთ გზები დეფექტების თავიდან ასაცილებლად და წითელი არმიის სამხედრო მომზადების მიღწევათა გასამრავლებლად. 1928 წლის მანევრების ამოცანას შეადგენს მეთაურთა შემადგენლობის ინიციატივის გაძლიერება, ჯარის ტეხნიკური მმართველობის გაუმჯობესება და პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართოდ ჩაბმა წითელი არმიის მზადების საქმეში, რაც საგრძნობლად შეუწყობს ხელს წითელი არმიის მჭიდრო კავშირს მშრომელებთან და გააძლიერებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას“. (ადს).

ამხ. ვოროშილოვი კიევის მანევრების შესახებ

მოსკოვი, 29 აგვისტო. „პრავდას“ თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ვოროშილოვი შეეხო კიევის მომავალ მანევრებს.

კიევის მანევრებზე,—სთქვა ამხ. ვოროშილოვმა,—მონაწილეობას მიიღებს ყოველგვარი სახის ჯარი. წლევანდელ მანევრებს საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭო ერთ-ერთ ამოცანად უსახავს აქტივობის, მოძრაობის და საბრძოლო დავალებათა შესრულების სისწორის ზრდას. თამამად შეგვიძლია ვიქვათ, რომ მთელი წლის ენერგიულმა მუშაობამ ამაოდ არ ჩაიარა, წელს ჩვენ ვიხილავთ გაცილებით უფრო მეტ მიღწევებს ჯარისა და ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობაში, ვიდრე შარშან. შარშან მანევრებში პირველად მიიღეს მონაწილეობა პარტიულმა, საბჭოთა, პროფესიონალურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. ამ ცდამ დადებითი ნაყოფი გამოიღო. ყველა ჩამოთვლილი ორგანიზაცია წელსაც მიიღებს მონაწილეობას კიევის მანევრებში. ეს გარემოება იმედს გვაძლევს, რომ იქ, სადაც წითელი არმიის რიცხვი საკმაო არ გამოდგება, თვითონ მუშები და გლეხები დაიცავენ თავიანთ ფაბრიკებს, ქარხნებსა და მიწას.

ერთი წლის მუშაობის შემდეგ ყველა შარშანდელ დეფექტს თავიდან ავიცილებთ და საშუალება გვექნება დავისახოთ ახალი ამოცანები საქმის გასაუმჯობესებლად. მანევრების დროს პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარება და ის ინტერესი, რომელიც მშრომელებმა გამოიჩინეს მანევრების დროს—უფრო მჭიდროდ შეაკავშირებს საბჭოთა ქვეყნის მუშებსა და გლეხებს თავიანთ წითელ არმიასთან, მოამზადებს ჩვენს სამოქალაქო ორგანიზაციებს იმ მუშაობისათვის, რომელიც მათ წილად ხვდებათ, თუ მტერი თავს დაესხმის ჩვენს ქვეყანას. (ადს).

გროზნო-ტუაფსეს და ბაქო-ბათომის ნავთსადენები

მოსკოვი, 29 აგვისტო. შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოისმინა საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. მეჟლაუკოვის მოხსენება გროზნო—ტუაფსეს ნავთსადენის დამთავრების შესახებ. ამხ. მეჟლაუკის ცნობით, ამ ნავთსადენის აგება სავსებით დამთავრდება 1-ლ ოქტომბრისათვის. მოწყობილება და მასალა საკმაოა.

მუშაობა ბაქო—ბათომის ნავთსადენის ახაგებად იყოფა ორ ნაწილად: ნავთსადენის გაყვანა სადგურ ხაშურიდან ბათომამდე—200 კილომეტრის მანძილზე—დამთავრდება ა.-წ. 1-ლ ოქტომბრამდე; ნავთსადენის გაყვანა სადგურ ხაშურიდან ბაქომდე—620 კილომეტრის მანძილზე—დამთავრდება 1929 წლის 1-ლ ოქტომბრამდე. მთელი ნავთსადენის აგება დაჯდება 44.5 მილიონი მანეთი.

ბაქო—ბათომის ნავთსადენის აგებასთან ერთად სწარმოებს მუშაობა ნავთის საწმენდი ქარხნის ასაგებად ბათომში. შრომისა და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს, რაც შეიძლება დააჩქაროს ნავთსაწმენდი ქარხნის აგება ბათომში. (ადს).

თათბირი საჰაერო მიმოსვლის განვითარების შესახებ

ბაქო, 29 აგვისტო. სახალხო კომისართა საბჭოში, უკრაინის საჰაერო მიმოსვლის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ამხ. კასიანენკოს თავმჯდომარეობით, მოხდა თათბირი საჰაერო მიმოსვლის განვითარების შესახებ. გამოირკვა, რომ ბაქო-თბილისი-მინერალური წყლების ხაზი არ არის საკმაოდ დატვირთული, ამიტომ უფრო მიზანშეწონილია მარშრუტი ბაქო-თბილისი-ქუთაისი-სოხუმი-კრასნოდარი — პიატიგორსკი-როსტოვი მოსკოვი., ხაზი ამ მარშრუტით დატვირთული იქნება სრული 100 პროცენტით, იგი სავსებით მიზანშეწონილია, შეაკავშირებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს და დააკმაყოფილებს შავი ზღვის ნაპირზე მდებარე კურორტებს.

სახალხო კომისართა საბჭომ მისაღებად სცნო ამ ხაზის ორგანიზაცია. მან სურვილი გამოსთქვა, რომ საჰაერო მიმოსვლა ზამთრობითაც მოეწყოს, დადგენილ იქნა აღიძრას შუამდგომლობა, რომ ახალი ხაზი—ბაქო-მოსკოვი—მთავარ მაგისტრალს შეუერთდეს.

ახალი ხაზის მოწყობასთან დაკავშირებით საჭირო გახდება დასაშვებ მოედნებისა და დამხმარე საწარმოთა მოწყობა. ამის გამო სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ დაასახა დაეხმაროს უკრაინის საჰაერო მიმოსვლის საზოგადოებას პაების გადიდებით.

გადაწყდა აქციონერთა კრებაზე დაისვას საკითხი, რომ „უკრაინის საჰაერო მიმოსვლის საზოგადოების“ სახელწოდება შეიცვალოს „უკრაინისა და ამ.-კავკასიის საჰაერო მიმოსვლის საზოგადოებად“. ახალი ხაზი მოეწყობა ამ შემოდგომაზე. წელს იფრენს ახალი ხუთადგილიანი ჰაეროპლანები „К—4“, მომავალ წელს კი—რვაადგილიანი ჰაეროპლანები (ადს).

ამხ. ლენინზე თავდასხმის 10 წლისთავი

დღეს შესრულდა ათი წელი მას შემდეგ, რაც კონტრრევოლიუციონერ—ესერების პარტიის მიერ მოსყიდულ კაპლანის ქალმა მოაწყო თავდასხმა ამხ. ლენინზე და მძიმედ დასჭრა ის. თავდასხმა მოხდა 1918 წლის 30 აგვისტოს. ამ დროს საბჭოთა ხელისუფლება ყველაზე უფრო კრიტიკულ მდგომარეობაში იყო და საბჭოთა წყობილების არსებობას ყოველმხრივ საფრთხე მოელოდა. წარმოუდგენელი ეკონომიური და სასურსათო კრიზისი, განადგურებული წარმოება და სასოფლო მეურნეობის უკიდურესი დაცემა, ამ ნიადაგზე შეუგნებელ მასების უკმაყოფილება, შიგნით გამძვინვარებული სამოქალაქო ომი, გარედან იმპერიალისტური ქვეყნების ინტერვენცია—აი რით ხასიათდებოდა ეს წელი. ამას ზედ დაერთო აგრეთვე მემარცხენე ესერების ღალატი, რომელნიც ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღეებში ვითომდა მიემხრენ სოციალისტურ რევოლიუციას. ასეთ დროს რევოლიუციის ინტერესები, კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის ამხ. ლენინისაგან მოითხოვდა გასკეცებულ თავდადებასა და ენერგიას, მაშინ ლენინისათვის არ არსებობდა მოსვენება, დამშვიდებული მუშაობის საშუალება. ლენინს იწვევდენ ერთი სხდომიდან მეორეზე, ერთი ფაბრიკიდან მეორეში მუშებისათვის მოხსენებების გასაკეთებლად. 30 აგვისტოს (თავდასხმის დღეს) ამხ. ლენინი მიწვეული იყო რამოდენიმე მიტინგზე.

თუ რა პირობებში მოხდა ლენინზე თავდასხმა, ამის შესახებ, ჩვენ ქვემოთ ვათავსებთ შოფერი გილის მოგონებას, რომელიც თავდასხმის დროს მართავდა ამხ. ლენინის ავტომობილს. მოგონება მოყვანილია ამხ. ბონჩ-ბრუევიჩის ცნობილ წიგნში თავდასხმის შესახებ.

შოფერი გილის ნაამბობი

ვლადიმერ ილიჩს ავტომობილით ატარებდა მეტად გამოცდილი შოფერი სტეფანე კაზიმირის ძე გილი. ის მუშაობდა სახალხო კომისართა საბჭოს ავტობაზაზე. მე ვაფასებდი მას, როგორც ფრიად გამოცდილ, თავის საქმის რიგიანად აღმასრულებელს, მეტად გაგებულს, ჩქარს და ჭკვიან მუშას. მან ზედმიწევნით იცოდა შოფერის ყოველი საქმე. ოქტომბრის რევოლიუციის დროს გილმა მიიპყრო ჩემი ყურადღება და როგორც კი საჭირო შეიქნა დავნიშნე ვლადიმერ ილიჩის შოფერად.

ამხ. გილი იყო ერთად-ერთი მოწამე (თუმც იქ აუარებელი ხალხი იყო), რომლის თვალწინ გიჟმა სოციალისტ-რევოლიუციონერმა ქალმა განიზრახა ვლადიმერ ილიჩის მოკვლა. მან თავის თვალით დაინახა სურათი საზიზღარი ბოროტგანზრახვისა და ყოველივე ის, რაც მოხდა მას შემდეგ. ამისათვის ამხ. გილის მოთხრობა მეტად ძვირფასი და საყურადღებოა ჩვენთვის.

იმ საბედისწერო დღეს, 30 აგვისტოს ვლადიმერ ილიჩი წავიდა მიტინგზე, სადაც მოგროვილი იყო უთვალავი მუშები.

პირველად — მიამბო ამხ. გილმა— ჩვენ გავემგზავრეთ პურის ბირჟაზე, სადაც დანიშნული იყო მიტინგი. იქ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. მიტინგი კარგად ჩატარდა და ჩვენ აქედან ყოფილ მიხელსონის ქარხანაში წავედით.

10-15 წუთმა განვლო ქარხანაში მოსვლის შემდეგ. ჩემთან მოვიდა ერთი ქალი, რომელსაც პორტფელი ეჭირა ხელში. შემდეგში გამოირკვა, რომ ეს იყო კაპლანი. მოსვლისთანავე შემეკითხა იგი:

— მგონი ამხ. ლენინი მოვიდა.

— არ ვიცი ვინ მოვიდა.

მან გაიცინა და მითხრა:

— როგორ, თქვენ, შოფერმა არ იცით, ვინ მოგყავთ?

— რა ვიცი მე, ვიღაც ორატორია, ცოტანი დადიან ისინი, რომ ყველას ვიცნობდე — დამშვიდებით უპასუხე მე მას.

ქალი მომშორდა და მე კარგად ვამჩნევდი როგორ შევიდა იგი ქარხანაში. ერთი საათის შემდეგ ქარხნიდან გამოვიდა მუშების პირველი დიდი ჯგუფი, რომელმაც თითქმის მთელი ეზო აავსო. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მიტინგი გათავებულიყო. მოვემზადე წასასვლელად და მანქანაც ავამუშავე, რამოდენიმე წუთის შემდეგ ქარხნიდან მეორე ჯგუფი გამოვიდა. მათ შორის იყო ვლადიმერ ილიჩი. იგი ესაუბრებოდა მუშებს, რომლებიც აუარებელ შეკითხვებს აძლევდენ მას. ვლადიმერ ილიჩი ნელი ნაბიჯით მოდიოდა მანქანისაკენ. მოუახლოვდა თუ არა მანქანას სამი ნაბიჯით, იგი შეჩერდა მანქანის წინ იმ განზრახვით, რომ ჩამსხდარიყო ავტომობილში. კარები, რომელიღაც მუშამ გაუღო. ამ დროს ის საუბრობდა ორ ქალთან და უხსნიდა მათ, თუ როგორ ჩამოეტანათ პროდუქტები: მე შემომესმა ვლადიმერ ილიჩის შემდეგი სიტყვები:

— სრული სიმართლეა, სასურსათო რაზმები ბევრ შემცდარ ნაბიჯებს დგამენ, მაგრამ შემდეგში ყველაფერი ეს უთუოდ გამოსწორდება.

მათი საუბარი ორი-სამი წუთი გაგრძელდა. ვლადიმერ ილიჩის ორივე მხრივ კიდევ ორი ქალი იდგა. ისინი წინ იყვენ წამოწეულნი.

ვლადიმერ ილიჩს მჭიდროდ შემორტყმოდა ხალხი. და სწორედ იმ დროს, როცა მან მანქანაში ჩასხდომა განიზრახა—უეცრად გაისმა სროლა. მე იმ წუთს გავიხედე იქით, საიდანაც სროლა მომესმა და დავინახე ქალი, რომელიც იდგა მანქანის მარცხენა მხარეზე და უმიზნებდა ვლადიმერ ილიჩს მარცხენა ბეჭზე. კიდევ გავარდა რევოლვერი ორჯერ ერთი მეორეზე. მე იმ წუთში დავაყენე მანქანა და დავედევნე მსროლელს ნაგანით ხელში. მას თავში დავუმიზნე. ქალმა მომიგდო „ბრაუნინგი“ ფეხებში, შეერია ხალხში და გაიქცა გამოსასვლელ კარების მიმართულებით. ირგვლივ იმოდენა ხალხი იყო, რომ მე ვეღარ გავბედე მესროლა მისთვის რევოლვერი. ვგრძნობდი, რომ ამ შემთხვევაში ვინმე მუშას მოვკლავდი. დავედევნე მას, გავირბინე რამოდენიმე ნაბიჯი, მაგრამ უეცრად გავიფიქრე: „ვლადიმერ ილიჩი ხომ მარტოა... რა დაემართა მას ნეტა“. შევჩერდი, წუთით საშინელი მკვდარი სიჩუმე ჩამოვარდა. უეცრად ყველამ წამოიყვირა: „მოჰკლეს, მოჰკლეს“. საშინელი არევ-დარევა და მიწევ-მოწევა შეიქნა. მოვიხედე და დავინახე ვლადიმერ ილიჩი, რომელიც მიწაზე წაქცეულიყო. გავეშურე მისკენ. რამოდენიმე წუთში ხალხით გაჭედილი ეზო სრულიად დაიცალა. მსროლელი ქალიც მიიმალა ხალხთან ერთად.

მე მივირბინე ვლადიმერ ილიჩთან, დავეცი მუხლებზე, რომ მომეკიდა ხელი. მას არ დაეკარგა გრძნობა და მკითხა:

— დაიჭირეთ იგი თუ არა?

როგორც სჩანს ვლადიმერ ილიჩი ფიქრობდა, რომ მას მამაკაცმა ესროლა.

იგი მძიმე, შეცვლილი ხმით, რაღაც ხრიალით მელაპარაკებოდა, ამიტომ ვუთხარი მას:

— გაჩერდით, ნუ ლაპარაკობთ, თქვენ მძიმედ ხართ დაჭრილი.

ამ დროს ავწიე თავი მაღლა და დავინახე, რომ სახელოსნოდან მორბოდა ვიღაც კაცი მატროსის ქუდში, ეტყობოდა იგი ძლიერ აღელვებული იყო. მარცხენა ხელს ჰაერში აქნევდა, მარჯვენა კი ჯიბეში ჩაეყო და ისე მორბოდა პირდაპირ ვლადიმერ ილიჩისაკენ.

მე მისი სახე ძლიერ საეჭვოდ მომეჩვენა და ამიტომ დავფარე ვლადიმერ ილიჩი, განსაკუთრებით კი მისი თავი, თითქმის დავაწვები მას და როგორც კი შემეძლო დავიყვირე:

— შეჩერდი! რევოლვერი დაუმიზნე.

ეს განაგრძობდა სირბილს და თანდათან გვიახლოვდებოდა. მაშინ უფრო ხმა მაღლა დავიყვირე:

— შეჩერდი, გესვრი...

იგი მხოლოდ რამოდენიმე ნაბიჯით იყო დაშორებული ვლადიმერ ილიჩისაგან, როცა შეჩერდა, სასწრაფოდ მოუხვია მარცხნივ და გავარდა ჭიშკარში, ჯიბიდან ხელამოუღებლად. ამ დროს ჩემთან უკანიდან მოირბინა ვიღაც ქალმა ყვირილით:

— რას შვრებით, ნუ ისვრით... ალბად მან იფიქრა, რომ მე ვლადიმერ ილიჩისათვის მინდოდა მესროლა. მე ვერ მოვასწარი მეპასუხნა, რომ ამ დროს სახელოსნოდან ვიღაც კაცის ხმა მომესმა: „ის ჩვენია ჩვენი“ და მე დავინახე სამი მამაკაცი რევოლვერებით ხელში, რომლებიც გამოვარდნენ სახელოსნოდან და ვლადიმერ ილიჩისაკენ გამოექანენ. მე ისევ დავიყვირე:

— შეჩერდით, ვინა ხართ, გესვრით...

მათ იმ წამსვე მიპასუხეს:

— ჩვენ საქარხნო კომიტეტი ვართ, ამხანაგო. ერთი მათგანი ვიცანი. იგი წინათ მყავდა ნახული — ქარხანაში სიარულის დროს და ამიტომ მოუშვი ვლადიმერ ილიჩთან. ყველაფერი ეს ერთ წუთში მოხდა.

ერთი მათგანი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ვლადიმერ ილიჩი მახლობელ საავადმყოფოში წამეყვანა.

მე გადაჭრით უპასუხე:

— არავითარ საავადმყოფოში არ წავიყვან, სახლში მიმყავს.

ვლადიმერ ილიჩმა გაიგონა ჩვენი საუბარი და მითხრა:

— სახლში, სახლში...

მე და საქარხნო კომიტეტის წევრებმა დავეხმარეთ ვლადიმერ ილიჩს წამომდგარიყო ფეხზე. მან ჩვენი დახმარებით გადასდგა რამოდენიმე ნაბიჯი მანქანამდე. ჩვენივე დახმარებით შედგა ფეხი ავტომობილში და ჩაჯდა უკანა ნაწილში, თავის ჩვეულებრივ ადგილზე. ორი ამხანაგი ავტომობილში ჩამოჯდა: ერთი ჩემთან და ერთიც შიგნით. მე სასწრაფოდ გავაქანე მანქანა პირდაპირ კრემლისაკენ. რამოდენიმეჯერ მოვიხედე უკან, რომ ვლადიმერ ილიჩისათვის შემეხედა.

იგი ნახევრად გაწოლილიყო, არ კვნესოდა და ერთი ხმაც კი არ ამოუღია. მისი სახე მკრთალი იყო. შიგნით მჯდომი ამხანაგი ეხმარებოდა მას. მე არ შევჩერებულვარ ტროიცკის ჭიშკართან; ერთი კი დაუყვირე დარაჯებს „ლენინია“ და გავემართე ეზოში პირდაპირ ვლადიმერ ილიჩის ბინისკენ.

აქ სამივემ დავეხმარეთ მას ავტომობილიდან გამოსვლისას. იგი მძიმედ გამოვიდა. ეტყობოდა, რომ ტკივილისაგან იტანჯებოდა, მაგრამ სრულიად არ იღებდა ხმას. ჩვენ ვუთხარით: „ჩვენ წაგიყვანთ...

მან გადაჭრილი უარი გვითხრა.

ბევრი ვეხვეწეთ და ვემუდარეთ, რომ მოეცა მისი წაღების უფლება, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. მან მტკიცე კილოთი გვითხრა:

— მე ჩემით წავალ... მომიბრუნდა და მითხრა: მომხადეთ ფიჯაკი, ისე უფრო ადვილად წამოვალ...

მე ფრთხილად მოვხადე ფიჯაკი და იგი ჩვენზე დაყრდნობით ამოვიდა მესამე სართულზე დაგრეხილ კიბით. მან სრულიად მდუმარედ ამოიარა ეს კიბე. პირდაპირ საწოლ ოთახში შევიყვანე და დავაწვინე ლოგინზე. მინდოდა პერანგის გახდა, მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქნა და ამიტომ გავჭერი იგი.

ამ დროს ოთახში შემოვიდა **მარია ილიას ასული** და დაიყვირა: „რა მოხდა“. იგი ჯერ ილიჩთან მივარდა, შემდეგ მომიბრუნდა, მე დავურეკე **ვლადიმერ დიმიტრის ძე ბონჩ-ბრუევიჩს** და ყველაფერი აუხსენი. ამ დროს შემოვარდა ანნა პეტრეს ასული და იმ წუთშივე სახალხო კომისართა საბჭოში გაიქცა. ამასთან ერთად შემდეგ მოვიდა **ა. ნ. ვინოკუროვი**.

ვლადიმერ დიმიტრის ძესთან დარეკის შემდეგ, მარია ილიას ასულმა მთხოვა გამეფრთხილებია **ნადეჟდა კონსტანტინოვნა**. უკანასკნელი ამ დროს კომისარიატში იყო. ეზოში შემოსვლისას ვიღაც წამომეწია და მომცა წინადადება წავსულიყავით ერთად ნადეჟდა კონსტანტინოვნას გასაფრთხილებლად. ჩვენ ეზოში დაუწყეთ მას ცდა. სულ ცოტა ხნის შემდეგ იგიც მოვიდა. მომიახლოვდა თუ არა მან, მგონი შეამჩნია ჩემი აღელვებული სახის გამომეტყველებით, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო, შეჩერდა, მომაშტერდა თვალებში და ისე მკითხა:

— ნურაფერს ნუ მეტყვი... მითხარი მხოლოდ ცოცხალია, თუ მკვდარი..

— გაძლევთ პატიოსან სიტყვას — ვუპასუხე მე, რომ ვლადიმერ ილიჩი მსუბუქად არის დაჭრილი.

ერთი წუთი იდგა იმ ადგილზე, შემდეგ ავიდა მაღლა და ჩვენ მდუმარეთ გავყევით მას. მე რამოდენიმე წუთით დავყავი კიდევ იქ და შემდეგ სახლში წავედით.

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტ. კომისიის პლენუმი

ამხ. კუიბიშევის მოხსენება მრეწველობის რაციონალიზაციის შედეგების შესახებ

მოსკოვი, 29 აგვისტო. „მრეწველობის რაციონალიზაციის პროცესი,—სთქვა ამხ. კუიბიშევმა, ამჟამად მოითხოვს ისეთ სხვადასხვა ღონისძიებას, რომლებიც ცალკე წარმოების ფარგლებს სცილდებიან. შემდგომი რაციონალიზაცია შესაძლოა მხოლოდ მთელი რიგი ზომების დამუშავებით, რომლებიც შეეხებიან მრეწველობის ცალკე დარგებს ან მთელ მრეწველობას მთლიანად, ვინაიდან ყოველი წარმოება ნედლეულის, ნახევარ-ფაბრიკატების და სხ. მხრივ დამოკიდებულია სხვა წარმოებებზე. ამგვარად რაციონალიზაცია გადავიდა თავის განვითარების უმაღლეს ფაზაში“.

შემდეგ ამხ. კუიბიშევი შეეხო პრაქტიკულ შედეგებს და შეჩერდა რაციონალიზაციის ცალკე სახეებზე. ყველაზე დიდი შედეგი მიღწეულ იქნა ტეხნოლოგიური პროცესების რაციონალიზაციის დარგში. ქვა-ნახშირის მრეწველობაში დიდი მუშაობა იქნა შესრულებული ქვა-ნახშირის ამოღების მექანიზაციის საქმეში. სუსტად მიმდინარეობს რაციონალიზაციის პროცესი ლითონის მრეწველობაში, თუმცა მიღწევები ამ დარგშიაც არის. ლითონის მრეწველობის რაციონალიზაცია გამოიხატა მრავალ მიღწევაში, რითაც გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. რაციონალიზაციის ჩატარებით კარლ მარქსის სახელობის ქარხანაში (ლენინგრადში) ერთი დაზგის ნაყოფიერება დღეში 75 კილოგრამიდან 275 კილოგრამამდე ავიდა კოლჩუგინოს ქარხანაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 25-დან 60 პროცენტამდე.

წარმოების მრავალი პროცესის მექანიზაცია მოხდა ქიმიურ მრეწველობაშიაც, რითაც საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

მექანიზაციასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობის ახალ მეთოდებს,რაც შეეხება განუწყვეტელი საწარმოო პროცესის გატარებას, შედეგები ამ მხრივ მეტად უმნიშვნელოა. წარმოების განუწყვეტელი პროცესი ამჟამად გამოყენებულია დაახლოვებით კავშირის 80 წარმოებაში. განუწყვეტელმა პროცესმა ამ წარმოებებში ძალიან ეფექტიური შედეგები მოგვცა. კონვეიერის შემწეობით „მოსკოშვეის“ წარმოებაში პროდუქცია 98 პროცენტით გაიზარდა. მოსკოვის სამკერვალო მრეწველობის საფაბრიკო თვითღირებულება უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 40 პროცენტით შემცირდა. შემცირდა სამუშაოს გაცდენის შემთხვევა და გაიზარდა საწარმოო დისციპლინა. მეტად საგრძნობი ეკონომიური ეფექტი მოგვცა წარმოების განუწყვეტელმა პროცესმა სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამამზადებელ ქარხნებში. პროდუქციის რაოდენობა „კომუნარ“-ის ქარხანაში, მაგალითად. 50 პროცენტით გაიზარდა.

წარმოების განუწყვეტელი პროცესის გამოყენება საკმაო ეფექტს იძლევა არა მარტო შრომის ნაყოფიერების მხრივ; იგი დიდ გავლენას ახდენს აგრეთვე თვითღირებულების შემცირებაზე და სამუშაო ხელფასის გადიდებაზე.

წარმოების განუწყვეტელი პროცესის გატარებას ელობება მრავალი დაბრკოლება, რომელთა შორის უმთავრესია მომარაგების ორგანიზაცია. თუ არ არსებობს მომარაგების სწორი ორგანიზაცია. განუწყვეტელ პროცესს ხვდება იმდენად სერიოზული დაბრკოლებანი, რომ წარმოება დროებით ჩერდება, დიდ როლს თამაშობს აგრეთვე ნედლეულის ხარისხი. დეფექტები ამ მხრივ საგრძნობ ზიანს აყენებს წარმოების განუწყვეტელ პროცესს.

წარმოების სპეციალიზაციის დარგში ჩვენ განუსაზღვრელი შესაძლებლობანი გვაქვს. მაგრამ ეს მუშაობა ჯერ ჯერობით ჩანასახ მდგომარეობაშია. სპეციალიზაციის საკითხმა პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს მრეწველობის განვითარების უახლოეს პერიოდში.

სტანდარტიზაციის დარგში შედარებით ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობს სტანდარტიზაციის საერთო განსაზღვრული გეგმა. ამჟამად სტანდარტიზაციაქმნილია მთელი პროდუქციის ერთი მესამედი, დამუშავების სტადიაში 1.000-მდე სტანდარტი.

ქარხნების კოოპერატიულად შეკავშირება მხოლოდ ეხლა იწყება, მაგრამ ამ მხრივ მაინც გვაქვს მცირედი მიღწევა. წარმოების კოოპერატიულად შეკავშირებას ელობებიან წარმოებათა გეოგრაფიული დაქსაქსულობა და სხვა არახელსაყრელი პირობები.

რაციონალიზაციის შემდგომი განვითარებისათვის სერიოზული ხელისშემშლელი მიზეზია მოსახლეობის დაბალი კულტურულ-ტეხნიკური დონე და საინჟინერო-ტეხნიკური ძალების ნაკლებობა მრეწველობაში.

„პირდაპირ უნდა ითქვას,—განაცხადა დასასრულ ამხ. კუიბიშევმა,—რომ რაციონალიზაციის დარგში ვერ გაკეთდა ყოველივე ის, რის გაკეთებაც შეიძლებოდა. ამ საქმეს გაცილებით მეტი ენერგია უნდა მოვანდომოთ, ვიდრე დღემდე ვანდომებდით“ (ადს).

ამხ. კაგანოვიჩის მოხსენება

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. კაგანოვიჩმა. მან გააცნო პლენუმს იმ გამოკვლევის შედეგები, რომლებიც მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა რაციონალიზაციის დარგში. ამ მიზნით გამოკვლეულ იქნა საბჭოთა კავშირის მრავალი წარმოება. გამოკვლევის ძირითად საკითხს წარმოადგენდა რაციონალიზაციის ორგანიზაციული მომენტების გამორკვევა. მუშ-გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლებმა დაინახეს, რომ რაციონალიზაციის საქმეში არ არსებობდა ერთი მთლიანი ორგანიზაციული მიდგომა. ერთ არსებით გარემოებად, რომელიც ხელს უშლის რაციონალიზაციის გაფართოვებას, ამხ. კაგანოვიჩს მიაჩნია შეუთანხმებლობა მოწყობილობის გამოყენებაში. ზოგიერთ ქარხანაში დაზგები უქმადაა, მაშინ, როდესაც სხვა ქარხნებში მეტის-მეტად სჭირდებათ იგივე დაზგები. დასასრულ, დიდი ყურადღების ღირსია საკითხი მრეწველობის მართველობის რაციონალიზაციის შესახებ.

საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი ორივე მოხსენების ირგვლივ (ადს).

500 კომკავშირელი სოფლად

მოსკოვი, 29 აგვისტო. საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირის ცეკამ კომკავშირის მე-VIII ყრილობის დადგენილების შესასრულებლად გადასწყვიტა—500 აქტივისტი კომკავშირელი გაგზავნოს სოფლად მუდმივი მუშაობისათვის. სოფლად გასაგზავნი აქტიური კომკავშირელები უნდა იყვნენ მუშები კომკავშირის სტაჟით (არა ნაკლებ 3 წლისა) და მომუშავენი არანაკლებ სამაზრო მასშტაბისა. მათი გაგზავნა სოფლებში უნდა დამთავრდეს 1929 წლის იანვრისათვის. (ადს).

მეტი გეგმიანობა პარტმუშაობაში

(წერილი კახეთიდან)

საერთოდ ყოველი ორგანიზაციის, კერძოდ კი პარტორგანიზაციის მუშაობისათვის გეგმიანობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სამწუხაროდ უგეგმობა ჯერ კიდევ თან სდევს ჩვენს საქმიანობას.

მოვიყვანოთ მაგალითი ყოფ. სიღნაღის სამაზრკომის მუშაობიდან. ბიუროების უკანასკნელ გადარჩევებმა ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცეს, რომ ორგანიზაცია მთლიანად გადასულია გეგმიან მუშაობაზე, მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში, მართალია ძლიერ იშვიათად, მაგრამ მაინც აქვს ადგილი ერთგვარ ნაკლს, როგორც ქვედა საფეხურის, ისე ხელმძღვანელ ორგანიზაციებში გეგმები დროულად არ დგება, ქვედა საფეხურის ორგანიზაციების გეგმები ზევით მდგომ ორგ. გეგმებთან არ არის დაკავშირებული, ნაკლებ მონაწილეობას იღებენ გეგმების შედგენაში არა პარტიულ ორგანოთა ფრაქციის წარმომადგენელნი, ' გათვალისწინებული საკითხება მეორდება სხვადასხვა ინსტანციებში, მიუხედავათ გეგმის არსებობისა, გეგმის გარეშე მუშაობაც სწარმოებდა და სხვ.

კახეთის სამაზრკომის პრეზიდიუმმა შეიმუშავა ღონისძიებანი, რომელიც გამომდინარეობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას უკანასკნელ პლენუმის და უმაღლეს პარტორგანოების სხვა დადგენილებებიდან.

ამ ღონისძიებების მიხედვით: სამაზრკომის პრეზიდიუმის და განყოფილებათა გეგმები საგეგმო პერიოდზე ორი კვირით ადრე უნდა დგებოდეს და ეგზავნებოდეს ქვედა ორგანიზაციებს;

არა პარტიულ ორგანოთა ფრაქციების წარმომადგენლებმა მეტი მონაწილეობა უნდა მიიღონ გეგმის შედგენაში;

ალკვეთილ უნდა იქნეს გეგმებში ბევრი საკითხების შეტანა;

გეგმები უნდა დგებოდეს კვარტალურად;

სამაზრკომში პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად განყოფილებათა გეგმები უნდა უთანხმდებოდეს ერთი მეორეს;

გეგმაში საკითხების შეტანა ისე უნდა ხდებოდეს, რომ ერთი და იგივე საკითხი რამდენიმეჯერ არ განმეორდეს;

გეგმის გარეშე მუშაობას არ უნდა ექნეს ადგილი.

ვ. რულინი.

სენაკის სამაზრკომში

სენაკის სამაზრო კომიტეტმა დაამუშავა პრეზიდიუმის 5 თვიანი სამუშაო გეგმა ცეკას პრეზიდიუმის გეგმასთან და ადგ. პირობებისა და სამუშაოებთან შეფარდებით.

გეგმით გათვალისწინებულია მთელი რიგი საკითხების შესწავლა-დამუშავება საბჭოთა, პროფესიონალურ, კოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ხაზით. ამ საკითხების გადაჭრაში მთავარ დამხმარე ძალად გამოყენებულ იქნება ხსენებულ ორგანიზაციების კომფრაქციები, რომელთაც მიეცათ შესაფერი დავალებანი სამაზრო კომიტეტიდან

ადგილებზე პარტმუშაობის შესწავლის და სათანადო მითითებათა მიცემის მიზნით გამოკვლეული იქნება ახალაბაშის, მარნის, მარტვილის და სხვა თემკომების მუშაობა. პრეზიდიუმზე მოსმენილი იქნება სამაღმასკომის და სამპროფბიუროს კომფრაქციების მოხსენება; განათლების და საადგილმამულო განყ. გამგეების მოხსენება; კომკავშირის სამკომის მოხსენება; კოოპერატიულ ამხანაგობა „მეჯოგი“-ს გამგ. ფრაქციის მოხსენება, გამომკვლევ კომისიების თანამოხსენებით.

შესწავლილ იქნება: მასიურ მუშაობის მდგომარეობა, საგზაო მშენებლობა, თვითდაბეგვრის გატარების პრაქტიკა და სხვა ცალკე საკითხები; ამასთანავე აღნუსხულ და შემოწმებულ იქნება სამპარტკომის პრეზიდიუმის დადგენილებათა გატარება სხვადასხვა ორგანიზაციების ხაზით.

გეგმაში დათმობილი აქვს ადგილი სათემო და სამაზრო პარტკონფერენციებისათვის მზადებას და პარტიის ზრდის დაწვრილებით შესწავლას.

საორგანიზაციო და აგიტპროპ. განყ. ხაზით, სხვათა შორის გათვალისწინებულია თათბირები და კურსყრილობების მოწვევა ამა თუ იმ პერიოდთან დაკავშირებულ საკითხების დასამუშავებლად; განზრახულია უჯრ. ბიუროების და ბიუროკრატიზმთან მებრძოლ კომისიების თათბირის ჩატარება, მათი მუშაობის შემოწმების და საჭირო მითითებათა მიცემის მიზნით.

ამ გეგმის წარმატებით შესრულება შესაძლებელი და ადვილი იქნება თუ სხვადასხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელი ამხანაგები და ფრაქციები პასუხისმგებლობას იგრძნობენ და საჭირო აქტივობასა და ენერგიას გამოიჩენენ აღნიშნული საკითხების გადაჭრაში.

მ. ბარამია.

ცხენოსან, არტილერიის და საინჟინერო სამხედრო სასწავლებელში

მისაღებ კანდიდატთა

გამოცდები იწარმოებს

ორშაბათს, ა. წ. სექტემბრის 3-ს დილის 9 საათიდან ა.-კ. ფეხოსანთა სამხ. სკოლის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 148).

ყველა მოქალაქე, რომელსაც ს.ს. ცაკთან არსებულ სამხედრო სკოლებში მიმღებ ცენტრალურ კომისიაში შეტანილი აქვს განცხადება ხსენებულ სკოლებში ჩარიცხვის შესახებ უნდა გამოცხადდეს ზემო აღნიშნულ ვადაზე ა.-კ. ფეხოსანთა სამხედრო სკოლაში. (3—1)

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მზადება საშემოდგომო თესვისათვის

ქუთაისი, 28 აგვისტო. მზადება საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის ქუთაისის მაზრაში უკვე დაიწყო. მანქანები და სასოფლო-სამეურნეო იარაღი, რომლებიც აგრო-პუნქტებს მოეპოვებათ, უკვე შეაკეთეს. ახალი მანქანები ჯერ არ მიუღიათ, მაგრამ იმედი აქვთ, რომ თავის დროზე მიიღებენ. სათესლე მასალის საჭირო რაოდენობის შესახებ უკვე ეცნობა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის აგრონომიულ განყოფილებას. მაზრაში არის კარგად მოწყობილი სარემონტო სახელოსნოები. (ადს).

ღარიბ გლეხთა შეკავშირება კოოპერაციაში

ქუთაისი, 28 აგვისტო. 20 აგვისტოდან ქუთაისის მაზრაში დაიწყება კამპანია ახალი წევრების ჩასაბმელად სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში. კამპანიას ატარებს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა პარტორგანოებთან ერთად. კამპანია გაგრძელდება 10 სექტემბრამდე. თემებში იმართება ღარიბ და საშუალო გლეხთა კრებები. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში დღემდე ჩაეწერა 1000-მდე ღარიბი გლეხი. კულაკები შეეცადნენ შემძვრალიყვნენ ამხანაგობებში, მაგრამ ღარიბმა გლეხებმა ამის საშუალება არ მისცეს. კოოპერაციაში ახლად შესულ წევრებს ეძლევა ფართო შეღავათები და ეძლევა დახმარება ღარიბთა ფონდიდან. (ადს).

მოსავალი ქუთაისის მაზრაში

ქუთაისი, 28 აგვისტო. სიმინდის მოსავლის აკრეფა დაიწყება სამი კვირის შემდეგ. მოსავალს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს, იგი საშუალოზე მაღალია. რთველი სექტემბრის ბოლო რიცხვებში დაიწყება. საჩვენებელ მინდვრებზე დათესილი ბალახი კარგ მოსავალს იძლევა. (ადს).

ტრამვაი ქუთაისში

ქუთაისი, 28 აგვისტო. მთავრობის დადგენილების თანახმად, საქართველოს მეურნეობის უმაღლესი საბჭო ამუშავებს საკითხს ტრამვაის გაყვანის შესახებ ქუთაისიდან წყალტუბომდე. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ადგილობრივი კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას—ორი თვის განმავლობაში დაამუშაოს საკითხი ქუთაისში ტრამვაის ხაზის გაყვანის შესახებ. საბჭომ სურვილი გამოსთქვა, რომ ტრამვაის ხაზი გაყვანილ იქნას ქალაქიდან სადგურამდე სამრეწველო რაიონზე გავლით. ამავე დროს მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რომ რიონ-ქუთაის-ტყიბულის რკინის გზის შტო გადაკეთდეს ისე, რომ მან ბრეწოულაზე გაიაროს. (ადს).

სკოლის შენობა ფუჭდება

(კორცხელის თემი, ზუგდ. მაზრა)

კორცხელის თემში შედის მოზრდილი სოფელი ნაცატუ. ამ სოფელს ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროიდან აქვს საკუთარი სკოლა, მაგრამ თავიდანვე სკოლის შენობა ისეთ ადგილას აგეს, სადაც მოსახლეობის ორი მესამედი სკოლით ვერ სარგებლობს. ამ სკოლის აგების ხელმძღვანელი იყო მასწავლებელი ბაგრატ რაფავა, რომელმაც პირველად სკოლა თავის სახლში გახსნა, ხოლო შემდეგ კი სკოლის შენობა თავის სახლის წინ აგო.

გეოგრაფიული მდებარეობით სოფ. ნაცატუ სამ უბნად არის გაყოფილი და სკოლა კი უკანასკნელ უბანშია აგებული, ამიტომ დანარჩენი ორი უბანი სკოლას სიშორის გამო ჩამოსცილდა და არც მის მოვლა-პატრონობაში იღებენ მონაწილეობას. ამიტომ სასწავლებლის შენობა განადგურების პირასაა.

საჭიროა სასწავლებლის შენობა გადმოტანილ იქნეს სოფლის ცენტრში და მისი მოვლა-პატრონობა მთელ სოფელს დაეკისროს. წინააღმდეგ შემთხვევაში სულ უნდა გაუქმდეს ეს სასწავლებელი და სოფელი დაუკავშირდეს სათემო სკოლას.

მნახველი.

წარსულ შეცდომას ნუ გავიმეორებთ

(წერილი ზუგდიდიდან)

უკვე დაიწყო 7 წლედ-დამთავრებულების დენა საშუალო სასწავლებლებისაკენ. საბჭოთა ხელისუფლება მშრომელთა შვილებს ფართოდ უღებს სკოლის კარებს, მაგრამ არის შემთხვევებიც, როდესაც „ღია კარებში" პროტექციისა და ნათესაობის წყალობით არა მშრომელთა ელემენტების შვილები ზოგჯერ უფრო მეტი პრივილეგიებით სარგებლობენ, ვიდრე უკიდურეს ღარიბთა შვილები.

ზუგდიდის სინამდვილეში მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. 9 წლედის თვითეულ მასწავლებელს ჰყავს აყვანილი 30—40-მდე მოწაფე. ცხადია, პირველ რიგში ისინი 9 წლედის კარებს გაუღებენ იმ მოწაფეებს, რომელნიც მათთან ემზადებოდნენ; ესენი კი უმთავრესად გახლავთ ვაჭრებისა და კულაკების შვილები, რომელნიც შეურიგებელი მტერი არიან საბჭოთა ხელისუფლების.

გასულ წელს მასწავლებელ ოსიძისა და სხვათა წყალობით ზუგდიდში არა ერთსა და ორ მოწაფეს გაეღო უკანონოდ 9-წლედის კარები. წელსაც მოსალოდნელია მსგავსივე მაგალითების განმეორება, თუ კი ადგილობრივი პარტორგანოები და გან. სახ. კომისარიატი დროზე არ მიიღებენ შესაფერ ზომებს.

ორეული.

წერილებიდან

სიმონეთის თემი (ქუთ. მაზრა). ზედა და ქვედა სიმონეთის შრომელ გლეხობამ ერთხმად დაადგინა ამიერიდან აღარ იდღესასწაულონ რელიგიური დღეობა „ენკენობა", 25 სექტემბერს ძველი სტილით. ამ დღეს არავითარი წვეულება სოფლად არ შესდგება და მუშაობა იწარმოებს ჩვეულებრივი წესით.

სიმონეთელი.

ს. ხრიალეთი (გურია) ადგილობრივ სამკითხველოს მოვლა-პატრონობას არავინ ყურადღებას არ აქცევს, რაც წიგნები იყო ყველანი დაუტაცნიათ, ჟურნალ-გაზეთები არ არის გამოწერილი. სამკითხველოში დიდი უსუფთაობაა. ნეტავი ვინ მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას?

აცანელი.

ბაღდათი (ქუთ. მაზრა). ადგილობრივ ფოსტის განყოფილებაში ძალზე აგვიანებენ წერილებისა, დეპეშებისა და ამანათების დანიშნულებისამებრ გადაცემას. ხშირად სულაც იკარგება წერილები. 7 აგვისტოს გამოგზავნილი ამანათი თბილისიდან ფოსტაში მიიღეს—10 აგვისტოს, მაგრამ პატრონს ჩააბარეს რამოდენიმე კვირის დაგვიანებით და ისიც თაგვების მიერ გაფუჭებული. ფოსტას ასეთი გამგე და თანამშრომლები საბჭოთა დაწესებულების პრესტიჟს სცემენ.

კოდარა.

წერილები

შეგირდთა შრომის პირობები პროვინციაში

პროვინციის დაბა-ქალაქებში ბლომად არის წვრილი წარმოება-სახელოსნოები, რომელნიც თითქმის მთლიანად კერძო მფლობელების ხელშია. თვითეულ ასეთ სახელოსნოს პატრონს ჰყავს რამდენიმე შეგირდი ხელობის შესასწავლად. საშუალოდ ხელობის შესწავლის ვადად განსაზღვრულია 3—4 წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში შეგირდი დამქირავებლიდან იღებს მხოლოდ ტანსაცმელს და საჭმელ-სასმელს. არავითარი სხვა გასამრჯელო მათ არ ეძლევათ.

ეს კიდევ არაფერი, რომ შეგირდთა შრომის პირობები ნორმალური იყოს. შრომის კანონმდებლობის მიხედვით შეგირდმა 18 წლამდე უნდა იმუშაოს დღეში 6 საათი, ხოლო 18 წლის ზევით 8 საათი. მაგრამ შრომის კანონმდებლობა კერძო სახელოსნოებში მომუშავე შეგირდებზე ოდნავადაც არ ხორციელდება. ძლიერ იშვიათია სახელოსნოს ისეთი მეპატრონე, რომელიც კანონით განსაზღვრულ საათებში ამუშავებდეს შეგირდს. შეგირდის სამუშაო დღე საშუალოდ 10—12 და ზოგჯერ მეტი საათებითაც განისაზღვრება. ამასთანავე სახელოსნოში მუშაობის გათავების შემდეგ შეგირდებს იყენებენ კერძო საოჯახო საქმეებზედაც. ეს ხდება განსაკუთრებით ზაფხულობით, როცა შეგირდების უმრავლესობა სახელოსნოს მეპატრონის ყანებსა და ბაღ-ვენახში მუშაობენ მთელი კვირეებს განმავლობაში.

შეგირდთა უმრავლესობა არ ითვლება აგრეთვე პროფკავშირის წევრად. კერძო მფლობელები შეგირდებს ხშირად უკრძალავენ კავშირში ჩაწერას და თუ რომელიმე მათგანი დამქირავებლის მუქარას არ შეუშინდა და კავშირში ჩაეწერა, მას სამუშაოდან თითხოვენ და ქუჩაში აგდებენ.

არც კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სწარმოებს შეგირდთა შორის საფუძვლიანად და ამის შედეგად კომკავშირელ შეგირდთა რიცხვი კერძო სახელოსნოებში ძალზე მცირეა.

ყველაფერი ეს მხედველობაში უნდა მიიღონ პროვინციის დაბა-ქალაქებში არსებულ პროფორგანიზაციებმა. შეგირდების შრომის პირობების დასაცავად უფრო გადამჭრელი ზომების მიღებაა საჭირო. გაცხოველებულ უნდა იქნას აგრეთვე შეგირდების შორის კულტგანმანათლებელი მუშაობაც.

შეგირდების კულტურული დონის ამაღლება, მათი პროფორგანიზაციებისა და კომკავშირის რიგებში ჩაბმა—აი რით არის შესაძლებელი შეგირდთა შრომის პირობების დაცვა.

ენი.

სხვის უფლებებს ისაკუთრებს

(კარდანახი, კახეთის მაზრა)

ს. კარდანახში არსებობს მიწსახკომის სახ. ქონა მამული, რომელიც ძველ დროს მემამულე შერემეტიევს ეკუთვნოდა.

ეს მამული, როგორც სხვა საბჭოთა მამული, ბევრ დიდ შეღავათს აძლევს მის გარშემო მდებარე სოფლების გლეხკაცობას. აქ ყოველთვის შეიძლება სამუშაო იპოვო და ოჯახში ორიოდე გროში შეიტანო. გარდა ამისა, მამული ამზადებს ნამყენს ვაზს, რომელსაც ავრცელებს ხალხში, ავრცელებს აგრეთვე ამერიკული ვაზის ლერწს თავისი სანერგიდან, ყიდულობს გლეხობიდან ყურძნის მოსავალს, რომ გადაამუშაოს უფრო ძვირფას პროდუქტად და სხვა.

ასეთ მამულს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს, მაგრამ კარდანახის აღმასკომის თავმჯდომარე გიორგი ჯიქურაშვილი სხვანაირად მსჯელობს. ის კერძო ინტერესების თვალსაზრისით უდგება მამულს, უფრო რომ ვსთქვათ, მამულის გამგეს და პირადათ ხელს უშლის მუშაობაში. იმის მაგივრად, რომ მამულის გამგესთან კარგ განწყობილებაში იყვეს, მდგომარეობას ამწვავებს და ბრძანებლობის კილოთი მოქმედობს.

ამას წინად მან გაგზავნა მამულში გლეხი საბაშვილი და უბრძანა გამგეს მიეღო სამუშაოზე. ის სწერს ოფიციალურ ქაღალდში, რომ „ამა წლის № 13 ოქმის თანახმად (თემ. აღმასკომისა) თქვენს მამულში დანიშნულია დარაჯათ დათა საბაშვილი"-ო.

არის მამულში ასეთი თანამდებობა თავისუფალი თუ არა, ჯიქურაშვილი ამას არ კითხულობს.

ვინ მისცა კარდანახის აღმასკომის თავმჯდომარეს სახალხო მამულების ტრესტის უფლებები?

საქმე იმაშია, რომ ჯიქურაშვილი, სანამ თემაღმასკომის თავმჯდომარე გახდებოდა, [illegible] უფროსი მუშის ადგილს კარდანახის მამულში. ასეთი ალაგი თავისუფალი არ იყო და გამგემ ამაზე უარი უთხრა. ეხლა თავმჯდომარე ჯიქურაშვილი სამაგიეროს უხდის კარდანახის მამულის გამგე—ახალაძეს, თვით მუშებშიც გამგეს საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევა.

ამხ. ჯიქურაშვილი, რომელიც ასე ვიწროთ უყურებს ჩვენს აღმშენებლობას და სახალხო მამულების მნიშვნელობას, არაა ღირსი ეჭიროს აღმასკომის თავმჯდომარის თანამდებობა.

იხარი.

მუშათა ცხოვრება

პროფმუშაობა კერძო წარმოებებში

პროფესიონალური ორგანიზაციების ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს კერძო წარმოებებში ჩაბმულ მუშათა შრომის პირობების დაცვა, მათში პროფესიონალურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება და სასტიკი ბრძოლა კოლხელშეკრულებათა დარღვევის წინააღმდეგ.

თბილისის კერძო წარმოებებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი მუშა-ხელია ჩაბმული, ხოლო ბევრი მათგანი ჯერ კიდევ პროფკავშირებშიც არ არიან გაერთიანებულნი. კერძო მწარმოებლები ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რომ მათთან მომუშავე მუშა არ ჩაეწეროს პროფკავშირში. ისინი გაურბიან აგრეთვე მუშების დაზღვევასაც. კერძო მწარმოებელს ჭირივით ეჯავრება პროფკავშირი, ვინაიდან ის დარწმუნებულია, რომ თუ მუშა პროფკავშირის წევრია, მას ადვილად ვეღარ დასჩაგრავს, ზედმეტს ვერ ამუშავებს, შეღავათებს ვერ წაართმევს და სხვა.

ამ მიზნით ისინი ხშირად მუშებს წარმოების ფიქტიურ მონაწილედ ასაღებენ, ზოგან ცოტა ზედმეტ ხელფასს აძლევენ, რომ მუშამ თვითონ სთქვას უარი კავშირში ჩაწერაზე.

მუშების ერთი ნაწილი მართლაც ეგება მწარმოებლების ანკესზე. ისინი ზოგჯერ შრომის დამცველ ორგანოებს უმალავენ საქმის ნამდვილ ვითარებას და არ ამხელენ თავიანთ უმწეო მდგომარეობას. ასეთი მაგალითები არა ერთხელ გამოაშკარავებულა კერძო წარმოებებში შრომის პირობების გამოკვლევის დროს.

ძალზე სუსტად არიან გაერთიანებულნი კერძო წარმოებების მუშები აგრეთვე კოოპერაციაში.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და ამას წინად გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი კერძო წარმოებების მუშებს შორის პროფმუშაობის გაცხოველების შესახებ.

ამ ღონისძიებებში მთავარი ყურადღება დათმობილი აქვს ზედმეტ მუშაობასთან ბრძოლას, სპეცტანსაცმლის და საანგარიშო წიგნაკების თავის დროზე დარიგებას, კერძო წარმოების მუშების კოოპერაციაში ჩაბმას, მათში კულტმუშაობის გაძლიერებას, მუშებისათვის დროზე დაზღვევას და სხვ.

ეხლა ჯერი პროფორგანოებზეა. იმ პროფკავშირებმა, რომელთაც ახლო დამოკიდებულება აქვთ კერძო წარმოებების მუშებთან, ფაბრქარხკომებმა და შრომის რწმუნებულებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ პროფსაბჭოს მიერ გამომუშავებულ ღონისძიებების ცხოვრებაში გასატარებლად.

თვით კერძო წარმოებების მუშებსაც მართებთ მეტი სიფხიზლე. თვითეულ მათგანმა პროფკავშირებს ხელი უნდა შეუწყონ კერძო წარმოებებში შრომის პირობების დაცვის საქმეში.

მუშა.

მევახშეობის საქმე

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისში ვანო შავგულიძეს თითქმის ყველა იცნობს. ამ რამდენიმე თვის წინად ის ვაჭრობდა წყალ-ვალმა ყაფანთან და ამასთანავე ეწეოდა მევახშეობასაც. მასთან მიდიოდნენ გაჭირვებულები, რომლებსაც ის ფულს ასესხებდა, თამასუქს თუ ხელწერილს, ორმაგ თანხაზე ართმევდა, პროცენტებს თუმანზე თვეში 1 მან. და ზოგ შემთხვევაში მეტსაც ახდევინებდა, რა თქმა უნდა წინდაწინ. ასეთი მოქმედებისათვის ის ნიკოლოზის მთავრობის დროსაც ციხეში იყო მიბრძანებული, მაგრამ ჭკუა ვერ ისწავლა და მევახშეობას ისევ განაგრძობს.

ქუთაისის მესამე უბნის სახ. მოსამართლემ ა. წ. აპრილში მას მიუსაჯა დამტკიცებულ სისტემატიურ მევახშეობისათვის 18 თვით დაპატიმრება სასტიკი იზოლიაციით, მაგრამ მოხერხებულმა ვანომ წავიდა თბილისში და „ვიღაცას" დახმარებით ამ სასჯელიდან თავი გაითავისუფლა. ამჟამადაც არის სასამართლოს წარმოებაში მის წინააღმდეგ ასეთი საქმეები.

თუ შემდეგშიაც მას კიდევ დაუმტკიცდება მევახშეობა (და რომ დაუმტკიცდება ფაქტია), საჭიროა განაჩენის გამოტანისთანავე გაიგზავნოს გამასახლში მოსასვენებლად.

ბზიკო.

ინვალიდთა კულტურული კერა

დიდი ხანია ინვალიდები და ინვალიდთა ორგანიზაციები ცდილობენ კულტურული მუშაობის გაშლას ინვალიდთა რიგებში, მაგრამ სათანადო შენობის უქონლობის გამო—ეს შეუძლებელი ხდებოდა. დღეს ეს ნაკლი გამოსწორებულია. 15 აგვისტოს მოხდა ინვალიდთა კლუბის საზეიმო გახსნა, რომელსაც დაესწრნენ ამხ. ვანო სტურუა, ვ. ვაშაკაძე და სხვა პას. მგ. ამხანაგები.

საზეიმო სხდომა გახსნა კლუბის გამგეობის თავმჯდომარემ ომის საპატიო ინვალიდმა ამხ. ლექვთაძემ, რომელმაც მოკლედ განუმარტა დამსწრეთ კლუბის მნიშვნელობა ინვალიდთა შორის კულტურულ მუშაობის გასაჩაღებლად.

საზეიმო სხდომის შემდეგ ინვალიდების მონაწილეობით დაიდგა თითო მოქმედებიანი პიესები ქართულ და სომხურ ენებზე, რომელმაც საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე. პიესების დადგმას ემჩნეოდა ინვალიდების საკუთარი ინიციატივა.

შემდეგ მოქ. პაპკორიას მომღერალთა გუნდმა შეასრულა დასავლეთ საქართველოს ლამაზი სიმღერები. დასასრულ უჩვენეს კინოსურათი, უკრავდა სასულე ორკესტრი, ანტრაქტებში დამსწრენი ისმენდნენ რადიოკონცერტს.

კლუბში მოწყობილია ორმაგი რადიო, სამკითხველო, ავიაქიმის, რეზედასის კუთხე, ტირი და ბუფეტი, რომლებზედაც მეთვალყურეობის გაწევა დავალებული აქვს კლუბის გამგეობას.

ინვალიდების კლუბს დახმარებას უწევს საქართველოს სოც. უზრუნველყოფის კომისარიატი, ინვალიდთა ნაწილების კავშირის გამგეობა და გლეხის ცენტრალური სახლი. ინვალიდთა კლუბის დახმარების საქმეში, აუცილებელია სოც. დაზღვევის კომიტეტისა და რკინის გზის საპენსიო სალაროს ჩაბმა.

კლუბის გახსნა უკვე ფაქტია, ამჟამად საჭიროა ინვალიდთა კლუბის კულტურულ საქმიანობაში ჩაებას ყველა, ვინც კი მოწოდებულია ინვალიდთა და მათი ოჯახების მრავალ ათასიან მასის სამსახურისათვის და ჩვენი ახალი ყოფა-ცხოვრების განმტკიცებისათვის.

ხელმძღვანელებმა გეგმიანად და დაუზოგველად უნდა დახარჯონ თავიანთი ენერგია, რომ გამოსწორდეს ძველი შეცდომები და ღირსეულად დავდგეთ მუშათა კლასის მიღწევების სადარაჯოზე.

ხევ. ხიმშელი.

სადგურის უფროსების გაცილება

(შავი ზღვის რკინის გზა)

სადგ. ზუგდიდის მოსამსახურეთა ერთ ნაწილში დაიბადა აზრი სადგურის უფროს ფარცვანიას გაცილების მოწყობის შესახებ სხვა სადგურში (სენაკი), გადაყვანის და მისი ორი წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად. ეს დიადი აზრი გამოუხმაურებლად არ დარჩენილა გაჩნდენ „პროვოდი"-ს მომწყობი კომისიები. გაჩნდა საპროვოდო ფონდიც, რომელიღაც ორგანიზაციაში დადგენილ იქნა, რომ თვითეულ მსურველ მუშა-მოსამსახურეს ხსენებულ ფონდის სასარგებლოდ გადაეხადა სამ-სამი მანეთი.

ჩინებულად შეასრულა „გაცილების" მომწყობ კომისიამ წინასწარი სამუშაოები. ჯერ მიდგა იმაზე, თუ სად, რომელ შენობაში უნდა ჩატარებულიყო ეს გამოსათხოვარი გზას დასალოცი გაცილება. დიდი კამათის შემდეგ უკანასკნელი მოეწყო სადგურის ბუფეტში.

სუფრის პროცესიც ფრიად საინტერესო და საკმაოდ გრძელვადიანი (კვირა ღამის 10 საათიდან ორშაბათ დილის 9 საათ.) გამოდგა. ყოველი სადღეგრძელო იწყებოდა გრძელ და ფართე მნიშვნელოვანი თამადური თქმებით და გვირგვინდებოდა გულის და სულის მომბრუნებელი ცედური მრავალჟამიერით და სხვა სიმღერებით, ხშირად სხვადასხვა სისტემის სასროლიდან ტყვიის გასროლითაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ფარცვანიას გაცილებას სადგ. ზუგდიდში, ერთი დღით წინ უსწრებდა მამინაიშვილის გაცილება სად. სენაკში ასე რომ შესაძლებელი იყო ერთი დასწრებოდა მეორეს და მეორე პირველის გაცილებას. ეს ასეც მოხდა.

ნეტავი როდის მოეღება ბოლო ამ ძველ თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ ჩვეულებას?

მ. ხ.

მოტოციკლეტი № 1.

ქალაქის კომუნალურ განყოფილების აბანოების ადმინისტრაციას აქვს მოტოციკლეტი № 1-ლი, იმდენად გულკეთილი გამოდგა ეს მოტოციკლეტი და მისი შოფერი, რომ გარდა ადმინისტრაციის საჭიროებისა შიკრიკაც კი ემსახურება ქალაქში სარბენად. ყველანი მომადლიერებული ჰყავს, დაწყებული აბანოების გამგეებიდან, გათავებული შიკრიკამდე. დილის 6 საათიდან სალამომდე მოტოციკლეტი დარბის ქუჩებში. დილიდანვე იწყება მოტოციკლეტით სარგებლობის რიგში ჩადგომა, გამგე, გამგის ორი თანაშემწე, ბუხჰალტერი, საქმის მწარმოებელი, მონაგარიშეები, მოლარე, ორი კონტროლიორი, შიკრიკი და სხვ. ერთი მიჰყავს, მეორე მოჰყავს. სად წავიდა მოტოციკლეტი, რისთვის ვინ წაიყვანა, ან რა მოიტანა არავინ იცის. ასე აწამებენ და აწვალებენ უენო მოტოციკლეტს.

15 აგვისტოს კანტორის ერთი თანამშრომელი მოტოციკლეტით წავიდა სადღაც, ამ დღეს ჯამაგირები უნდა დარიგებულიყო. დილიდან 12 საათამდე მოლარე და მუშა-მოსამსახურეები ელოდებოდნენ მოტოციკლეტს, მაგრამ მის მოსვლას არაფერი ეშველა. ბოლოს, როგორც იქნა გამოჩნდა მოტოციკლეტი კანტორის თანამშრომლით, რომელმაც მისცა მოლარეს ჯამაგირების სია და დარიგებულ იქნა ჯამაგირები.

ასეთ დღეშია ყოველდღე ჩვენი მოტოციკლეტი.

ლიახველი.

ავაცილოთ რკინის გზას ზარალი

(სადგ. გურჯაანი)

სადგურ გურჯაანში მატარებლის მოსვლა საგრძნობლად გადიდებულია. ამავე დროს ვაგონების გამსინჯველები უკიდურეს სივიწროვეს განიცდიან, რადგან მათი რიცხვი არ გადიდებულა. გამვლელ მატარებელზე სამუშაო ბლომად არის, მაგრამ გამსინჯველებს არა აქვთ სათანადო იარაღები. ხშირად ვაგონებს უბრალო შეკეთებისათვის დეპოში აჩერებენ ოთხ-ხუთ დღეს. ზოგჯერ ვაგონები დატვირთულია მსწრაფლ გასაფუჭებელი ტვირთით. ისინი ფუჭდება და შემდეგ რკინის გზას უხდება მისი ანაზღაურება.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ტრ—4 და თავიდან აიცილოს რკინის გზას ზედმეტი ხარჯები.

რადო.

აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხნები

(წერილი ოზურგეთიდან)

დამთავრდა ოზურგეთის აბრეშუმის მეორე ძაფსახვევ ქარხნის აგება. ახალ ქარხანაში იმუშავებს 350 მუშა, ორივე ქარხანაში კი იმუშავებენ სულ 900 მუშა, რაც დიდი მიღწევაა ჩვენი მრეწველობის აღორძინების საქმეში. ძაფსახვევი ქარხნები დიდ სამსახურს უწევს გურიის ღარიბ მოსახლეობას. აქ თავმოყრილია ულარიბესი გლეხობის შვილები.

ქარხანაში მუშების მიღების დროს ადგილები განაწილებული იქნა თემებზე და ისინი გზავნიდენ განსაზღვრულ რიცხვით მუშებს. ულარიბესი გლეხების შვილებს.

გურიას, ძაფსახვევი ქარხნის სახით უკვე აქვს საწარმოო კერა. იმედია მომავალში აქ სხვა სახის ფაბრიკა-ქარხნებიც ამუშავდებიან.

მუშკორთა წერილებიდან

— **შეგვისრულეთ დანაპირები.** ორთაჭალაში, ტყავტრესტის მუშათა კლუბის გვერდით არის პატარა მოედანი, სადაც სდგას ენგელსის ძეგლი. ამ ადგილას ძალზე უსუფთაობაა. აღმასკომი ამ სამი წლის წინად დაგვპირდა ამ პატარა ბაღის გაშენებას, მაგრამ დაპირება არ შეგვისრულეს. საჭიროა ან ბაღის მოწყობა, ანდა ენგელსის ძეგლის აქედან სხვა ადგილას გადატანა.

ნაპერწკალი.

— **შეიძინეთ ახალი წიგნები.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის რკინისგზელთა წიგნთსაცავ სამკითხველო მდიდარია წიგნებით, მაგრამ მასში ნაკლებად მოიპოვება თანამედროვე ლიტერატურა და სახელმძღვანელოები. ასეთ ლიტერატურაზე კი დღეს დიდი მოთხოვნილებაა. საჭიროა ხსენებულ სამკითხველოს გამგეობამ ამაზე იზრუნოს.

ყო—ბი.

საქ. სახკომსაბჭოში

მემინდვრეობის შემოსავლის გამოანგარიშება ოზურგეთის, ზუგდიდის და სენაკის მაზრებში

საკითხი ოზურგეთის, ზუგდიდის და სენაკის მაზრებში მემინდვრეობის შემოსავლის გამოანგარიშების წესის შესახებ გადაეცა კომისიას ამხ. ა. რუხაძის (თავმჯდომარე), ჯამისა (ფინსახკომიდან), ჯაფარიძისა (მიწსახკომიდან) და ბაქრაძის შედგენილობით ადგილობრივ შესასწავლად და სათანადო მოხსენებების წარმოსადგენად სახკომსაბჭოში.

საქართველოს სსსრ-ის 1928—29 წ. საიმპორტო გეგმის შესახებ

სახკომსაბჭოსთან მოეწყო კომისია ამხ. გ. მგალობლიშვილის (თავმჯდომარე), მ. ალშიბაიას, გ. ყურულაშვილის, ს. ჯუღელის, ა. კვირიკაძის, ა. სააკიანისა და რასულზადეს შედგენილობით, რომელსაც დაევალა გადასინჯოს 1928—29 წ. საიმპორტო გეგმების საკონტროლო ციფრები უკანასკნელის შემცირების მიზნით.

ეთხოვა ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს, რათა ზემოხსენებული გეგმის ამიერ-კავკ. ორგანოებში წარდგენის ვადა განგრძობილ იქნეს 1928 წ. სექტემბრის 1-მდე.

საქართველოს სსსრ-ის 1928-29 წ. პურისა და ფურაჟის ბალანსი

საქართველოს სსრ-ის 1928—29 წ. პურისა და ფურაჟის წინასწარი ბალანსი, რომელიც სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მიერ იმ ცნობების მიხედვით არის შედგენილი, რაც სამმართველოს განკარგულებაში იყო ამა წლის აგვისტოს 1-ლისათვის, მიღებულ იქნა როგორც უაღრესად საორიენტირო ბალანსი და დამტკიცებულ იქნა შემდეგ ციფრებში: შემოსავალი (გადმოსული თადარიგით) 45.939.000 ფუთი, გასავალი—57.299.000 ფ., დეფიციტი—11.360.000 ფუთი.

ამასთანავე წინადადება მიეცა სამმართველოს წარმოადგინოს სახკომსაბჭოში უფრო სწორი ბალანსი, რომლის შედგენის დროს მხედველობაში უნდა იქონიოს სიმინდის ნათესის მდგომარეობის გაუარესება აგვისტოს 1-დან. ბალანსი შედგენილ უნდა იქნეს სექტემბრის 1-სათვის.

ახალი ჰიდრო-ელსადგურები

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საელექტროფიკაციო განყოფილებამ დაამტკიცა შემდეგი ჰიდრო-ელსადგურების აგების გეგმა:

აფხაზეთის ჰიდრო-ელსადგური

გადაწყვეტილია აფხაზეთში ტყვარჩელის რაიონში აგებული იქნეს ჰიდრო-ელსადგური. 1928—29 წელს იწარმოებს წინასწარი სამუშაოები, ადგილზე მიზიდული იქნება საამშენებლო მასალები და ამასთან ერთად იწარმოებს დროებით ნაგებობათა მოწყობა. სადგურის აგება სულ დაჯდება 4 მილიონ მანეთი. სადგური მზათ იქნება 1931—32 წელში. სადგურის სამუშაოებზე პირველ წელიწადს 1928—29 წელში დაიხარჯება 340.000 მანეთი, 1929—30 წ.—700.000 მანეთი, 1930—31 წ.—1.260.000 მანეთი და 1931—32 წელში—1.700.000 მანეთი. სადგური ენერგიას მიაწვდის როგორც მთელ რაიონს, ისე ტყვარჩელის მაღნებს.

აბასთუმანში

საელექტროფიკაციო განყოფილებამ საქართველოს საელექტროფიკაციო 5 წლიან გეგმაში შეიტანა აბასთუმანში ჰიდრო-ელსადგურის აგების გეგმა. განზრახულია აბასთუმანში აგებული იქნეს 450—500 ცხენის ძალიანი ჰიდრო ელსადგური. სადგურის აგება დაახლოებით დაჯდება—500.000 მან.

ალაზნის ჰიდროელსადგური

მომავალ 1928—29 წლიდან დაიწყება ალაზნის ჰიდრო-ელსადგურის აგება. სადგურს ექნება 6.500 ცხენის ძალა. მთელი სადგურის აგება პროექტის მიხედვით დაჯდება—2.200.000 მანეთი. სადგურის აგების დამთავრება განზრახულია უახლოეს 4 წლის განმავლობაში. სადგური აგებული იქნება ალაზნის არხზე, რომლის გამოყვანა დამთავრდება მომავალ წელში. არხის გამოყვანა დაწყებულია იმ ვარაუდით, რომ ის გამოსადეგი იქნეს ჰიდრო-ელსადგურისათვის.

რიონჰესის აგება დამთავრდება 1931 წელს

„რიონჰესი"-ს კომიტეტში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, რომ საკავშირო გზათა სახ. კომისარიატის დადგენილებით, სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოები დამთავრებული უნდა იქნეს 1931 წლის 1 ივნისისათვის, რათა ამავე წლის 1 ოქტომბრამდე ჩატარებული იქნეს აუცილებელი ცდები და შემოწმება, ხოლო უღელტეხილი ელექტრონის ძალაზე გადაყვანილი უნდა იქნას არა უგვიანეს 1931 წლის 1 ოქტომბრისა.

ვინაიდან უღელტეხილი ელექტროძალით უზრუნველყოფილი იქნება მხოლოთ მაშინ, როდესაც იგი ელექტრო ენერგიით მომარაგებული იქნება ორი ძლიერი სადგურიდან, საკავშირო გზათა სახ. კომისარიატი შუამდგომლობს საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და საკავშირო საგეგმო კომისიის წინაშე, რათა რიონჰესის სამუშაოთა ფინანსებით მომარაგების გეგმა შედგენილი იქნეს იმ ვარაუდით, რომ სადგურის აგება ოფიციალურად დამთავრდეს 1931 წლის 1 ივნისისთვის, რომ შესაძლო იქნეს სადგურის ყველა მანქანების, მოწყობილობის და ელექტრო-გამტარი ქსელის გამოცდა და შემოწმება და სურამის უღელტეხილის რიონჰესის ენერგიაზე გადაყვანა 1931 წლის 1-ლ ოქტომბრიდან.

მიტინგ-გამოძახების შედეგები

მიტინგ-გამოძახება დამთავრდა მთელ თბილისში როსტოვ-ნახიჩევანის „ემის"-ის გამოწვევით თბილისის მუშკოოპი მიტინგ-გამოძახების კამპანიის ჩატარებას შეუდგა პირველ ივნისიდან. წინასწარ შემუშავებული გეგმით მიტინგ-გამოძახების კამპანიის განმავლობაში გათვალისწინებული იყო 2000 ახალი წევრის ჩაბმა. კოოპერაციაში, 8000 მ. საპაიო თანხის მოგროვება და 10.000 მანეთის მიღება ანაბრის სახით.

საერთოდ კამპანიის მეტი სიცხოველით ჩატარებას ხელი შეუშალა ზაფხულის პერიოდმა, ვინაიდან დაიწყო მუშა-მოსამსახურეების შვებულებაში წასვლა. მიუხედავად ამისა, კამპანიის შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა.

დღიდან კამპანიის დაწყებისა სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებაში ჩატარდა სულ 55 კრება, რომლებზედაც საშუალოდ დაესწრო 12.000 მეტი კაცი.

ყველა კრებებზე კეთდებოდა საანგარიშო მოხსენებები მუშკოოპის მუშაობის შესახებ, რის შემდეგაც იმართებოდა კამათი. კამათში გამოსული მუშა-მოსამსახურენი მუშკოოპს მიუთითებდნენ შემჩნეულ ნაკლოვანებაზე და მოითხოვდნენ პაის გადიდებას 15 მანეთამდე.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ კრებებზე წევრები მოითხოვდნენ პაის გადიდებას 20 მანეთამდეც.

ასეთ წარმოებების რიცხვს ეკუთვნის კოლოფების ქარხანა, ლენინის სახელობის თამბაქოს და მაკარონის ფაბრიკები. დასახელებულ ქარხნებს შორის სამაგალითოდ უნდა ჩაითვალოს მაკარონის ფაბრიკა, სადაც პირველ აგვისტოსათვის პაი საშუალოდ აყვანილი იქნა 18 მანეთამდე.

კამპანიის დაწყებამდე— პირველ ივნისამდე მუშკოოპში ითვლებოდა 40.603 წევრი, კამპანიის დასასრულს კი (პირველ აგვისტოსათვის) წევრთა რიცხვი გაიზარდა 42.295-მდე, ხოლო საპაიო თანხა 290.328 მანეთიდან გაიზარდა 359.984 მანეთამდე.

კამპანიის დასასრულს საშუალო პაი შეადგენს 8 მანეთ 52 კაპიკს. ანაბრების სახით კი შემოვიდა 14,250 მანეთი.

ამრიგათ კამპანიის განმავლობაში მუშკოოპს შემატა 1692 ახალი წევრი, გეგმით კი წევრთა საერთო რაოდენობის გაზრდა გათვალისწინებული იყო 2000-ით; ახალი საპაიო თანხა მოგროვილი იქნა 9.984 მან. რაოდენობით. საშუალო პაი უნდა ყოფილიყო 8 მან. 57 კ., ამჟამად შეადგენს 8 მანეთს 52 კაპიკს, დანაკლისი უდრის 2 კაპიკს ანაბრების სახით ნაცვლად 10.000 მანეთისა შეგროვილი იქნა 14.250 მანეთი, ე. ი. 4,250 მანეთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. მუშკოოპს განზრახვა აქვს მიტინგ-გამოძახების კამპანია ჩაატაროს შემდეგშიაც.

მეთამბაქოეობის განსავითარებლად

საქართველოში მეთამბაქოეობის გაძლიერების მიზნით საქ. მიწ.-მოქ. სახ. კომისარის ამხ. ს. ჯუღელის ინიციატივით კრასნოდარის მეთამბაქოეობის სახელმწ. ინსტიტუტთან დადებულია სპეციალური ხელშეკრულება, რომლის ძალით კრასნოდარის მეთამბაქოეობის სახ. ინსტიტუტი ვალდებულია 1928-29 წლიდან საქართველოს მეთამბაქოეობის ყველა რაიონებში შეუდგეს საცდელ-სამეცნიერო მუშაობას. ინსტიტუტი კისრულობს აწარმოოს საცდელ-სამეცნიერო მუშაობა თამბაქოს თესლის გასაუმჯობესებლად, თამბაქოს ტეხნიკურად დასამუშავებლად და სხვ. ამ მიზნით ინსტიტუტი ლაგოდეხის რაიონში მოაწყობს სპეციალურ საცდელ დაწესებულებას და ასეთსავე პუნქტებს გახსნის აგრეთვე მეთამბაქოეობის სხვა რაიონშიაც.

ინსტიტუტის სამუშაო პროგრამას წინასწარ განიხილავს საქ. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის საცდელ-სამეცნიერო თათბირი.

საქ. მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატს უფლება აქვს ინსტიტუტის მუშაობას გაუწიოს საერთო მეთვალყურეობა და კონტროლი.

ინსტიტუტი ვალდებულია საქართველოში გახსნილ დაწესებულებებში მიწსახკომთან შეთანხმებით სამუშაოდ მიიწვიოს ადგილობრივი სპეციალისტები. ინსტიტუტი აგრეთვე ვალდებულია ამავე დაწესებულებებში მიიღოს სტაჟიორების და პრაქტიკანტების განსაზღვრული რაოდენობა მეთამბაქოეობის დარგში, ხოლო სპეციალისტების მომზადების მიზნით მეთამბაქოეობის დარგში აგროკულტურულ ღონისძიებებს ატარებს მხოლოდ მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.

აღნიშნულ ხელშეკრულების ვადა განსაზღვრულია ხუთი წლით.

მანუფაქტურის განაწილება

ა. კ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ საქართველოში მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის მომარაგების გეგმის ანგარიშში მიიღო 60.000 მანეთის ბამბის ქსოვილები, 105.000 მან. შალეული, და 5.000 მანეთის სელის ქსოვილები, რომელიც შემდეგნაირად განაწილდა.

ა. კ. რკინის გზებს მიეცემა 13.000 მან. ბამბის ქსოვილები, 15.000 მან. შალეული და 1.250 მანეთის სელის ქსოვილები: ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს 4,400 მან. ბამბის ქსოვილები, 2500 მან. შალეული და 1750 მან. სელის ქსოვილები. განათლების სახალხო კომისარიატს—14.000 მან. ბამბის ქსოვილები და 46.318 მანეთის შალეული. თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებას—470 მან. ბამბეული, კურორტთა სამმართველოს—230 მან. ბამბეული. 12.000 მან. შალის ქსოვილები და 2000 მან. სელის ქსოვილები. აფხაზეთს მიეცემა 8.000 მან. ბამბის ქსოვილები და 1500 მან. შალეული. აჭარისტანს—3,000 მანეთის ბამბეული და 2500 მან. შალის ქსოვილები. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—4.000 მანეთის ბამბის ქსოვილები და 1500 მან. შალეული. ამას გარდა ქალთა ყოფაცხოვრების და შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით გადადებულია 5.000 მანეთის ბამბის ქსოვილები.

კახეთის აღმასკომის მამულების ტრესტის მუშაობა

(წერილი კახეთიდან)

როგორც თელავის, ისე სიღნაღის მაზრის აღმასკომებს კულტურული მამულები ქონდათ. თელავის მაზრაში, განსაკუთრებით მევენახეობის მეურნეობას მისდევენ, სიღნაღისაში კი შერეულს. როგორც მევენახეობის, ისე ხვნა-თესვის, მესაქონლეობის და სხვა. სიღნაღის მაზრაში მიმდინარე წლის 1-ლ მარტიდან ჩამოყალიბდა აღმასკომის მამულების ტრესტი თავისი წესდებით და დებულებით.

მაზრების გაერთიანების შემდეგ აღმასკომის ყველა მამულები გაერთიანდა ხსენებულ ტრესტში და თვალსაჩინო ღირებულების და მნიშვნელობის მეურნეობა შეადგინა.

დღეს კახეთის აღმასკომის ტრესტში გაერთიანებულია შემდეგი წამოწყებანი:

მევენახეობა-მეღვინეობის დარგში—150 ჰექტარამდის ვენახები თელავის, შრომის, წინორის, გურჯაანის, ველისციხის და კარდანახის რაიონებში. მათში 60 ჰექტარამდე ნამყენი ვაზია, რომელიც ან უკვე იძლევა მოსავალს, ან ახლო ხანში მოგვცემს. ერთ ჰექტარ ნახევარი ამერიკული ვაზის სადედე, 2 ვაზის გამოსაკვანი სათბური და 3 მარანი. ქ. სიღნაღში აქვთ ღვინის სარდაფი და ვაჭრობა. ამჟამად თელავის სადგურთან შენდება უკანასკნელი ტეხნიკის მიხედვით დიდი სარდაფი 100.000 ვედრო ღვინის ტევადობით. ტრესტს განზრახული აქვს კიდევ 100 ჰექტარი სავენახე ადგილები გააშენოს ნამყენი ვაზით მომავალ ხუთი წლის განმავლობაში.

ვენახები სანიმუშოდ აქვთ დამუშავებული და ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ.

მესაქონლეობა: სოფელ კაჭრეთში აქვთ სარძევე ფერმა, რომლისთვის გამოწერილ იქნა 25 გერმანული ჯიშის ძროხა უკრაინიდან. აქ აპირებენ შერჩევას და გაუმჯობესებას ადგილობრივი ხევსურული ძროხის ჯიშისა, რომელიც [illegible] თავისი რძით.

მისდევენ მეღორეობას წითელ წყაროზე, როგორც წმინდა ჯიშების მოშენებით, ისე ცდების წარმოებით შეჯვარების და ადგილობრივ ჯიშის შერჩევით. ამ საჯიშიდან ადგილობრივ გლეხებს ურიგდებათ ხელმისაწვდომ-ფასებში გოჭები.

იქვე მოწყობილია **ცხენთსაშენი.** მეცხენეობას ამ რაიონისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. ცხენთსაშენში 60 ცხენია და ის აკმაყოფილებს რაიონის მოსახლეობის მოთხოვნილებას.

ცოდნის-კარის რაიონში მისდევენ **მეფრინველეობას.** აქ წამულის საქათმეში ჰყავთ სხვადასხვა ჯიშების ფრინველი, როგორც სახორცე, ისე კვერცხის დამდებნი. ჯიშიანი ფრინველი უკვე საკმაოდ არის გავრცელებული პუნქტის ირგვლივ მდებარე სოფლებშიაც გლეხების მეურნეობაში

მებაღეობის და მებოსტნეობის დარგში ტრესტს აქვს ხეხილის სანერგეები ცოდნისკარში ერთ ჰექტარამდე—25.000 ცალი ნამყენით, აქვს თესლეულობის დასამზადებლად იქვე ბოსტანი ადრეული ნერგის გამოსაყვანი სათბურით და ნახევ. ჰექტარზე დათესილი არახისი (ჩინური თხილი).

მემინდვრეობაში იწყობა ახალი საბჭოთა მამული შირაქის ველზე, სადაც წელსვე განზრახულია დაითესოს 2.000 ჰექტარზე პური და ქერი. უკვე 5 ტრაქტორმა დაიწყო იქ მუშაობა. გაგზავნილია ხელმძღვანელად აგრონომი და სხვა.

ტრესტი ამზადებს ღვინოს (შარშან 20.000 ვედრო დაამზადა), თამბაქოს, შეშას (განზრახული აქვს 10,000 საჟენი), თრიმლს, კაკალს, წაბლს და სხვა.

ტრესტის განკარგულებაში 2 სახერხი მანქანაა: ფშაველში და ქიაურში და რამოდენიმე წისქვილი.

ტრესტის მთელი ქონება 1.200.000 მანეთად არის შეფასებული.

როგორც ვხედავთ, ტრესტს დიდი გასაქანი აქვს და თუ წესიერად წაიყვანს საქმეს, დიდ როლს ითამაშებს კახეთის სოფლის მეურნეობის ზრდა-ვითარების საქმეში.

მ. კაკულია.

მოაწერეთ ხელი სესხს!

კედლის გაზეთების როლი სესხის გავრცელების საქმეში

წინასწარი სამზადისი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების განაღდებისათვის უკვე სწარმოებს. სექტემბრის პირველი რიცხვებიდან დაიწყება სესხზე ხელის მოწერის კამპანია, როგორც ქალაქების წარმოება-დაწესებულებებში, ისე სოფლადაც.

საბჭოთა ხელისუფლებამ რამოდენიმეჯერ გამოუშვა შინაური სესხის ობლიგაციები და ყველა ისინი დიდის წარმატებით იქნა გასაღებული, მაგრამ ასეთი დიდი რაოდენობის სესხი, როგორიც 500 მილიონიანი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხია, არასოდეს არ ყოფილა გამოშვებული.

ამ სესხის პირდაპირი დანიშნულებაა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარება, მისი წარმატებით განხორციელება, მაგრამ ამასთან ერთად ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხი მჭიდროთ არის დაკავშირებული აგრეთვე სასოფლო მეურნეობის აყვავება-აღორძინების საკითხთანაც. თავისთავად ცხადია, თუ ჩვენ არ გვექნება ისეთი წარმოებები, სადაც შესაძლებელია გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დამზადება, სასოფლო მეურნეობის აღორძინებაზე ფიქრი შეუძლებელია. მით უმეტეს ეს საჭიროა დღეს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებას დღის წესრიგში აქვს დასმული დიდი საბჭოთა მეურნეობების შექმნა, რომელთა მოწყობას ათი-ათასობით ტრაქტორი და სხვა გაუმჯობესებული იარაღ-მანქანები ესაჭიროება. დღემდის ასეთი მანქანების უმრავლესობას ხელისუფლება იძენს საზღვარ-გარეთ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, რომელშიაც უხდება ოქროს ვალიუტის ან სამაგიერო საექსპორტო საქონლის მიცემა.

ტრაქტორები მზადდება საბჭოთა კავშირშიაც, მათი ღირსება არაფრით ჩამოუვარდება საზღვარ გარ. ფირმების ტრაქტორებს, ზოგჯერ სჯობნის კიდეც მათ, მაგრამ ასეთ ტრაქტორებს ჩვენ ვერ ვამზადებთ საკმაო რაოდენობით ქარხნების უქონლობის გამო.

მაშასადამე, ინდუსტრიალიზაციის სესხიდან მიღებული თანხით აგებული ქარხანა, როცა ის ტრაქტორსა და სხვა მანქანებს დაამზადებს, სოფლის მეურნეობის აღორძინებას შეუწყობს ხელს. ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის აღორძინების საკითხი ერთით არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

ამასთან ერთად ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის უპირატესობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ამ სესხიდან შემოსული თანხების ათი პროცენტი რჩება ადგილობრივ ბიუჯეტში. ვთქვათ საქართველოში ჩვენ გავანაღდეთ ხუთი მილიონი მანეთის ობლიგაცია. აქედან ნახევარი მილიონი უშუალოდ მოხმარდება ადგილობრივი ბიუჯეტის გაძლიერებას, მშენებლობის საქმის გაფართოებას, ხოლო დანარჩენი თანხა შევა საერთო საკავშირო ბიუჯეტში და სხვა რესპუბლიკებში შეგროვილ თანხებთან ერთად მოხმარდება საკავშირო მნიშვნელობის წარმოებების შენებას.

ხელისუფლების მიერ მტკიცედ არის განსაზღვრული, რომ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის განაღდება უნდა მოხდეს სრული ნებაყოფლობითი საფუძველზე. არავითარ ძალდატანებას სესხის განაღდების საქმეში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მაშასადამე, სესხის განაღდება უნდა იწარმოოს პროპაგანდა-აგიტაციის საშუალებით. ობლიგაციის შემძენი უნდა დავარწმუნოთ იმაში, თუ რამდენად სასარგებლოა კერძოდ მისთვის და საერთოდ სახელმწიფოსათვის სესხის ობლიგაციის შეძენა. ამ მუშაობის ჩასატარებლად პირველ რიგში მოწოდებულია პრესა და აგრეთვე სპეციალურად ამ საქმისათვის გამოყოფილი მომხსენებლები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საჭირო აღარ არის მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ამოძრავება, ყველა კულტურული და მოწინავე ელემენტების ამ საქმეში ჩაბმა. განსაკუთრებით ეს საჭიროა სოფლად, სადაც ძნელია გლეხთა მასიური კრებების მოწვევა, ასეთ გაცხოველებულ მუშაობის დროს. გამოყოფილი მომხსენებლები ყველგან ვერ გასწვდება მუშაობას. მას აქტიურად უნდა დაეხმარონ პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციები, სოფლის კულტურული ძალები და პირველ რიგში მასწავლებლობა, აგრონომები, ექიმები და სხვა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სესხის გავრცელების საქმეში კედლის გაზეთების მონაწილეობას. დღეს ბევრ სოფელში გამოდის მეტი თუ არა, თითო კედლის გაზეთი მაინც. სესხის გავრცელების კამპანიის დროს კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიამ სპეციალური ნომრები უნდა გამოსცენ, რომელშიაც გაშუქებული იქნება სესხის მნიშვნელობა, ობლიგაციის შეძენის პირობები, სესხის გავრცელების ქრონიკა სხვა რაიონებიდან, როგორ სწარმოებს სესხის განაღდება ადგილობრივ, ვინ რამდენი ობლიგაცია შეიძინა და აგრეთვე კედლის გაზეთების საშუალებით უნდა მოხდეს ობლიგაციის შემძენთა გამოწვევაც.

კამპანიის პერიოდში სასურველია კედლის გაზეთები ყოველკვირეულად გამოიცეს.

ერთი სიტყვით კედლის გაზეთების წინაშე სერიოზული ამოცანაა წამოჭრილი, რომელიც მათ პირნათლად უნდა განახორციელონ.

ამ ამოცანის განსახორციელებელი სამზადისი კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიამ ეხლავე უნდა დაიწყონ.

ნ. მ.

როგორ უნდა ჩატარდეს ხელისმოწერა სოფლად

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის განმარტებით, ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ხელის მოწერა გლეხებს შორის, რომელიც შედიან წევრებათ ყველა სახის კოოპერატივებში, სახ.-სამ. კომუნებში, კოლექტიურ მეურნეობებში, არტელებში და გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებებში, ჩატარებული უნდა იქნეს შემდეგნაირად: ყველა ჩამოთვლილი ორგანიზაციები უნდა შეეკითხონ თავიანთ წევრებს—სურთ თუ არა მათ სესხზე ხელის მოწერა. შეკითხვის დამთავრების შემდეგ ხელის მოწერის მსურველთა გვარები შეტანილი უნდა იქნეს ხელის მოწერის სიებში და შემდეგ ხელის მოწერის საქმე ჩამოყალიბებული უნდა იქნეს ჩვეულებრივი წესით. ხელის მოწერის კამპანიას წინ უნდა უძღოდეს ფართო განმარტება-სააგიტაციო კამპანია.

იმ მიზნით, რომ უკეთ მოეწყოს კოლექტიური ხელისმოწერა, სასურველად არის მიჩნეული, რომ თვითეულმა კოოპერატივმა, კომუნამ და კოლექტიურმა მეურნეობამ გამოყოს თავისი რწმუნებულები. ამ რწმუნებულებს უნდა დაევალოს კოლექტიური ხელის მოწერის ჩატარების ყველა ოპერაციები. კოლექტიური ხელისმოწერა გლეხებს შორის უნდა სწარმოებდეს სოფლის საბჭოს უშუალო ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით. ხელის მოწერის საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი ევალება სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობ სამაზრო კომისიებს და სამაზრო აღმასკომებს.

რეალიზაციით მიღებული თანხის 10 პროც. გადაიდება ადგილობრივ საჭიროებისათვის

ამიერ-კავკ. სახ. კომისარიატის ცნობით, სადირექტივო ორგანოების მიერ გადაწყვეტილია, რომ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების გასაღებით ადგილებზე შეგროვილი თანხების ათი პროცენტი გადაიდოს ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად (ისევე, როგორც გლეხთა მეურნეობის განმტკიცების სესხზე).

ეს ანარიცხები გამოყენებულ უნდა იქნეს ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა მოსაწყობად, გზებისა და ხიდების შესაკეთებლად, სკოლების, საავადმყოფოების, ბინების აგებათ და სხვ. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ათ პროცენტიანი ანარიცხები შეადგენენ საკმაოდ დიდ თანხას და მათი ადგილობრივ მიზანშეწონილად გამოყენება საგრძნობლად გააუმჯობესებს ადგილობრივი მეურნეობის კეთილდღეობას.

სესხის ქრონიკა

პოლიგრაფტრესტის ლითოგრაფიაში.

პოლიგრაფტრესტის ლითოგრაფიის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე 28 აგვისტოს ამიერ-კავკ. ფინსახ. კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. **ემჩინოვმა** გააკეთა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. მოხსენებას მუშ. მოსამსახურენი შეხვდენ განსაკუთრებული ყურადღებით და დასასრულ მიიღეს დადგენილება, რომ სესხზე ხელი მოაწერონ არა ნაკლებ ერთი თვის ხელფასის რაოდენობისა. მათი თვიური ხელფასი შეადგენს დაახლოებით 10.000 მანეთს.

4.500 მანეთი

კავკასიის წითელ დროშიან არმიის სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებას 28 აგვისტოს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გაუკეთა სახელმწიფო ბანკის თანამშრომელმა ამხ. **მარქაროვმა.** მოხსენების შემდეგ გაიმართა ხელის მოწერა. მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, რომელიც შეადგენს 4.500 მანეთს.

ინსტრუქტორები გაემგზავრნენ რაიონებში

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალიუტო სამმართველომ დაამთავრა ინსტრუქტორებისათვის სათანადო ინსტრუქციების მიცემა და ინსტრუქტორები 28 აგვისტოს გაემგზავრნენ რაიონებში. ინსტრუქტორებს დავალებული აქვთ ხელმძღვანელობა გაუწიონ რაიონებში მიმდინარე საგიტაციო კამპანიას.

7.775 მან. მტვირთავ მუშებისაგან

28 აგვისტოს მეორე რაიონის მტვირთავ მუშათა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. **მარქაროვმა.** მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა სესხზე ხელი მოაწეროს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, რაც შეადგენს 7.775 მანეთს.

20.000 მან „ზაქრაზის" მუშა-მოსამსახურეთაგან

28 აგვისტოს შესდგა სააქციო საზოგადოება „ზაქრაზი"-ის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ფინ. სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. **ქიქაძემ.**

კრებამ დაადგინა სესხი შეიძინოს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, რაც დაახლოებით შეადგენს 20.000 მანეთს.

ტრაქტორი ქუთაისის რაიონს

გლეხთა მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის წარმატებით ჩატარებისათვის სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობმა ამიერ-კავკ. ცენტრალურმა კომისიამ ქუთაისის რაიონს ჯილდოთ გადასცა ერთი ტრაქტორი.

გასაღებულია 2000000 მან. ობლიგაციები

28 აგვისტომდე წინასწარი ხელისმოწერით ამიერ-კავკასიაში გასაღებულია 2,000.000 მანეთის ობლიგაციები.

საგიტაციო ლიტერატურა

ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატმა მოსკოვიდან მიიღო ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის საგიტაციო მასალების ახალი პარტია.

შრომის კოლექტივში

შესდგა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის უმუშევართა 1-ლი საწარმოო შრომის კოლექტივის წევრთა კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამავე კოლექტივის გამგემ ამხ. ს. ხაჯარიძემ. მოხსენების შემდეგ ერთხმად დაადგინა სესხის ობლიგაციების შესაძენად გადასდონ ერთი თვის ხელფასი, რაც შეადგენს 2000 მანეთს.

ნათესების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში

ა.-კ. სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს ცნობებით, აგვისტოს პირველ ნახევარში ხშირი იყო ტემპერატურის ცვალებადობა, რის გამო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ადგილი ჰქონდა სითბოს ნაკლებობას.

განსაკუთრებით საგრძნობი იყო ეს საქართველოში და სომხეთში. ყველაზე დაბალი ტემპერატურა იყო ახალციხის, ახალქალაქის მაზრაში და დილიჟანის ალპიურ ნაწილში. ნალექის რაოდენობა, ზოგიერთ გამონაკლისით, ყველგან საკმაო იყო. აფხაზეთის სამხრეთ ნაწილში, სენაკის და ქუთაისის მაზრებში, შორაპნის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში, ქვემო აჭარისტანში და აზერბეიჯანის აღმოსავლეთ ნაწილში ნალექმა, ნიაღვრების გამო, გადააჭარბა თვიურ ნორმას. ცოტა იყო ნალექი სოხუმის, ოზურგეთის, გორის, განჯის და ერევნის მაზრებში. თბილისის მაზრაში წვიმა იშვიათად მოდიოდა და აქ ძლიერი გვალვა იყო. სოხუმის და გუდაუთის მაზრების ზოგიერთ ადგილებში მოვიდა თოვლი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მდგომარეობა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ბამბა—აზერბეიჯანი 3,5, საქართველო—2,9, სოხუმი—3,6; თამბაქო: სომხეთი—3,3, საქართველო—2,8; ვენახები: აზერბეიჯანი—3.6, სომხეთი—3,7; საქართველო—3,4; ხილის ბაღები: აზერბეიჯანი—3,1, სომხეთი—2,5, საქართველო—2,7; სიმინდი—საქართველო—3,5.

ყველა ამ კულტურებიდან უმნიშვნელო გაუარესება ეტყობა, ივლისთან შედარებით, სიმინდს, ბამბას და ვენახებს საქართველოში და ხილის ბაღებს სომხეთში. თამბაქოს მდგომარეობა ყველა რესპუბლიკებში გაუმჯობესდა 6,7 პროცენტით.

წარსულ წელთან შედარებით სპეციალური კულტურების და სიმინდის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, როგორც ცალკე რესპუბლიკაში, ისე ამიერ-კავკასიაში მთლიანად. გამონაკლისს შეადგენს ბამბა, რომლის მდგომარეობა სომხეთში სტაბილიურია, საქართველოში—შარშანდელზე უარესი 10 პროცენტით.

ალუმინის ქარხანა

სააქციო საზ. „ზაკუტილსირიო"-ს განზრახული აქვს თბილისის სასაკლაოსთან მოაწყოს ალუმინის ქარხანა. აღნიშნული ქარხანა საქონლის სისხლს გადაამუშავებს ალმუმინათ და ფიბრინათ, რომელიც იხმარება ჩითეულის შესაღებათ. საერთოდ ეს ნივთიერება ქსოვილებით ამაგრებს ისეთ ფერადებს, რომლებიც არ იხსნებიან წყალში. გარდა ამისა ალმუმინი და ფიბრინი იხმარებიან აგრეთვე შაქრის დასაწმენდად შაქრის დუღილის დროს.

მთელ საბჭოთა კავშირში აქამომდე არსებობს ალმუმინის მხოლოდ სამი ქარხანა—ერთი კიევში, მეორე მოსკოვში და მესამე ლენინგრადში.

წინასწარი გამოკვლევით 1928—29 წელში თბილისის სასაკლაოზე დამზადდება 470.000 კილოგრამი საქონლის სისხლი. აქედან შეიძლება დამზადდეს 40 ტონა ალუმინი და 12 ტონა ფიბრინი.

საქართველოს უმაღლეს ეკონომსაბჭოსთან არსებულმა საამშენებლო - ტეხნიკურმა კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა ალუმინის ქარხნის პროექტი და წინასწარი ხარჯთაღრიცხვა.

ალუმინის ქარხნის აგება დაჯდება 41.846 მან.

ბრძანება

მეორე ქართულ საარტილერიო ლეგიონის ამხ. ფრუნზეს სახელობის 2 ქართ. მსროლელ დივიზიისა

№ 225

12 აგვისტოს 1928 წ. ქ. თბილისი

§ 2.

ჩემდამი რწმუნებულ ლეგიონის და არტპარკის ცვალებად უნცროს მეთაურებს და წითელ არმიელებს დაბადებულ 1902, 1903 და 1904 წ. უბრძანებ გამოცხადდნენ საერთო შეკრებაზე შემდეგ სამოსწავლო წერტებზე და ვადაზე.

ქუთაისის „ ქუთ. სამხ. კომისარ. ქ. № 119. 31 აგვ. 6 საათზე.
ხონის „ ხონის სამ. კომისარიატი 31 აგვ. 8 საათზე.
სამტრედიის „ სამტ. სამ. წერტილზე 31 აგვ. 6 საათზე
ასურეთის „ ასურეთის თემალ"ზე 31 აგვ. 12 საათზე
მანგლისის „ მანგლ. თემაღმას. 5 სექტ. 6 საათზე
ალბულაღის „ ალბულ. თემაღმას, 4 სექტ. 6 საათზე
თბილისის რაიონი, თბილისი, კლარა 4 სექტ. 6 საათზე

§ 3.

რწმუნებულებო, ცვალებად წითელ არმიელნო, მიიღეთ ყოველივე ღონისძიება, რათა არც ერთი ცვალებადი წითელარმიელი არ დარჩეს რაიონებში გამოუცხადებელი. საარტილერიო ლეგიონის სიებში არ უნდა იქნეს არც ერთი არმიელი, რომელიც არ გამოცხადდება შეკრებაზე.

ლეგიონის მეთაური **იოსელიანი.**

შემოდგომის და ზამთრის საკურორტო სეზონი

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატი ახლო მომავალში განიხილავს დასასვენებელ სახლებში და სანატორიუმებში მუშა - მოსამსახურეთა გაგზავნის საერთო გეგმას — ამასთან დაკავშირებით, საკურორტო მშენებლობის საკითხების გამოსარკვევად განხილულ იქნება სოციალური დაზღვევის სამმართველოს 1928—29 წლის ბიუჯეტი.

მომავალ 1928—29 წლის, შემოდგომისა და ზამთრის სეზონის გახსნის მოახლოვებასთან დაკავშირებით, ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატმა საქართველოსა და ამიერ - კავკასიის კურორტებზე ადგილები შემდეგნაირათ განსაზღვრა:

დაზღვეულ ავადმყოფებისათვის, რომლებიც საჭიროებენ სანატორიული წესით მკურნალობას დაეთმობათ 202 ადგილი კისლოვოდსკში, ხოლო ა.-კ. კურორტებზე განისაზღვრა 958 ადგილი.

აღნიშნული ადგილები რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად განაწილდა:

კისლოვოდსკში საქართველოს მიეცემა—30 ადგილი, აზერბეიჯანს — 135 და სომხეთს —23 ადგილი.

ამიერ - კავკასიის დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში საქართველოს მიეცემა —400 ადგილი, აზერბეიჯანს — 467 ადგილი, სომხეთს — 50 ადგ. დანარჩენი ადგილები შემონახულია სათადარიგოთ.

სამომხმარებლო კოოპერაციის ინსტრუქტორთა გადამზადება

ა.-კ. კოოპერატიული კავშირის კულტგანყოფილება შეუდგა ამიერ - კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის ინსტრუქტორთა გადამზადებას.

გადასამზადებელ კურსების მოსაწყობათ ა.-კ. კოოპ. კავშირმა გადასდო 6.000 მანეთი. კურსებზე მოწვეულ იქნა ინსტრუქტორები ადგილებიდან.

გამოწვეულმა ინსტრუქტორებმა დანიშნულ ვადისათვის თავი მოიყარეს თბილისში. ამ დღეებში ცეკავშირის სალექციო დარბაზში მოხდა კურსების გახსნა. კურსებზე მუშაობა გასტანს ერთ თვეს. კურსებს ხელმძღვანელობს ამხ. ბაქრაძე.

კურსებზე მსმენელათ საქართველოდან ჩამოვიდა — 12 ინსტრუქტორი, აზერბეიჯანიდან — 12, სომხეთიდან — 5, ხოლო ადგილობრივათ ესწრება 40 კაცი.

კურსების სასწავლო გეგმაში შეტანილია რვა საგანი. თეორიული კურსის გავლის შემდეგ კურსანტებისათვის მოეწყობა რამოდენიმე პრაქტიკული ხასიათის ექსკურსია და შემდეგ ისევ დაუბრუნდებიან თავ-თავიანთ სამუშაოს.

პირველი ექსკურსია განზრახულია ბათომში, ადგილობრივი მუშკოოპის გამოსარკვევად და რამოდენიმე კულტ. განმანათლებელი ხასიათის ლექციის ჩასატარებლად. ამას გარდა კურსანტები დაივლიან ბათომის ახლო-მახლო რაიონებს.

ასეთივე ექსკურსიები მოეწყობა თბილისშიაც.

აბრეშუმის პარკის მოსავალი

ზუგდიდის და სენაკის მაზრებში

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით, წელს ზუგდიდის მაზრაში სულ დარიგებული იყო 15.915 კოლოფი აბრეშუმის თესლი.

მთელ მაზრაში პარკის მოსავალი საშუალოდ თითო კოლოფზე მოდის 28 კილო და 556 გრამი პარკი. გასულ წელს დარიგებულ თითო კოლოფ თესლზე კი მოდიოდა 19 კილო და 574 გრამი.

ზუგდიდის მაზრაში მეაბრეშუმეთა რიცხვი უდრის 16.724 კაცს. ასე, რომ დარიგებული თესლის საერთო რაოდენობიდან თითო მეაბრეშუმეზე მოდიოდა ერთ კოლოფ თესლზე ნაკლები.

სენაკის მაზრაში წელს დარიგებული იქნა სულ 15.131 კოლოფი თესლი. საშუალოდ წელს პარკის მოსავალი კოლოფზე მოდის 25 კილო და 206 გრამი. გასულ წელს კი თითო კოლოფზე მოდიოდა 14 კილო და 566 გრამი. სენაკის მაზრაში მეაბრეშუმეთა რიცხვი აღწევს 15.077.

ორივე მაზრაში წელს საცდელად დარიგებული იქნა ინკუბატორების საშუალებით გამოყვანილი აბრეშუმის ჭიები. ცდამ საუკეთესო შედეგები გამოიღო: ინკუბაციის საშუალებით თითო კოლოფ თესლზე მოსავალი აღემატება საშუალოდ 31 კილოს და 36 გრამს.

ქრონიკა

წითელი ჯვრის სამდღიურის გადადება

საქართველოს სახკომსაბჭოს შუამდგომლობით, საქართველოს ცაკმა დაადგინა წითელი ჯვრის სამდღიური, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 1, 2 და 3 სექტემბერს, გადატანილ იქნეს შემდეგისათვის.

პატენტი გამოგონებებზე

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ მოიწონა გამოგონებათა კომიტეტის მიერ გამოგონებათა პატენტების შესახებ შემუშავებული კანონპროექტი.

ახალი ნადები

სარეწაო კოოპერატიულ კავშირმა უკანასკნელ თვის განმავლობაში გახსნა 38 ახალი ნადი. აქედან 16 თბილისში და 22 მაზრებში. თვითეული ნადი აკავშირებს არანაკლებ 10 კაცისა. უმთავრესად დაარსებულია შემდეგი სახის ნადები: ფეხსაცმელების და ტანსაცმელების სამკერვალოები, ხის ავეჯეულობის საკეთებელი, ქიმიური და სხ.

ტყვარჩელის ქვანახშირი

სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს ცნობით ტყვარჩელში ჩავიდა „გლავგორტოპი"-ს სპეციალური კომისია, რომელიც საბოლოოდ გამოიკვლევს ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავების საკითხს. კომისია იმუშავებს ორი კვირის განმავლობაში.

თბილისის აღმასკომში

— აისორების სკოლის საჭიროებისათვის განათლების განყოფილებას გადაეცა აგურის შესახვევში № 10 მდებარე სახლი.

— ბინებზე აბაზანებით მოსარგებლე მოქალაქეებს აღმასკომის დადგენილებით ამიერიდან წყლის საფასური ორმაგის ნაცვლად გადახდება ერთმაგად.

— საექიმო პუნქტი. ირაგში საექიმო პუნქტის მოსაწყობათ აღმასკომმა გადადო 500 მ..

— სკოლის ახალი შენობის სოფ. ახალდაბაში ასაგებათ წყნეთის თემაღმასკომს გადაეცა 735 მან..

— ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტის შესაკეთებლად და ამავე ინსტიტუტის რენტგენის კაბინეტის შესაძენად ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეცა 47.000 მანეთი.

— ახალი სახლები. აღმასკომის საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ორი ახალი სახლის პროექტი. სახლები აგებული იქნება ეორესის ქუჩაზე.

სხვადასხვა

— ქუთაისის მაუდის ქარხანაში 7 საათის სამუშაო დღე შემოღებული იქნება 1931—32 წლიდან.

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატში

თათბირი შრომის საკითხებზე

ამ დღეებში მოსკოვში გაიხსნა მეორე საკავშირო თათბირი შრომის საკითხებზე.

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატმა თათბირზე მიავლინა ამხ. შახსუვარიანი და იაროსლავსკი.

შრომის კოდექსი

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ გამოჰყო კომისია კოდიფიკაცია ქმნილ კრებულის გამოსაცემად შრომის საკითხებზე.

ზედმეტი მუშაობა

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა რესპუბლიკების შრომის სახ. კომისარიატებს, რათა ბალანსების შედგენის დროს არ დაუშვან ზედმეტი საათების მუშაობის შემთხვევები.

ქალთა შრომის პირობების შესწავლა

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატთან არსებულ ქალთა შრომის პირობების შემსწავლელ კომისიის ფუნქციები გადაეცა სპეც. შრომის ინსპექტორებს.

საბინაო სექციების გამოკვლევა

ამ დღეებში დასრულდა აზერბეიჯანისა და სომხეთის შრომის სახ. კომისარიატებთან არსებულ საბინაო სექციების გამოკვლევა.

სახ. უნივერსიტეტში

ვინ იქნება აღდგენილი

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა, იმ სტუდენტებმა, რომლებიც გარიცხული არიან უნივერსიტეტიდან, სავალდებულო რეგისტრაციაში გაუტარებლობის გამო, 5 სექტემბრიდან—იმავე თვის 12 მდე უნდა შემოიტანონ განცხადებები აღდგენის შესახებ.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას შესაფერი ფაკულტეტის სახელზე რეგისტრაციაში გაუტარებლობის მიზეზის აღნიშვნით და სათანადო საბუთის თანდართვით.

სამეცნიერო მივლინება

ამ დღეებში მოსკოვში, სამეცნიერო მივლინებაში მიემგზავრება პოლიტექნ. ფაკულტეტის დოცენტი ა. ხარაძე.

სასწავლო გეგმები

სახ. უნივერსიტეტის გამგეობამ დაამტკიცა ყველა ფაკულტეტების 1928—29 წ. სასწავლო გეგმები და დასტურისათვის გადაუგზავნა განსახკომს.

პროფკავშირებში

თვითღირებულების დაკლების და შრომის ნაყოფიერების აწევის საკითხების შესასწავლად

თვითღირებულების დაკლების და შრომის ნაყოფიერების აწევის საკითხების შესასწავლად 27—28 წელში საწარმოო თათბირების საშუალებით ჩატარებული იქნება მთელი რიგი მასიური კამპანიები. ყველა წარმოებებში გამოყოფილი იქნება კომისიები 5-დან 7 კაცამდე. კომისიის წევრებათ იქნებიან მუშები, ერთ-ერთ წევრად კი იქნება სპეცი.

წინასწარ შემუშავებულ სქემის მიხედვით (მხედველობაში მიღებულ იქნება წარმოების ესა თუ ის სპეციფიური პირობები), კომისია შეისწავლის თვითღირებულების დაკლების და შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებს და დამუშავებულ მასალებს მოახსენებს ფართო საწარმოო თათბირს.

მთავარი ყურადღება მიექცევა სამეურნეო ორგანიზაციის სუსტ მხარეს, თვითღირებულების დაკლების და შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში. კავშირებს და ქვედა პროფორგანიზაციებს წინადადება მიეცა აღნიშნული მუშაობა ჩაატარონ მუშათა მასის უშუალო მონაწილეობით, რათა უკანასკნელებმა მეტი ხალისი და ინტერესი გამოიჩინონ.

კომისია მოვალეა ადმინისტრაციის მიერ მიწოდებულ მასალას მოეპყროს კრიტიკულად, შეამოწმოს ის ანალოგიურ დაწესებულებათა მასალების მიხედვით. კომისიის მოვალეობას შეადგენს: გამოკვლევა იმისა, თუ რამდენად სწორად არის შედგენილი კალკულიაცია; ადგილი აქვს თუ არა ხარჯების ხელოვნურ გაბერვას; ჩატარებულია თუ არა თვითღირებულების დაკლება; შესაძლოა თუ არა თვითღირებულების შემდეგი დაკლება და სხვა.

ბორჯომის შუშის ქარხანაში

ამ დღეებში საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების შრომისა და ჰიგიენის ლაბორატორიამ დაასრულა ბორჯომის შუშის ქარხანაში შრომის ფიზიკურ და ქიმიურ პირობების გამოკვლევა.

ბორჯომის შუშის ქარხანაში წარმოების პროცესის ერთი ძირითადი დამახასიათებელი თვისებათაგანი არის, არაჩვეულებრივი სიცხე ბოთლების ჩამომსხმელ ღუმელებთან, მუშები იძულებული არიან იქვე მდინარეში ტანზე გაუხდელად გაგრილდენ და სველი საცმელით განაგრძონ მუშაობა.

ქარხნის ადმინისტრაციას ყოველივე გეგმის გარეშე მოუწყვია ვენტილიაცია. ვენტილიაციისათვის არ არის ენერგიის საკმაო რაოდენობა, რის გამოც ვენტილიაცია სავსებით დამაკმაყოფილებლად არ შეიძლება ჩაითვალოს.

სხვა ქარხნებთან შედარებით ბორჯომის შუშის ქარხანაში მეტად გავრცელებულია სხვადასხვა ავადმყოფობა, როგორიცაა მალარია, ფილტვების სისუსტე, ალკოგოლიზმი და სხვა. საშუალოდ დღეში, ამბულატორიაში სამკურნალოდ დაიარება 90-დან—100 კაცამდე. მაგრამ ამბულატორია მეტის მეტად უვარგის და მოძველებულ შენობაშია მოწყობილი და იმავე დროს ვერ არის მომარაგებული საჭირო მასალებით.

მუშათა საცხოვრებელ ბინების გამოკვლევის დროს გამოირკვა, რომ არ არის საკმაო საცხოვრებელი მოედანი და ამას გარდა სახლებიც მეტად მოძველებულია.

შრომის პირობების გასაუმჯობესებლად ბორჯომის შუშის ქარხანაში კომისიამ საჭიროდ სცნო ვენტილიაციის გაუმჯობესება, ამბულატორიის გადაკეთება, მუშებისათვის საცხოვრებელ ბინების დაუყოვნებლივ აგება და სხვა.

გამოკვლევას ხელმძღვანელობდნენ ექიმი ხმალაძე და ლაბორანტი ჭავჭანიძე.

მეცნიერება და ტეხნიკა

კინო-ლენტი ქაღალდიდან

ერთმა გერმანელმა ინჟენერმა ოთხი წლის მუშაობის შემდეგ მოახერხა კინო-ლენტის დამზადება ქაღალდიდან. როგორც ვიცით, კ.-ლენტები ამჟამად მზადდება ცელულოიდიდან, რის გამო ძლიერ ძვირი ჯდება და საშიშროებას წარმოადგენს ხანძრის მხრივ. ახალი ქაღალდის კინო-ლენტა თავის თვისებებით არ ჩამოუვარდება ცელულოიდისას. უკანასკნელთან შედარებით კი ქაღალდის კინო-ლენტას მთელი რიგი უპირატესობანი აქვს. მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის რამდენიმე ათეულჯერ უფრო იაფია, ვიდრე ცელულოიდის ლენტი. დაბოლოს, ახალი ლენტი შეიძლება გაუღენთილი იქნეს განსაკუთრებული ხსნარით, რომლის საშუალებით მას ისეთი თვისებები ეძლევა, რომ ცეცხლი აღარ ეკიდება. ავტორიტეტების აზრით, გერმანელი ინჟენერის გამოგონება სრულ გადატრიალებას მოახდენს კინომატოგრაფიის ცხოვრებაში.

უნგრეთის სამეცნიერო ექსპედიცია მონღოლეთში

გაზ. „პესტი ნაპლო"-ს ცნობით, უნგრეთელი მეცნიერი ლიმეტტი უნგრეთის სამეცნიერო აკადემიის დავალებით უახლოეს ხანში აწყობს სამეცნიერო ექსპედიციას მონღოლეთში. ექსპედიციის მიზანია მონღოლეთის უძველეს ფილოლოგიურ და არქეოლოგიურ ძეგლების შესწავლა.

სინათლე და ორგანიზმი

ფიზიოლოგმა შერდმა აღმოაჩინა, რომ სინათლის სპექტრის წითელი და ყვითელი სხივები ისევეა საჭირო ორგანიზმის ნორმალური განვითარებისათვის, როგორც ულტრა-იისფერი სხივები. შერდმა ცდები მოახდინა წიწილებზე, რომლებიც მოთავსებული იყო გალიებში, რომლის კედლებში სინათლის ფილტრები იყო გაკეთებული. ზოგიერთი ფილტრება ატარებდნენ მხოლოდ ულტრა-იისფერ სხივებს, ზოგიერთნი—მზის სპექტრის, მხოლოდ ზოგიერთი ფერად სხივებს, ზოგიერთი კიდევ — ერთსაც და მეორესაც. წიწილების საკონტროლო ჯგუფისათვის სარგებლობდენ მზის ჩვეულებრივი სინათლით. რამდენიმე კვირის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნორმალურად განვითარდენ მხოლოდ ის წიწილები, რომლებიც მოთავსებული იყვნენ გალიაში, რომლის ფილტრები ატარებდენ წითელ-ყვითელ და ულტრა-იისფერ სხივებს. დანარჩენი სხივები არ ახდენდენ რაიმე შესამჩნევ გავლენას წიწილების განვითარებაზე.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 30 აგვისტო

გადაცემა ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის რადიო-სტუდიიდან.

პარასკევი, 31 აგვისტო

პარასკევს, 31 აგვისტოს თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—რუსულ ენაზე.

ჯანმრთ. სახ. კომის. მოხსენება „ციმბირის წყლული"—ქართულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები ქართულ ენაზე.

მოხსენება „შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები"—რუსულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

მოხსენება „კალია და მასთან ბრძოლა"—თურქულ ენაზე.

რადიო-გაზეთი—ოსურ ენაზე.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

მოხსენებებს შუა მუსიკალური ნომრები.

რკინის გზეზე

დამატებითი შვებულებები

ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობამ რკ. გზების პროფკავშირებთან შეთანხმებით გადაწყვიტა მისცეს დამატებითი ორი კვირის შვებულება შემდეგი პროფესიის მუშებს: ლითონის ჩამომსხმელებს, ნავთის გადასაქაჩ სადგურების ქვაბების მწმენდავებს, გორისა და ნავთლუღის შპალების გამჟღენთი ქარხნების მუშებს, გვირაბებში მომუშავე დარაჯებს და სხვა ისეთ წარმოებებში მომუშავეებს, რომელთაც მავნებლობა მოაქვთ მუშების ჯანმრთელობისათვის.

მატარებლების დაჯახება

სადგ. გერინიდან (ბაქოს ხაზი) გასვლის დროს მატ. № 100-ის მიმწოლი ორი ორთქლმავალი, რომელსაც მართავდა მემანქანე გასონოვი დაეჯახა აღნიშნულ მატარებლის კუდს, დაჯახების გამო საგრძნობლად დაზიანდა 4 ცისტერნა. მატარებელი ორ წყებათ დააბრუნეს სადგურში.

30 წლის იუბილე

ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობამ, 30 წლის ნაყოფიერ მუშაობისათვის მადლობა გამოუცხადა რკ. გზების საექსპლოატაციო განყოფილების, ტვირთების განმანაწილებელ ქვე განყოფილების უფროსს პ. ი. იაკოვსკის.

ხელოვნება

ახალი მსმენელების მიღება სამუსიკო სასწავლებლებში

სახ. კონსერვატორიაში

სახელმწიფო კონსერვატორიაში 1928—29 სასწავლო წლისათვის განცხადებების მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან. 20 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე იწარმოებს მისაღები გამოცდები. კონსერვატორიის ყველა ფაკულტეტებზე მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს.

ყველა სტუდენტები, რომლებიც არ ჩააბარებენ სავალდებულო დისციპლინების მინიმუმს მექანიკურად გამოირიცხებიან კონსერვატორიიდან.

1-ლ სამუსიკო ტეხნიკუმში

1-ლ სახელმწიფო სამუსიკო ტეხნიკუმში (გრიბოედოვის ქ. № 8) განცხადებების მიღება იწარმოებს 1-ლ სექტემბრიდან და გასტანს 24 სექტემბრამდე. იმ პირებს, რომელთაც სურთ ტეხნიკუმში შესვლა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: მოწმობა დაბადების შესახებ, განათლების შესახებ და აგრეთვე საბუთები სოციალური მდგომარეობის შესახებ.

ხელოვნების ქრონიკა.

— აღმოსავლურ მუსიკის კონცერტი. საბჭოთა მუშაკების კლუბში დღეს გაიმართება აღმოსავლურ მუსიკის კონცერტი.

— წარმოდგენის გადადება. წარმოდგენა, რომელიც უნდა გამართულიყო 31 აგვისტოს წითელ არმიელთა კლუბში ქართულ დრამწრის მიერ გადაიდო.

— სახელმწიფო ოპერის დირექცია აბონემენტების გაცემას დაიწყებს 1-ლ ოქტომბრიდან.,

— „ანუშ". მშენებელთა კლუბში დღეს სომხურ ენაზე წარმოდგენილი იქნება „ანუში".

— ხალხური სიმღერების ჩასაწერად სახ. კონსერვატორია რაჭის მაზრაში აგზავნის ლენინგრადის კონსერვატორიის სტუდენტს შ. ასლანიშვილს.

— საშა გეგეჭკორის ქანდაკება. მიწსახკომმა კომკავშირელ მოქანდაკეს ლიჩაშვილს შეუკვეთა ამხ. ს. გეგეჭკორის ქანდაკების გამოკვეთა.

საბჭოთა-სავაჭრო ფლოტის თბილისის სააგენტოში

ამ რამოდენიმე ხნის წინად მოხდა ორი სატრანსპორტო ორგანიზაციის რაციონალიზაცია. შეერთებულ იქნა „სოვტორგფლოტი" და „ტრანსპორტი". წინეთ ტონა ტვირთის გადაზიდვა ჯდებოდა 4 მ. 88 კ., რაციონალიზაციის ჩატარების შემდგომ კი ჯდება 2 მ. 35 კაპ.

მთელ რიგ დაწესებულებებს წინეთ კავშირი ჰქონდათ კერძო საექსპედიციო კანტორებთან, ამას გარდა ცალკე უწყებებს ჰქონდათ თავისი სატრანსპორტო-საექსპედიციო განყოფილებები. მუშგლეხინის წინადადებით სახელმწიფო დაწესებულებებს აკრძალული აქვთ კერძო საექსპედიციო კანტორებით სარგებლობა; ამასთანავე 16 მსხვილმა ორგანიზაციამ გააუქმა თავისი სატრანსპორტო საექსპედიციო ქვე-განყოფილებანი. ისინი ამჟამად სარგებლობენ „სოვტორგფლოტი"-ს აპარატით, რაც დიდათ ამცირებს ამ დაწესებულებების ზედნადებ ხარჯებს.

თხილის დამზადება

წელს მთელ საქართველოში თხილის დამზადების საქმეს აწარმოებს მარტო „სოფლის კავშირი" თავის ძირითად ქსელის საშუალებით, თანახმად ხელშეკრულებისა „სოფლის კავშირი" დამზადებულ თხილს სარეალიზაციოთ გადასცემს „ზაკსოიუზს".

ვაჭრობის კომისარიატის დადგენილებით, იმ ორგანიზაციებს, რომლებიც დღემდე აწარმოებდენ თხილის დამზადებას, აკრძალული აქვთ, ასე რომ თხილის დამზადების ბაზარზე წელს გამოდის მხოლოდ „სოფლის კავშირი", რითაც თავიდან აცილებული იქნება არანორმალური მდგომარეობა თხილის დამზადების საქმეში.

„სოფლის კავშირს" გადაწყვეტილი აქვს წელს მთელ საქართველოში დაამზადოს 120.000 ფუთ თხილზე მეტი.

„ზაკსოიუზი" ამ რაოდენობიდან საზღვარგარეთ გასასაღებლათ გაიტანს 60.000 ფუთს, დანარჩენი თხილი კი გასაღდება საბჭოთა კავშირის ბაზარზე.

საზღვარგარეთ უმთავრესად გატანილი იქნება ანაკლიის რაიონში (ზუგდიდის მაზრა) დამზადებული თხილი, რომელიც ითვლება პირველ ხარისხოვნად.

გარდა ამისა საზღვარგარეთ გატანილი იქნება მეორე ხარისხოვანი თხილი ე. წ. „ნემსა" თხილი.

მოსავლის მხრივ წელს პირველი ადგილი უჭირავს ზუგდიდის მაზრას, სადაც „სოფლის კავშირს" განზრახული აქვს დაამზადოს 80.000 ფუთამდე თხილი. აფხაზეთში დამზადებული იქნება—40.000 ფ., გურიაში—15.000 და აჭარისტანში—15.000 ფუთი.

„სოფლის კავშირი" თავის ძირითად ქსელის საშუალებით თხილის შეძენას გლეხებისაგან აწარმოებს კონტრაქტაციის გზით. პირველი ავანსი ფუთ თხილზე 1 მ. 50 კ. რაოდენობით უკვე დაურიგდათ გლეხებს ივნისში. მეორე ავანსის დარიგება იმდენივე რაოდენობით დაიწყო 15 აგვისტოდან.

სასამართლო

კაცი ბებუთით

ამბავი იწყება ქეიფით და თავდება სისხლის ღვრით.

ამას წინად ახალგაზრდები: გიორგი ლავრენტისძე მიქელაძე, ნიკოლოზ ხუროშვილი, ლონგინოზ არჩვაძე, პეტრე შვეცოვი და ალექსანდრე ზარიძე საქეიფოდ შევიდნენ სასადილო „კაპარტაში" (ეორესის ქუჩა).

— 20 მანეთის მეტი არ გვაქვს,—ეუბნებიან მიკიტანს. ამ ფულით მოგვაწოდე რაც მოვითხოვოთ.

იწყება ქეიფი. ყველაზე მეტი მადა მიქელაძეს აღმოაჩნდა და წასვლისას „დესერტათ" 9 „რიუმკა" არაყი გადაჰკრა.

მიქელაძე რესტორნიდან ძლივს ამოფორთხალდა, გული წაუვიდა და გაიშხლართა ფილაქანზე. მისი ამხანაგები არ დაიბნენ. დაუძახეს ეტლს და დიდის ვაი-ვაგლახით ჩასვეს ეტლში და გასწიეს წყნეთის ქუჩისკენ. ეტლი გააჩერეს წყნეთისა და ყაზბეგის ქუჩის კუთხეში. აქ „ენა ამოიბა" მიქელაძემ და მკლავში ხელი სტაცა არჩვაძეს და ხუროშვილს, რომლებსაც წინადადება მისცა წაყოლოდა მის ნათესავ ალექსი ბურჭულაძესთან (მელიქიშვილის ქ. № 34). ქეიფის გასაგრძელებლად და თანაც დასძინა:

— თუ ქეიფია, ვიქეიფოთ. ბურჭულაძეს აქვს პიანინო. ხუროშვილმა დაკვრა იცის და დროს მხიარულათ გავატარებთო.

მეგობრები წავიდნენ ქეიფის გასაგრძელებლად.

—მასპინძელმა თავაზიანათ მიიღო სტუმრები.

გაიშალა სუფრა. თამადა მიქელაძე გრძელ-გრძელ „რეჩებს" ამბობს.

როცა მიქელაძე დათვრა, ცეკვა მოუნდა.

— მე ცეკვის სურვილი მაქვს, მხოლოდ ხუროშვილს დაუძახეთ ლეკური დაუკრასო.

ხუროშვილი კი ამ დროს მახლობელ ოთახში თავის ნაცნობებთან იყო გართული საუბარში.

ხუროშვილმა ლეკური არ დაუკრა. მიქელაძე ბრაზით აინთო, ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დააფშვნა, კბილები დააკრაჭუნა და გავიდა იმ ოთახში, სადაც ხუროშვილი იყო. მიეპარა მას და ზურგიდან ჩასცა ბებუთი. სისხლში გაღგრილი ხუროშვილი გაიშხლართა იატაკზე, მაგრამ მალე მოიკრიბა ძალღონე და გაიქცა. მიქელაძე დაეწია და მეორეჯერ მოუქნია ბებუთი, მაგრამ ააცილა.

ამ სურათს უყურებდა არჩვაძე, მაგრამ მას შიშისაგან ცახცახი აუტყდა და ვერ გაბედა მიშველებოდა ხუროშვილს.

რის ვაი-ვაგლახით მიქელაძე განიარაღებული იქნა.

გამოიწვიეს მილიციელი, რომელმაც მიქელაძე დააპატიმრა.

მოქ. ხუროშვილს ჭრილობა აღმოაჩნდა მარჯვენა ფილტვში, მაგრამ განიკურნა.

ახლო ხანში მიქელაძე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

არ. ტერ-არუთინოვის საქმე

არშაკ შიხეილისძე ტერ-არუთინოვი ირიცხებოდა ა.-კ. ფინსახკომის კონტროლის სამმართველოს უფროსად.

მან ფართო ცხოვრებას მიჰყო ხელი. როცა ჯამაგირი აღარ ეყო, გაიჩინა დამატებითი შემოსავლის წყარო—მივლინებები.

წარსული წლის 6 აგვისტოდან პირველ სექტემბრამდე დასასვენებლად იყო გაგზავნილი კურორტ ანაპაში.

როცა დაბრუნდა, ბუხჰალტერიას გაატარებია დავთრებში, რომ თითქოს მივლინებაში იმყოფებოდა და ამნაირი გზით მიღებული ფული ჯიბეში ჩაილაგა.

გარდა ამისა, თავისივე განკარგულებით თავის თავს შვებულების მაგიერ გამოუწერა ერთი თვის კომპენსაცია.

ბოლოს ეს ამბავი მივიდა საგამომძიებლო ორგანოს ყურამდე და ტერ-არუთინოვი პასუხისგებაში მისცეს.

გუშინ საქმე გაირჩა თბილისის სამაზრო სასამართლოში.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—ი. ბერიშვილი, სახალხო მსაჯულები: პ. გლუხოვი და ა. იმერლიშვილი, პროკურორი—ბ. კუპრაშვილი, მდივანი თ. მერკვილაძე.

სასამართლომ ტერ-არუთინოვი დამნაშავეთ სცნო ყალბი საბუთების შედგენაში და თანამდებობის ბოროტათ გამოყენებაში, რისთვისაც მიუსაჯა მას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამნისტიის ძალით სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქნა.

თ.

შემთხვევები

ხანძარი

გუშინ საღამოს საქართველოს მუზეუმის ახალ შენობის სახურავზე დაწყობილ ხე-ტყის მასალას გაუჩნდა ცეცხლი. ხანძრის ადგილას დაუყონებლივ გამოცხადდენ ცეცხლის მქრობელი რაზმის ყველა ნაწილები, რომლებმაც სწრაფად ჩააქრეს ცეცხლი.

ზარალი უმნიშვნელოა.

თავის მოწამვლა

თვითმკვლელობის მიზნით ნიშადურის სპირტი დალია ლიუბა გრიგოლის ასულმა ყანჩაველმა ([illegible] ფურიევის ქ. № 1). ყანჩაველს აღმოუჩინეს საექიმო დახმარება და მოათავსეს თავის ბინაზე. თავის მოწამვლის მიზეზი ოჯახური უსიამოვნებაა.

ქურდობა

მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს ევგენი გოგობერიძის ბინა (ლერმონტოვის ქ. № 20). წაიღეს 200 მანეთის ნივთები.—გრიგოლ მარტუმოვის ბინიდან (ლომინაძის ქ. № 12) ზინა მოსამსახურემ ვალენტინა შინკარიოვამ მოიპარა სხვადასხვა ნივთები და მიიმალა.

უბედური შემთხვევა

გუშინწინ, ღამის 10 საათზე, კონსტანტინე ჩარავს ბინაზე (მოსკოვის ქ. № 17) თამარა კონსტანტინეს ასულმა დარჩიამ უცაბედათ რევოლვერის ტყვიით დაიჭრა თავი. დაჭრილი გაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

ქურდების დაპატიმრება

მილიციამ დააპატიმრა: ვლადიმერ ინაკის ძე ბაბიცკი, ნიკოლოზ პავლეს ძე ჩერნიაკოვი; მიხეილ ნიკოლოზის ძე ბელიაევი, გიორგი ვასილის ძე სიზანაშვილი.

ხსენებულ პირებს ბრალდებათ ქურდობა.

დაჯახება

გუშინ, დღისით, ეორესის ქ. და პლეხანოვის პროსპექტის კუთხეში მოტოციკლეტს, რომელსაც მართავდა მოქ. ნიკოლოზ კუჩერი, უცაბედათ დაუზიანდა საჭე და ინერციის ძალით დაეჯახა ქუჩაზე გადამავალ მატრონა გრიგოლის ასულ გოგორიევას (მცხოვრ. ნაზარეთის ქ. № 59), რომელიც მსუბუქად დაშავდა. გოგორიევას აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარება.

ოფიციალური განყოფილება

ცირკულიარულად

სოფლად მომუშავე საექიმო პერსონალის უფლება - მოვალეობა

ყველა მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებას, ასლი ავტონომიურ რესპუბლიკების ჯან. სახ. კომისარიატებს, საქ. წითელი ჯვრის საზოგადოებას, ა-კ. რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილებას

ინსტრუქცია

(შედგენილია თანახმად მე-8 მუხლისა ს. ს. ს. რ. სახკომსაბჭოს 15 ივნისის 1927 წლის № 6 დადგენილების „სოფლის საექიმო დახმარებით უზრუნველყოფის და სოფლად მომუშავე მედპერსონალის მატერიალურ მდგომარეობის და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ").

1. ექიმები.

სოფლის სამკურნალო დაწესებულების ექიმს თანამდებობაზე დანიშნავს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანს და სამსახურიდან დაითხოვს მაზრის ჯანგანყოფილება დაინტერესებულ თემაღმასკომთან შეთანხმებით და კავშირისთვის ცნობის გაგზავნით თანახმად შრომის კანონთა კოდექსისა.

შენიშვნა: სოფლის ექიმის თანამდებობაზე დანიშვნასა, გადაყვანასა და დათხოვნასთან დაკავშირებული უთანხმოება გადაეცემა ჯანმრთელობის ზედა საფეხურის ორგანოს და კავშირს გადასაწყვეტად მომქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

2. სოფლის სამკურნალო დაწესებულების გამგე ექიმი მჭიდრო კავშირს იჭერს ადგილობრივ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მათ მუშაობაში მონაწილეობის მიღებით. იგი პასუხისმგებელია მისდამი რწმუნებული დაწესებულების სამეურნეო, სამკურნალო და სანიტარული საქმის სათანადოდ დაყენებისათვის, მასვე ემორჩილება მთელი პერსონალი.

შენიშვნა: უმცროს პერსონალს დანიშნავს თვით ექიმი, სამეურნეო ნაწილის გამგეს დანიშნავს ექიმი თემაღმასკომთან შეთანხმებით. საშვალო მედპერსონალის დანიშვნა - დათხოვნის წესი გათვალისწინებულია ამა ინსტრუქციის მე-2 თავში.

3. სოფლის სამკურნალო დაწესებულების გამგე ექიმი: ა) აწესებს სამკურნალო დაწესებულების შინა წესრიგს.

შენიშვნა: შინა წესრიგს ექიმი შეიმუშავებს, ჯანმრთელობის დაცვის ზედა საფეხურის ორგანოს ინსტრუქციის თანახმად, პროფკავშირის ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენელთან ერთად, ეს წესრიგი დამტკიცდება შრომის ინსპექტორის მიერ (იხ. მუხ. 54 შრომის კანონთა კოდექსისა).

ბ) ანაწილებს, შინა წესრიგის მიხედვით, სამუშაოს საექიმო სასანიტარო და სამეურნეო პერსონალს შორის, კონტროლს უწევს მათ მუშაობას და თვალყურს ადევნებს მათ მიერ თავისი მოვალეობის სისწორით შესრულებას.

გ) პასუხს აგებს, კანონის თანახმად, იმისათვის, რომ სამკურნალო დაწესებულების საექიმო და სამეურნეო ქონება უკლებლივ და სათანადოთ ინახებოდეს.

დ) განაგებს კრედიტებს, თვალყურს ადევნებს საექიმო, სამეურნეო და საფინანსო ანგარიშებას, ადგენს ავადმყოფთა შესანახ ხარჯთაღრიცხვებს და ღებულობს მონაწილეობას სათანადო ინსტანციებში ამ ხარჯთაღრიცხვების გატარების დროს.

ე) წარადგენს პერიოდულ და ვადიან ანგარიშებს, მოხსენებებს და სხვა ცნობებს თანახმად არსებულ წესებისა და აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების, მოკვლევის, გამოძიების და სასამართლოს ორგანოთა ცალკე მოთხოვნით.

4. აწარმოებს რა თავის საექიმო მუშაობას პროფილაქტიური მიმართულებით სოფლად მომუშავე ექიმი:

ა) ხელმძღვანელობს თემის სანიტარულ საბჭოს მუშაობას.

ბ) თვალყურს ადევნებს ეპიდემიურ, სოციალურ და ყოფა - ცხოვრებასთან დაკავშირებულ და პროფესიონალურ ავადმყოფობათა გაჩენას და მიმდინარეობას, იკვლევს მათი გაჩენის მიზეზებს, იღებს ღონისძიებას მათი თავიდან ასაცილებლად და მონაწილეობას იღებს მათთან ბრძოლის საქმეში სანიტარულ ექიმთან შეთანხმებით; გარდა ამისა იგი მონაწილეობს საერთო გამაჯანსაღებელ და ეპიდემიასთან საბრძოლველ ღონისძიებათა ორგანიზაციაში და მათ განხორციელებაში, როგორიცაა: ყვავილის კამპანია. გადამდებ სნეულებათა კერების გამოკვლევა, მეთვალყურეობის გაწევა ბინების მდგომარეობასა, საერთო სარგებლობის ადგილებისა, წყლის მიმწოდებელი. წყაროების, სურსათ - სანოვაგის მომზადების, შენახვის და გასაღების ადგილებისათვის და სხვ.

შენიშვნა: პროფესიონალური მოწამვლის ან ავადმყოფობის ყოველი ცალკე შემთხვევა, ექიმი მოვალეა თუ ამ მოვლენას მასიური ხასიათი არა აქვს, არა უგვიანეს 7 დღისა, ხოლო თუ მასიური ხასიათი აქვს დაუყოვნებლივ, აცნობოს სამაზრო სასანიტარო ინსპექციას, იქ კი, სადაც ასეთი არ არის შრომის ინსპექციას.

გ) აწყობს და ცხოვრებაში ატარებს პროფილაქტიურ ღონისძიებებს სასანიტარო სწავლა - განათლების გავრცელებით, დედათა, ჩვილთა და ბავშვთა დაცვით და სხვა, თანახმად ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა ინსტრუქციებისა.

5. სოფლის მოსახლეობისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის მხრივ სოფლად მომუშავე ექიმი ვალდებულია: ა) ყოველდღე, გარდა უქმე და გამოსასვლელი დღეებისა, მიიღოს საექიმო პუნქტებზე ამბულატორიული ავადმყოფები. ამასთანავე ავადმყოფთა ჩაწერის და მიღების დრო მტკიცეთ განისაზღვრება სოფლის ექიმის და თემაღმასკომის ურთიერთ შეთანხმებით.

შენიშვნა: 1. უქმე და გამოსასვლელ დღეს და აგრეთვე მუშაობისგან თავისუფალ საათებში ექიმს უფლება აქვს წავიდეს პუნქტიდან, მაგრამ ვალდებულია სამკურნალო დაწესებულებაში დასტოვოს ცნობა, თუ სად იქნება იგი.ეს იმ შემთხვევისათვის, თუ საჭირო გახდება მისი სასწრაფოდ გამოწვევა.

შენიშვნა 2: ამბულატორიული მიღების საათების რიცხვი ისეთი ექიმისათვის, რომელიც სტაციონარს არ განაგებს, არ უნდა აღემატებოდეს 5-ს, ხოლო სტაციონარის გამგე ექიმისთვის 4-ს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს შინა წესრიგით.

შენიშვნა. 3: ისეთი ავადმყოფი, რომელსაც თავისი სნეულების გამო, ესაჭიროება სასწრაფო დახმარება, აგრეთვე მძიმე ავადმყოფები, მიიღებიან მიღებისათვის დანიშნული დროს გარეშეც.

ბ) სამკურნალო დაწესებულებაში ავადმყოფის მიღება - გამოწერა ხდება გამგე ექიმის განკარგულებით. უკეთუ სამკურნალოში რამოდენიმე სხვადასხვა სპეციალური განყოფილებაა, ავადმყოფთა მიღება - გამოწერა მოხდება სათანადო განყოფილების გამგის განკარგულებით.

გ) სოფლად მომუშავე ექიმი მოვალეა თავის უბნის ფარგლებში ბინაზე აღმოუჩინოს საექიმო დახმარება ისეთ ავადმყოფს, რომელსაც ესაჭიროება სასწრაფო, გადაუდებელი დახმარება და რომლის წაყვანა სამკურნალოში განსაცდელში ჩააგდებს მის სიცოცხლეს ან აშკარა ვნებას მიაყენებს მის ჯანმრთელობას. ასეთი შემთხვევაა: ა) პატალოგიური მშობიარობა, ბ) მოწამვლა, გ) სიცოცხლისათვის საშიში სისხლის დენა, დ) სიცოცხლისათვის საშიში მძიმე ჭრილობა, ე) ეპიდემიური სნეულების გაჩენა.

შენიშვნა 1: სამკურნალო დაწესებულების გამგე ექიმს უფლება ეძლევა, შემთხვევის და მიხედვით, ბინაზე დახმარების აღმოსაჩენად გაგზავნოს საშუალო მედპერსონალი.

შენიშვნა 2: ექიმი მოვალეა ავადმყოფის ბინაზე, თავისი საცხოვრებელი ადგილის გარეშე დახმარების აღმოსაჩენად წავიდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის განკარგულებაში იქნება მისვლა - მოსვლის რაიმე საშუალება.

6. ექიმი მოვალეა შეამოწმოს იმ პირთა ჯანმრთელობა და მისცეს ამის შესახებ დასკვნა, რომელთაც ამ მიზნით სამკურნალო დაწესებულებაში გამოგზავნიან მილიციის და იუსტიციის ორგანოები და აგრეთვე ამ უკანასკნელთა წინადადებით აწარმოონ გვამების სასამართლო - საექიმო გაკვეთა იმ შემთხვევაში, თუ მაზრაში არ იმყოფება სასამართლო ექიმი და თუ მას ხელთ ექნება შესაფერი ინსტრუმენტი.

7. დღე და საათი სასამართლო - საექიმო შემოწმებისათვის დაწესდება მოკვლევის ან გამოძიების ორგანოების და ექიმის შეთანხმებით.

შენიშვნა: ზემოდაღნიშნულ წინადადებებზე გამოცხადება ექიმისთვის სავალდებულოა მხოლოდ თავისი უბნის ფარგლებში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის განკარგულებაში იქნება მისვლა - მოსვლის საშუალება, და თუ თითოეულ წასვლისათვის მას მიეცემა გასამრჯელო თანახმად ჯანმრთელობის და იუსტიციის სახ. კომისარიატების და სამედიცინო სასანიტარო შრომის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მიერ დაწესებული ნორმებისა.

8. სოფლად მომუშავე ექიმის მოვალეობას შეადგენს მოწმობის გაცემა ავადმყოფობის, სხეულის დაზიანების, მკურნალობის. დაბადების და სიკვდილის შესახებ ისეთ შემთხვევებში, რაც გათვალისწინებულია ჯანსახკომისარიატის ინსტრუქციაში „საექიმო მოწმობების გაცემის წესის შესახებ".

9. ყოველგვარი გაუგებრობა, რასაც ადგილი ექნება ამა ინსტრუქციის შეფარდების დროს, გადაეცემა გადასაწყვეტლად ჯანმრთელობის დაცვის ზედა საფეხურის ორგანოებს.

შრომის ურთიერთობის ნიადაგზე წარმოშობილი დავა უნდა განხილულ იქნას შრომის კანონთა კოდექსის თანახმად.

II.

საშუალო სამედიცინო პერსონალი

(ბებია ქალები, ექიმების თანაშემწეები და სამედიცინო დები)

1. სოფლის სამკურნალო დაწესებულების საშუალო სამედიცინო პერსონალს სამსახურში დანიშნავს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანს და სამსახურიდან დაითხოვს მაზრის ჯანგანყოფილება სამკურნალო დაწესებულების გამგე — ექიმთან შეთანხმებით და მომქმედ შრომის კანონების და კოლექტიურ ხელშეკრულების მიხედვით.

შენიშვნა: საშუალო პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნისა, გადაყვანა-გადმოყვანასა და დათხოვნასთან დაკავშირებული უთანხმოება გადაეცემა მაზრის ჯანგანყოფილებას კავშირის სამაზრო განყოფილებასთან შეთანხმებით გადასაწყვეტად საერთო წესისამებრ.

2. საშუალო სამედიცინო პერსონალი უშუალოდ ემორჩილება სამკურნალო დაწესებულების გამგე - ექიმს, ასრულებს სამუშაოს მისი დავალებით, თანახმად შინა წესრიგისა.

3. საშუალო სამედიცინო პერსონალი, როგორც ექიმის თანაშემწე, მოვალეა მოუაროს ავადმყოფს, თვალყური ადევნოს საავადმყოფოში სისუფთავეს და წესრიგს, შეასრულოს ექიმის დავალებით და მისივე მეთვალყურეობით სამკურნალო და სხვა სამუშაო, თანახმად შინა წესრიგისა.

4. იმ შემთხვევაში, თუ ექიმი ადგილზე არ იქნება, საშუალო პერსონალის ერთ-ერთი პირი შეიძლება დატოვებულ იქნას ექიმის მოადგილედ.

5. ბინაზე დახმარებისათვის გაწვეულ საშუალო სამედიცინო პერსონალს უნდა მიეცეს მისვლა - მოსვლის საშუალება.

6. უკეთუ საშუალო სამედიცინო პერსონალი განაგებს ისეთ პუნქტს, სადაც შტატით ან სხვა მიზეზით ექიმი არ არის, იგი ადმინისტრატიულ და სამეურნეო საკითხებში ეთანაბრება სამკურნალო გამგე ექიმს, ხოლო თავის სამკურნალო მუშაობაში ხელმძღვანელობს ჯანსახკომისარიატის და მის ორგანოების მიერ გამოცემული დებულებებით და ინსტრუქციებით.

7. წინა მუხლში აღნიშნული საშუალო პერსონალი, რომელსაც დაკისრებული აქვს პუნქტის გამგებლობა: ა) აწარმოებს საექიმო, სამეურნეო და საფინანსო ანგარიშებს, წარადგენს, შემოღებული წესით და ფორმით პერიოდულ და ვადიან ანგარიშებს, მოხსენებებს და სხვა ცნობებს, ბ) თვალყურს ადევნებს ეპიდემიურ სნეულებათა გაჩენას, დაუყოვნებლივ აცნობებს ამგვარი სენის გაჩენას მაზრის ჯანგანყოფილებას და იღებს მონაწილეობას მასთან ბრძოლაში.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი— გრ. კუჭაიძე.

იუსტიციის სახალხო კომისარი შ. მათიკაშვილი.

შრომის სახალხო კომისარი ს. თოდრია.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 30 აგვისტოს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: გიორგი ბაძილაშვილი; ალექსანდრე კონდენკო; ლევან ტუზიევი; მარიამ ოსიპოვა; მარიამ კაპანაძე; ნატალია ფროლოვა; ილარიონ თომაშვილი: აბაზოვი; თური ერმოლოვი; სერგო დავიდოვი; პეტრე პუტცე; ვიკენტი კობახიძე; ქსენია პოპოვა; ვერა ბიძინაშვილი; სამარინი და მამიკონიანი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ლიდია იანსუშტოვა; მარიამ დიდებულიძე; შალვა რობაქიძე; ნინო დევდარიანი; ალექსანდრა ბაბაკაშვილი; პეტრე სოზონოვი; ასტრიკ მირზოიანი; მარიამ ჩერნენკო; მარიამ ინანიშვილი; ელენე აბულაძე; თამარ მექვაბიშვილი; გიორგი კოვალენკო; ელა ორაგველიძე; ნერსეს სუკიასოვი; სურენ ვოსკანიანი; ალექსი ნიკონოვა; ეგიშ ტანაპეტიანცი; ანნა სოსინა; ლაუდმილა პიუმსკაია; ანასტასია პოლოვკევა; ოლღა ვაჩნაძე; თამარ გუგუშვილი; ალექსანდრა ოსიპოვა; აკაკი ჩაკვეტაძე; ივანე ხმალაძე; ამბაკო შავგულიძე; ნიკოლოზ ზაიცევი; დავით ქარაბაკი; იოსებ ცერილაძე. პეტრე მახაილოვი; ვლადიმერ ბლიაძე; იოსებ ზალდასტანიშვილი; გედეონ შანიძე; გიორგი შაბაგულოვი; მარიამ სმირნოვა; იოსებ მჭედლიშვილი; ალექსანდრე ცომაია; ალექსი [illegible]; სიმონ ქელიძე; ილია როტიშვილი, მიხეილ არეშიძე; ავეტიკ [illegible] და გერასიმე ზარსეგოვი.

მედსექციიდან. ეკატერინე ზაბრიაშევა; ლიუბა [illegible] და მარიამ გიორგობიანი.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ილია სპირიდონის-ძე, შვილებით, რძალი ლიუდმილა, შვილიშვილები, სიძე აკაკი კაკაბაძე, ანა და სერგო ლოგინოვები აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარი

ევა ჭანკოტაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე გოგოლის ქ. № 58, რკინის გზის სადგურზე. დაკრძალვა სოფ. თერინში კვირას, 2 სექტემბერს. 3911

სახკინმრეწვის კინოთეატრები	
განთიადი	ამერიკული კინო-რომანი ამერიკელი ქალის თავგადასავალი 3 და 4 სერია
საზაფხულო ეთერი	საზღვარ-გარეთის უკანასკნელი სურათი ქირვეული ცოლი რუთ კლიფორდის მონაწილეობით
საზაფხულო დარბაზი	სეზონის საუკეთესო კომედია ორი მეგობარი, მოდელი და მეგობარი ქალი
საზაფხულო პალასი	საუკეთესო სურათი ატლანტიდა ჟან ანჟელოს და სტასი ნაპერკოვსკაიას მონაწ.
პროლეტარი ავლაბარი	საზღვარ გარეთის მხატვრული სურათი ზღვის გმირი 1 და 2 სერია ერთად

ანონსი: მალე საზღვარ გარეთის მხატვრული ფილმი „ნეპტუნი" 0—23

ორჯონიკიძის სახელობის კლუბი
დღეს, 30 აგვისტოს,
სიმფონიური კონცერტი
ცნობილ დირიჟორის ვალერი ბერდიაევის მონაწილეობით
პროგრამაში—რიმსკი-კორსაკოვი, ვაგნერი, გლაზუნოვი, ბეთჰოვენი,
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
ბაღში—კინო.
შემდეგი კონცერტი ხვალ, 31 აგვისტოს, მედსანშრომის კლუბში. ნ. 1526

მალე 2 მორევი ნეპტუნი
საუკეთესო სურათი
თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ პარასკევს, 31 აგვისტოს, და შაბათს 1 სექტემბერს, დილის 10 საათიდან სასახლის ქ. № 3
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად. გაიყიდება ბუფეტები, კომოდები, მაგიდები, ვენური სკამები, ხალიჩები, ფარდაგები, ფართლეულობა, გალანტერეია და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 1534

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის („გრუზგოსტორგი"-ს) მაღაზიაში № 6
(თავის მოედანი, სახლი № 80)
ამა აგვისტოს 21-დან ვაჭრობის საათებში სპეციალისტი აწარმოებს ეტლების რეზინის შინების გადაჭიმვას.
ფასი 3 მან. სტანი (4 ცალი)
იქვე შეიძლება ყველა ზომის შინების შეძენა რეზინის ტრესტის ფასებში.
ხსენებულ მაღაზიაში შეძენილი შინების გადაჭიმვა ღირს სტანი 2 მანეთი. ნ. 1530

ქ. თბილისის გარე-უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი გ. მეგრელიშვილი
ამით აცხადებს, რომ ის 3 სექტემბერს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 4 ელიაროვის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ევგენი ქაჯაიას მოძრავ ქონებას: შკაფებს, პირსაბანს, ნიკელის საწოლს, კედლის სარკეს, გრამოფონს, დიდ საათს შკაფით, საწერ და სასადილო მაგიდებს, დივანს ორი სკამით, ძროხას, ერთ დეკეულს, კამოდს და სხვ. შეფასებულს 407 მან. ბესარიონ გადელიას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის სახელმწ. სანოტარო კანტორის მიერ 27 აგვისტოს 1928 წ. თარიღით, № 62 გაცემულ აღმასრულებელ წარწერისა. 3904

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—2

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.
25—1

გაზეთ „კომუნისტ"-ზე
ხელისმოწერა და განცხადებები მიიღება:
1) ქ. ონსა და მის რაიონში სახელგამის განყოფილებაში ამხ. ს. ბერიშვილთან;
2) ქ. ჭრებალოში და მის რაიონში—საკრედიტო ამხანაგობის ბუხჰალტერ ამხ. კოტე ცხვედიანთან.
3) ბაღდადის და მის რაიონში—ადგილობრივ პროფკავშირთა წიგნის მაღაზიაში რწმუნებულ ამხ. ალექსანდრე აბულაძესთან;
4) ლეჩხუმის და მის მაზრაში—რწმუნებულ ამხ. მირიან პაიჭაძესთან.
გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა. 2—2

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

მიხეილ ზედგენიძის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა
ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.
[illegible] —11—78. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 სა-დე
სათვალეების შერჩევა
— და —
მათი სწორი დაყენება
სპეციალისტ ექიმის მიერ
უფასოდ
სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106
მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები.

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ქუთაისში (დროებით)
მედიცინის დოქტორი
მ. ფ. მგალობელი
ქალური სნეულებანი (მხოლოთ). იღებს საღ. 6—7 ს. ჯაფარიძის ქ. (ყოფილი პოლიციის) № 18. 31 22

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. და საღ. 6—8 საათ.
ამის ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—2

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) სიფილისის მუწუკები, ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ქალების დღის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კ. ცეტკინის ქ. № 77 (ყოფ. ელისაბედის ქ.) ფოსტისგვერდით

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ეორესის ქ. კუთხე.

დავკარგე: პასპორტი თედორე ბიძინაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3908

დავკარგე: სამხედრო აღრიცხვის მოწმობა გიორგი აბრამის-ძე ასლამაზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3907

დავკარგე: პირადობის მოწმობა იოსებ მურადოვის სახელზე, ჩ. გ. 3909

დავკარგე: მოწმობები: პენსიის, ქირის და წყლის დახმარებისა ნატალია გიჯაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3899

დავკარგე: სამხედრო საალრიცხვო ბარათი ფ. № 4 ვარლამ მიხეილის-ძე ქავჟარაძის სახელზე, ჩ. გ. 3900

დავკარგე: პირადობის მოწმობა, სამხედრო ბარათი, ექიმის მოწმობა, საგადასახადო ქვითარი და ბარგის დასახსნელი ქვითარი დავით მაჩიტიძის სახელზე, ჩ. გ. 3901

დავკარგე: სააღრიცხვო ბარათი აკაკი ფოჩხუას სახელზე, ჩ. გ. 3902

დავკარგე: მუშკოოპის წიგნაკი № 31067 სიმონ დავითის ძე ფოცხველაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3903

დავკარგე: ლომბარდის ქვითარი № 038983, ჩ. გ. 3905

დავკარგე: პარტბილეთი № 50736 გრიგოლ ლომინაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3906

დავკარგე: ტრამვაის დირექციის მიერ გაცემული ტრამვაის უფასო წლიური ბილეთი ივანე წულუკიძის სახელზე, ჩ. გ. 389

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68. მთავლიტი № 904.